პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წლიწადი მეექვსე

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24.
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 13—80
ექსპედიციის 5—48.

სამშაბათი, 29 ივნისი 1926 წ
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 146 (1601)

დღიური

— პოლონეთის სეიმში გაიმართა კამათი პილსუდსკის დიქტატურის გარშემო.
— საფრანგეთის ფინანსისტებს ფრანკის სტაბილიზაცია შეუძლებლად მიაჩნიათ ამერიკის დაუხმარებლად.
— სამხრეთ-სლავიაში იმართება დემონსტრაციები იტალიის წინააღმდეგ.
— ოსმალეთში გრძელდება შეთქმულებაში მონაწილე პირთა დატუსაღება.
— გერმანიაში უმუშევართა რიცხვი მილიონ 400 ათას კაცს უდრის.
— პეკინში ჩავიდა ჩან-ძო-ლინი უ-პეი-ფუსთან შესახვედრათ.

„კომუნისტი" მიიღება ხელისმოწერა ივლისისათვის

სახელმწიფო აპარატის მუშაობის გაუმჯობესებისათვის

პარტიის მიერ დღის წესრიგში დასმული შეუდრეკელი და მედგარი ბრძოლა ეკონომიის რეჟიმის დასამყარებლად, უმთავრესად მახინჯ, თვალსაჩინო შეცდომების, გადამეტების და სხვა ამგვარი ფაქტების თავიდან აცილებას სცდილობს სამეურნეო აღმშენებლობის საქმეში. კამპანიის ძირითად შინაარსს, სამრეწველო - სამეურნეო ცხოვრების ყველა დარგების რაციონალიზაციას ჩვენ მხოლოდ ახლა ვუახლოვდებით. რასაკვირველია, უმართებულო იქნებოდა, რომ შეგვესუსტებია თავგამოდება და ენერგია ამ მომჭირნეობისთვის ბრძოლის პირველ დარგში. ჯერ კიდევ ბევრი უყაირათობა და სიმახინჯეა შერჩენილი, მიუხედავად მათი გამომჟღავნებისა, ბევრი კიდევ დაფარული რჩება ჩვენი დახლართული და დამძიმებული აპარატის ქვეშ.

მაგრამ ამასთანავე ახლა უკვე დრო არის, რომ კამპანია უფრო ღრმა და თავგამოდებული მუშაობის კალაპოტში გადავიტანოთ და შევეცადოთ ჩვენი მართველობისა და ეკონომიური საქმიანობის მეთოდები და სისტემა გაუმჯობესოთ. ბრძოლა მოქნილი, მომჭირნე სახელმწიფოებრივი და ეკონომიური აპარატისთვის, მისი სტრუქტურის გამარტივებისთვის და ყოველგვარი ბიუროკრატიული ხორცმეტის მოშორებისთვის რაციონალიზაციის კამპანიის აუცილებელ ნაწილად უნდა გადაიქცეს. სოციალისტური ეკონომიკის საფუძველს სათანადო თვისების ზედნაშენი უნდა ჰქონდეს. თუ წარმოების დარგში რაციონალიზაციის გზები დაგროვების ტემპის საკითხებს ებჯინებიან, რომელზედაც წარმოების რეკონსტრუქცია და ტეხნიკური განახლებაა დამოკიდებული, მართველობის და სამეურნეო ხელმძღვანელობის დარგში ჩვენ ობიექტიური შესაძლებლობა გვაქვს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას მივაღწიოთ მიღებული გამოცდილების მიხედვით.

უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი აპარატი დღემდე ნაკლებ შეეფერება თავის დანიშნულებას, როგორც მნიშვნელოვან ფაქტორს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში. ის ჯერ მეტად სუსტათ მუშაობს. [illegible] უწყებათაშორისი ქსელშია გაბმული, ბევრი ზედმეტი ხლართი, პარალელიზმი არსებობს, ყოველივე ეს მეტად ძვირად გვიჯდება. ეს გარემოება იწვევს საწვრილმანო ფასების სიდიდეს, რაიცა უმთავრესად გამოწვეულია არა საქონლის ნაკლებობით, დისპროპორციის ნიადაგზე, არამედ საქონლის გამტარებელი ქსელის მოუწესრიგებლობით და თვით საღებ-მიცემო არხების ზედმეტი ხარჯებით.

ეს გარემოება იწვევს აგრეთვე ნაწარმოების თვითღირებულების ზრდას, საბრუნავი კაპიტალის ნელს ტრიალს, სოციალისტური დაგროვების ნელს ტემპს. ცოტაოდენი წარმატება, რომელსაც უკანასკნელად აპარატის გაჯანსაღების საქმეში მივაღწიეთ, ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებს. ის ადრინდელად ბიუროკრატიულია, არხიცენტრალისტური, ზედმეტად დატვირთული და რთული და რაციონალურად ვერ იყენებს მოსამსახურეებს.

მიუხედავად ჩვენი ორგანოების გარეგნული და ფაქტიური ფუსფუსისა, საკმაოა რომელიმე საკითხის, რომელიმე საუწყებო ქაღალდის მოძრაობას გაჰყვეთ, რათა დარწმუნდეთ, თუ რა კუს ნაბიჯით მუშაობს ჩვენი აპარატი. მისი დიდი ინერტობა გადაჭარბებული ზეცენტრალიზმისგან გამომდინარეობს. თვით უწვრილმანესი კითხვების გადაჭრა და საბოლოო დასტური უზენაეს ხელმძღვანელებამდე მიდის. ასეთი წესი გამართლებული და აუცილებელი იყო პირველ რევოლიუციურ წლებში. მაგრამ ასეთი წესის შენარჩუნება მეტად მავნებელი ნაშთია. ის ჰქმნის ბიუროკრატიული ინსტანციების მრავალსაფეხურიან იერარქიას, სახეს უკარგავს ამა თუ იმ მუშაობის ფაქტიურ ამსრულებელთ და უდიდეს ბიუროკრატიულ საქმის გაჭიანურებას იწვევს. ეს შრომის მეთოდი განსაკუთრებულ ელფერს აძლევს მართველ და ხელქვეით ორგანოების ურთიერთობას. განსაკუთრებით მტკივნეულია მისი შედეგები მეურნეობის ხელმძღვანელობის დარგისთვის. სწორედ ამით აიხსნება, რომ მრეწველობამ პირველად აიმაღლა ხმა მართველობის სისტემის გასაჯანსაღებლად. მომწესრიგებელ ორგანოების ყოველმხრივი ჩარევა, ტრესტების მიმდინარე ოპერატიულ-ადმინისტრატიულ მუშაობაში ამ უკანასკნელთ ართმევს დამოუკიდებლობას. მეორე მხრით ტრესტებისა და ქარხნების ურთიერთობა, რომელიც უშუალო, ცენტრალისტურ - ოპერატიულ მართველობაზეა დამყარებული, წარმოების თვითმოქმედებას ზღუდავს. წვრილმანი მზრუნველობა, ყოველი ნაბიჯის დადასტურების აუცილებლობა ბოჭავს თაოსნობას და აფერხებს მანევრების შესაძლებლობას. წარმოებას სთხოვენ სხვადასხვა ცნობებს, ანგარიშებს, სტატისტიკურ ციფრებს, რაიცა ბოლოს დაუსრულებელ ქაღალდის ნაკადს ჰქმნის, რის გამო გაზვიადებული შტატები იქმნება, ცოცხალი საქმე ხლუპება.

სამეურნეო ურთიერთობის ასეთ სისტემას საფუძვლად უდევს წინა დროიდან დარჩენილი უნდობლობა ადგილებისადმი, ისეთ ხელმძღვანელთა შერჩევისადმი, რომ შესაძლებელი იქნეს მათთვის საქმის ჩაბარება ყოველივე წვრილმანებში ჩაურევლად. **ეს სისტემა ამჟამად საფუძვლიან შესწორებებს საჭიროებს.** საერთო კონტროლის და ხელმძღვანელობის უფრო მაღლა მდგომ მომწესრიგებელ და მმართველ ორგანოების ხელში დატოვებამ არ უნდა შეზღუდოს ხელქვეით ორგანოების თვითმოქმედება და ინიციატივა. ყოველდღიურ საქმეში წვრილმანი ჩარევის მაგიერ პასუხისმგებლობის და ნდობის სისტემაზე გადასვლა, რასაკვირველია, მჭიდროთ დაკავშირებული სამეურნეო ხელმძღვანელთა განსაკუთრებული სისწორით შერჩევის აუცილებლობასთან. ამ პრობლემას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. ამასთან ერთად გაძლიერებული უნდა იქნეს სარევიზიო კომისიები, რასაკვირველია, არა რიცხვობრივად, არამედ თვისობრივად, ისე, რომ მათ მუშაობაში აღმოფხვრილ იქნეს ბიუროკრატიული კონტროლის მეთოდები.

ჩვენი აპარატების ერთ-ერთი დამახასიათებელი მხარე, რომელზედაც საჭიროა შევჩერდეთ, ეს არის მეთოდი მუშაობისა კომისიების, თათბირების, სხდომების მოწვევის საშუალებით.

ცოცხალ მუშაობას ყველაზე უფრო აქ სცვლის ბიუროკრატიული საქმის გაჭიანურება. იმის მაგიერ, რომ საკითხი სწრაფად, სისწორით იქნეს გადაჭრილი, იმის მაგიერ, რომ ხელმძღვანელები საქმეში შეთანხმდენ, რაც ხშირად ტელეფონით დალაპარაკებითაც შეიძლება მიღწეული იქნეს, ჩვენი აპარატი დატვირთულია კომისიებით, თათბირებით, რომელთა შემწეობით ძალიან ადვილია მიღებულ გადაწყვეტილებისათვის პირდაპირი პასუხისმგებლობის თავიდან აცილება, მაგრამ სამაგიეროდ ისინი ზიანს აყენებენ საქმის ინტერესებს. მაგონდება ვ. ი. ლენინის სიტყვები, რომელიც მან სთქვა 8 მარტს და რომელიც თითქოს ეთქვას ეხლა, როცა ჩვენს წინაშე პირდაპირ დასმულია მმართველობის რაციონალიზაციის საკითხების გადაჭრის აუცილებლობა. მან სთქვა: „საკმარისია დავუკვირდეთ, როგორ ვმართავთ ჩვენ სხდომებს, როგორ ვმუშაობთ კომისიებში, და უსათუოდ იტყვიან, რომ ძველი ობლომოვი ცოცხალია".

ამ ბოროტებასთან საბრძოლველად ხელმძღვანელებს უნდა მოეთხოვოთ **გადასვლა საკითხის დამოუკიდებლად გადაჭრაზე, პასუხისმგებლობაზე.** ამის განხორციელება საგრძნობ რეალურ მიღწევებს მოგვცემს როგორც აპარატის შემცირებისა და გამარტივების, ისე დიდძალი თანხების დაზოგვის საქმეში. ჩვენ თავს დავაღწევთ „კომისიობას", როცა ჩვენ ფსიქოლოგიურად გარდავქმნით ჩვენს დამოკიდებულებას მუშაობის დროს გაცდენილ ყოველ წუთისადმი, როცა დროისა და ძალების უნაყოფოდ დაკარგვის თითეული შემთხვევა სამართლიან პროტესტს გამოიწვევს ყოველ მუშაკში, რომელიც გვისაყვედურებს, რატომ უნაყოფოდ დახარჯეთ ჩემი ენერგიაო.

ყურადღების ღირსია კიდევ ერთი მხარე ჩვენი აპარატების მუშაობაში. ეს არის არაჩვეულებრივი სიდიდე და პარალელიზმი ანგარიშის შედგენის და სტატისტიკური მუშაობის დარგში.

მთელი რიგი უწყებებისა ერთსა და იმავე მუშაობას აწარმოებს, ერთსა და იმავე ცნობებს აგროვებს. ერთსა და იმავე სახალხო კომისარიატში მთელი რიგი ორგანოებისა პარალელურ საკითხებს არჩევენ. საგეგმო უჯრედებს ხომ ჩვენში ვერ მოსთვლით. იქმნება მთელი ზღვა ქაღალდებისა, რომლებშიაც ირევა ასობით ხალხი და საქმის რაციონალურად დაყენება კი ვერ მოუხერხებიათ. ანგარიშის და სტატისტიკის მდგომარეობა პირდაპირ კატასტროფიულია. წარმოებები დიდი ჭაპანწყვეტით და გაჭირვებით ადგენენ ათობით და ასობით სხვადასხვა ფორმის ცნობებს. ანგარიშის შედგენა ფუთობით განიზომება. ამავე დროს მისი ხარისხი ძალიან ნაკლებია. „საშუალო" ტეხნიკურ კოეფიციენტების გამოყვანა მთელს ტრესტში ან სინდიკატში ფარავს ცალკე წარმოებების სახეს, ჩრდილავს უკეთესად მომუშავე წარმოებების მიღწევებს საზარალო წარმოებების ხარჯზე. ასეთი ანგარიშის შედგენა, რომელიც ამასთანავე მუდამ გვიანდება, ძალიან აფერხებს მრეწველობის მოწესრიგებას და წარმართვას.

ანგარიშის და სტატისტიკის რაოდენობის და ხარისხის საკითხები მთელი სიგრძე-სიგანით უნდა დავსვათ, სწორედ აქედან უნდა დავიწყოთ მოქმედება. თუ ბიუროკრატიზმის ხორცმეტების დაუყოვნებლივ მოშორება გვიძნელდება, რადგან მათ გაწმენდას და განკურნებას დიდი დრო და ყურადღება უნდა, სამაგიეროდ ანგარიშის საკითხში ქირურგიულ ჩარევასაც არ უნდა დავერიდოთ. ქაღალდების გაგზავნა - გამოგზავნა და ანგარიში მინიმალურად უნდა იქნეს შემცირებული, მათ სამაგიეროდ საჭიროა პირადი დაახლოვება საქმესთან, ხელმძღვანელების გამგზავრება ადგილებზე, ქარხნებში, რაც ორივე მხარისათვის სასარგებლო იქნება. მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი ისეთი ცნობების წარდგენა, ურომლისოდაც შეუძლებელია ხელმძღვანელობა, მართვა-გამგეობა.

საგაზეთო წერილში, რასაკვირველია, შეუძლებელია ჩვენი მართვა-გამგეობის სისტემის—თვით მთავარ გადამახინჯებათა გაშუქება. მათ აქ ვეხებით უმთავრესად მრეწველობის ხაზით. მართვა-გამგეობის სისტემის გაუმჯობესების და რაციონალიზაციის საკითხი კი უნდა დაისვას მართვა-გამგეობის და მეურნეობის მთელი აპარატის მასშტაბით. სწორედ ამ ხაზით უნდა იქნეს გაღრმავებული კამპანია მომჭირნეობის რეჟიმისათვის. მან ჩვენ უნდა გადაგვინარჩუნოს მრავალი ათი და ასი მილიონი მანეთი. მაგრამ აქ არ შეიძლება აჩქარება. მოუფიქრებლობა და სიჩქარე აქ ყველაფერზე უფრო საზარალოა, ვინაიდან მას მოჰყვება საწინააღმდეგო შედეგები: აპარატის უფრო მეტად გაბერვა, უფრო მეტი ბიუროკრატიზმი. ბრძოლა ამ ფრონტზე, რასაკვირველია, რთულია და ძნელი, ვინაიდან ის მჭიდროდ დაკავშირებულია ჩვენ კულტურის დონესთან, მაგრამ ჩვენ მას დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეთ და უნდა გამოვიჩინოთ უდიდესი შეუპოვრობა.

ფ. ძერჟინსკი.

აბრეშუმის ფული

რამდენი გლეხის ოჯახი მოუთმენლათ მოელის პარკის მოსავალს! დაწყებული მარტის თვიდან გლეხის ქალი თავს დასტრიალებს ჯერ აბრეშუმის თესლს, მერე მის გამოსვლას (გამოცოცხლებას), შემდეგ კვებას ბჟოლის (თუთის) ფოთლით. აი ჭია გამოვიდა პატარა კანში, დიდ კანში; მთელი ოჯახი ჩაბმულია გაცხარებულ მუშაობაში; ჭიის დასაპურებლათ ბელავენ ბჟოლას, აგროვებენ ფოთლებს; აკეთებენ ჩელტებს, ცახებს; გამუდმებით უცვლიან ჭიებს ქვეშ დაგებულ ქაღალდებს. კაცი, ქალი, დიდი, პატარა, ყველა თავს დასტრიალებს აბრეშუმს და მოუთმენლად მოელიან, რომ ჭიამ დაიწყოს პარკის კეთება და თავი შეაფაროს და ჩაიმალოს შიგ.

ამ დროს გლეხის ოჯახის ყველა წევრი დიდ განცდაშია: ვაი თუ ჭია ავათმყოფი გამოდგა და ცახზე პარკის საკეთებლათ ვერ ავიდა. ვაი თუ ცუდი ამინდი დადგა და ცახზე ასული ჭია ჩამოცვინდა. ხომ დაიღუპა ამდენი შრომა, ამაგი, ბჟოლა, თესლის ფული. ხომ გაცრუვდა იმედი, რომ აბრეშუმის ფულით იყიდის პურს, სიმინდს, რომელნიც უკვე გამოელია; ხომ ვერ ჩაიცვამს ტანზე და ფეხზე; ხომ ვერ გადაიხადა ოჯახის საჭიროებისათვის აღებული ვალები. ხომ ვერ შემოინახა გაჭირვებულ დღისთვის რამდენიმე მანეთი. ამ დროს ყველა შიშსა და მოლოდინშია.

ბოლოს ჭიამ დაამთავრა პარკის კეთება, ის კარგი გამოდგა, გლეხის შრომა და მუყაითობა დააფასა. ყველა დიდი სიხარულით შეუდგა პარკის გამოხილვას. მოსავალი კარგია, დაგროვილი პარკი ერთი დღით მოფინეს იატაკზე ან ჩელტზე; შემდეგ ჩაყარეს გოდრებში, დააწყვეს ურმებზე; და გლეხი თავის ცოლით, შვილებით, შვილი-შვილებით გაუდგა გზას პარკის ფარდულისაკენ, სადაც ის თავის ნაშრომ - ნაღვაწს ყიდის.

წრევანდელი პარკი უკვე შემოვიდა, მოსავალი კარგია როგორც შარშან, ისე წრეულსაც, მის შესყიდვას აწარმოებს საზ. „აბრეშუმი", რომელიც პირველ ხარისხის პარკში გლეხს აძლევს 22 მანეთს და მეორე ხარისხისაში 20 მანეთს ფუთში ნაღდ ფულათ. თითეული ოჯახი მიიღებს თავის პარკში 30 მანეთიდან 80 მანეთამდე.

როგორ ხმარობს გლეხის ოჯახი თავის შრომის ნაყოფს? ის გლეხურ მომჭირნეობას ეწევა; მას ბევრი მოთხოვნილება აქვს. მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ ის სდებს რამოდენიმე გროშს „შავი დღისათვის". **აი, აქ იბადება კითხვა თუ სად და როგორ უნდა შეინახოს გლეხმა თავისი შემონახული ფული?** წინეთ, ბონების დროს, გლეხის ჯიბეში ღამე დარჩენილი ფული მეორე დღეს უკვე შემცირებული და დაპატარავებული იყო. როცა ამ ორი წლის წინათ დღევანდელი მტკიცე ფული იქნა შემოღებული, გლეხმა დაინახა იმის თვისება. ის ერთი ღამის განმავლობაში კი არა, ორი წლის განმავლობაში არ შეცვლილა. მაგრამ ეს არ კმარა. **საჭიროა ეს ფული კიდევ გაიზარდოს და დაიმატოს თავის თავზე ფული.** და აი ამის საშუალებას იძლევა დღეს საკრედიტო ამხ-ბები, სოფლის ბანკები, რომლითაც მოფენილია მთელი საქართველო, ამიერ- კავკასია და საბჭოთა კავშირი. **გლეხი ყოველ კაპეიკს უნდა გაუფრთხილდეს,** ის უნდა მოათავსოს უშიშარ და სამედო ადგილას. **ასეთი ადგილია საკრედიტო ამხ-ბა.** ის იბარებს შესანახათ ფულს ყველასაგან, განურჩევლად სქესისა, წლოვანობისა, შეძლებისა, როგორც თავისი წევრისაგან, ისე არა წევრისაგან. **საკრედიტო ამხანაგობა იბარებს ფულს, როგორც ვადით ისე უვადოთ,** მისი შეტანა და გამოტანა შეიძლება, როცა ამას მოისურვებს ფულის შემნახველი. მისაბარებელ ფულის რაოდენობა არ არის განსაზღვრული. შეგიძლიანთ მიაბაროთ რამდენიც გნებავთ,— შაურობით, მანეთობით, თუმნობით და ზევით. **ფულის მიბარება და მისი რაოდენობა სრული საიდუმლოებით არის მოცული;** საკრედიტო ამხანაგობებს სასტიკათ აქვთ აკრძალული გაამხილოს ვის ან რამდენი ფული ენახება. ყოველივე მიბარებული თანხა საკრედიტო ამხანაგობაში დაზღვეულია საქართველოს და ამიერ - კავკასიის სასოფლო - სამეურნეო ბანკებში, რომელთაც ოთხი მილიონზე მეტი ძირითადი თანხა აქვთ. ასე რომ, რაც უნდა მოხდეს საკრედიტო ამხანაგობაში, ცეცხლი, გაძარცვა, გაფლანგვა, გლეხის მიბარებული ფული სავსებით უზრუნველყოფილია და მას მიიღებს მოთხოვნილებისამებრ. ყველა ამაზე გარდა **ფულის მიმბარებელი ღებულობს სარგებელს** იმ დღიდანვე , რა დღესაც მიაბარა მან ფული, ასე რომ საკრედიტო ამხანაგობაში მიბარებული ფული, **ყოველ დღე, თვე, წელიწადი იზრდება თავის თავად, შემტანის უშრომლათ.**

თვითეულ ფულის მიმბარებელს ეძლევა წიგნაკი, რომელშიც აღინიშნება სარგებლის, შეტანილი და გამოტანილი ფულის რაოდენობა.

ამნაირად, ყველაზე უფრო მოხერხებული და მომგებიანი ადგილი **ფულის შესანახათ არის საკრედიტო ამხანაგობა,** გლეხმა მას ისე უნდა უყუროს, როგორც თავისი საკუთარი სალაროს. ასეთი შეხედულება შეუძლია გლეხკაცობამ დაამტკიცოს დღეს, როცა მის ოჯახში შემოდის მისი მეურნეობის **პირველი შემოსავლი — აბრეშუმის ფული.** აბრეშუმის მოყვანაში ყველაზე მეტი შრომა და ამაგი მიუძღვით მშრომელ გლეხ - ქალებს. მით უფრო მეტია მათი უფლება მომავალი ოჯახის საჭიროებისათვის ორიოდე გროში მოიმარაგონ აბრეშუმის ფულიდან. შეიძლება ბაზარზე არ იშოვებოდეს საყიდლათ დღეს ყველა საჭირო საგნები, მით უმეტეს **საჭიროა ფულის მომარაგება იმ დროისთვის, როცა ასეთი საქონელი ბაზარზე გამოვა.** თვისი ანგარიშიანობა, მომჭირნეობა, საკუთარი შრომის დაფასება და გამჭრეტლობა გლეხს უკარნახებს, რომ აბრეშუმში აღებული ფულიდან ნაწილი, თუ გინდ რაოდენობით ის ცოტა იყოს, **მიაბაროს შესანახათ საკრედიტო ამხანაგობას და თავისი საჭიროებისათვის იქონიოს იქ „აბრეშუმის ფული".**

ქ. ჩხენკელი.

პედაგოგიურ განათლების ხელმძღვანელთა პირველი კონფერენციისათვის

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მხოლოდ მეექვსე წელს მოხერხდა საქართველოში პედაგოგიური განათლების ხელმძღვანელთა პირველი კონფერენციის მოწვევა. ამის მიზეზი, ერთის მხრივ, იმაში უნდა ვეძიოთ, რომ დღემდე ჩვენი ყურადღება უმთავრესად პირველი საფეხურის სკოლაზე იყო მიპყრობილი—საჭირო იყო ენერგიული ზომების მიღება სკოლაში მომუშავე მასსიურ მასწავლებელთა კადრის გადასამზადებლათ,—მეორე მხრივ, ჯერ კიდევ ვერა გამოგვენახა და სავსებით ვერ გამოგვერკვია საშუალო პედაგოგიური განათლების გზები და ფორმები, ჯერ კიდევ იმედებს მთლიანათ ვერ ვამყარებდით პედტეხნიკუმებზე, როგორც ჩვენი პედაგოგიური განათლების საიმედო დასაყრდნობ ფაქტორზე; პედაგოგიური ფაკულტეტი, რომელიც უნდა ყოფილიყო პედაგოგიური განათლების სწორად მოწყობის საქმეში მთავარი დამხმარე და გზის მაჩვენებელი, ჯერ კიდევ თვითონაც ვერ ჩამოყალიბებულა და თავის მუშაობისათვის გარკვეული სახე ვერ მიუცია; ისიც აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო საბჭოს პედაგოგიურმა სექციამ მორიგი მეთოდიური საკითხებით მეტისმეტათ დატვირთვის გამო, პედაგოგიური განათლების საკითხებზე გადასვლა ვერ მოახერხა.

ჩამოთვლილ დაბრკოლებათა უმეტესი ნაწილი უკვე დაძლეულია; უკანასკნელი წლების გამოცდილებამ და თვით მუშაობის ადგილებზე შემოწმებამ დაგვარწმუნა, რომ პედაგოგიურ ტეხნიკუმს ძალუძს შეიქნას კულტურული მუშაობის ცენტრად არა მარტო თავის რაიონში, რომ ის წარმოადგენს არა მარტო ისეთ დაწესებულებას, სადაც მომზადებას იღებს საბჭოთა მასწავლებლობის ახალი კადრი, არამედ ის იმავე დროს მასწავლებელთა ფართო მასსების განათლებისა და გადამზადების ცენტრია, რომელიც მუშაობს როგორც ცოცხალი ნიმუშების ჩვენებით, ისე ფართო პროპაგანდით. დღეს ჩვენთვის უკვე აშკარაა, რომ პედტეხნიკუმი მნიშვნელოვანი საწარმოო კულტურული დაწესებულებაა, რომელიც ფართო წარმოებითი მუშაობას ეწევა ახალი პედაგოგიური ძალების მომზადების და სკოლაში მყოფ მასწავლებელთა ფართო მასსების გადახალისების სახით.

პედტეხნიკუმების გამგეთა კონფერენციის ამოცანას შეადგენს: გააცნოს განათლების სახალხო კომისარიატი და მისი ორგანოები თვითეულ პედტეხნიკუმის მუშაობას, გაუზიაროს ერთმანეთს თვითეული მათგანის მიღწევანი და გამოცდილება, გამოამჟღავნოს ის დაბრკოლებანი, რომლებიც, უეჭველია, ზველობებიან ჩვენი სასწავლო გეგმების განხორციელებაში, მიგვითითოს ჩვენი პროგრამების ნაკლულევანებებზე და ჩვენთან ერთად სექციური მუშაობით შეადგინოს შემდეგი კურსების პროგრამები.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს იმ გეგმებისა და ღონისძიებათა გამომუშავებას. რაც აუცილებელია პედაგოგიური პრაქტიკუმის სათანადოთ დასაყენებლად. თავისთავად ცხადია, რომ ამასთან ერთად კონფერენცია გვერდს ვერ აუხვევს საკითხის დასმას და გარკვევას პედაგოგიური ტეხნიკუმის მონაწილეობის შესახებ საზოგადოებრივ აუცილებელ შრომაში.

ამას გარდა ჩვენში, საქართველოში, მწვავედ სდგას საკითხი პედაგოგიური ლიტერატურის, პედაგოგიური ჟურნალის და საბავშვო ლიტერატურის შესახებ და სხვა, რომლებზედაც აგრეთვე იქონიებს მსჯელობას ხსენებული კონფერენცია.

იმედი გვაქვს, რომ ეს მნიშვნელოვანი საკითხები მოფიქრებულათ და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე მთელი პასუხისმგებლობის შეგნებით იქნება დასმული და გარკვეული, პასუხისმგებლობა მართლაც რომ დიდია: საქმე გვაქვს საბჭოთა ქვეყნისათვის გამოსადეგ პედაგოგიური განათლების სისტემასთან, რომლის შექმნაში პასუხისმგებელი ვართ ახალგაზრდობისა და მშრომელი მასების წინაშე, რათა მათ ნებისყოფას და მისწრაფებას სწორი მიმართულება მივსცეთ მუშათა კლასის ინტერესების დასაცავათ; პასუხისმგებელი ვართ ბავშვთა წინაშე, რომლებსაც საბჭოთა მასწავლებელი უნდა მივსცეთ.

მუშაობის ამ დარგში ჩვენი წარმატების უტყუარი თავდებია ის დიდი მუშაობა, რომელიც ამ წლებში ჩატარდა ჩვენს პედაგოგიურ ტეხნიკუმებში და რომელიც დღითი დღე იზრდება და ვითარდება.

მარიამ ორახელაშვილი.

საბჭ. მთავრობის პროტესტი ჩერჩილ-ბირკენხედის გამოსვლების წინააღმდეგ

საკავშირო მთავრობა არასოდეს არ ერეოდა სხვა სახელმწიფოების შინაურ საქმეებში

საბჭოთა მთავრობა ასრულებს კომერციულ ვალდებულებებს

გერმანიასთან ხელმოწერილია შეთანხმება სესხის უზრუნველყოფის შესახებ

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან

მოსკოვი, 28 ივნისი. ინგლისის მინისტრების მიერ წარმოთქმულ სიტყვების გამო საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შესახებ და აგრეთვე მთავრობის მიერ „თეთრი წიგნის" გამოქვეყნების გამო, რომელიც, გამომცემლის სიტყვით, შეიცავს წარსული წლის ოქტომბერში ჩხრეკის დროს ინგლისის კომპარტიის შენობაში აღმოჩენილ დოკუმენტებს, გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატი იტყობინება:

„საბჭოთა მთავრობა კატეგორიულად აცხადებს, რომ საბჭოთა სავაჭრო დელეგაცია ინგლისში, როგორც საბჭოთა კავშირის სხვა სავაჭრო ორგანიზაციები საზღვარ გარეთ, და აგრეთვე დიპლომატიური აპარატი თავს იკავებდენ და თავს იკავებენ ეხლაც ყოველგვარ ურთიერთობისაგან უცხოეთის კომუნისტურ პარტიებთან და საერთოდ იმ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩარევისაგან, რომლებშიაც ისინი მუშაობენ.

საბჭოთა კავშირის მუშების და პროფესიონალურ ორგანიზაციების ძმურ დახმარებას ინგლისის გაფიცულ მუშებისადმი ინგლისის მთავრობის ორატორები უყურებენ, როგორც ინგლისის იმპერიის საშინაო საქმეებში ჩარევას საბჭოთა მთავრობის მხრივ. არ მიაჩნია რა პასუხის ღირსად ის უხეში და დაუშვებელი გამოსვლები, რომელსაც ადგილი ჰქონდა ინგლისის ზოგიერთ მინისტრების მხრივ საბჭოთა კავშირის, მისი მუშათა კლასის და მუშათა პროფესიონალურ ორგანიზაციების მიმართ, საბჭოთა მთავრობა აღნიშნავს, რომ მთავრობის წევრების ყოფნა ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიაში და ამა თუ იმ პარტიის უპირატესობა რომელიმე პროფესიონალურ კავშირში ჩვეულებრივი და საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა.

მაგრამ აქედან არავის და არასოდეს არ გამოუტანია ისეთი დასკვნები, როგორსაც ვხედავთ ინგლისის მთავრობის ორატორების სიტყვებში საბჭოთა პროფკავშირების შესახებ.

საბჭოთა მთავრობა კმაყოფილებით იღებს მხედველობაში ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრის განცხადებას, რომ არ არის სასურველი დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტა ამ ორ სახელმწიფოს შორის და რომ ასეთ ნაბიჯს საბედისწერო მნიშვნელობა ექნებოდა სამშვიდობო ურთიერთობის შემდგომ განვითარებისათვის. **მიუხედავად ამისა, საბჭოთა მთავრობა იძულებულია სასტიკი პროტესტი განაცხადოს ყოვლად უსაფუძვლო მტკიცების გამო, თითქოს, ის არღვევდეს ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის არსებულ ხელშეკრულებას.**

ფინანსთა მინისტრის ჩერჩილის სიტყვაში მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მის გამოლაშქრებებს, რომელთა მიზანია ეკონომიური ურთიერთობის ჩაშლა ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის. ჩერჩილი, რომელიც 1918—19 წელს უმთავრესი ინსპირატორი იყო ინგლისის ინტერვენციისა საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ, თავის გამოლაშქრებაში ისახავს იმავე მიზნებს, რომელსაც ის საბჭოთა რესპუბლიკის მიმართ ისახავდა უკანასკნელის არსებობის პირველ დღიდანვე.

ჩერჩილს არ დავიწყებია ბლოკადა და ინტერვენციები; მისი ეხლანდელი გამოსვლა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ეკონომიური ბლოკადის განახლებას ჩვენს წინააღმდეგ.

საბჭოთა მთავრობა გადაჭრით პროტესტს გამოსთქვამს იმ განცხადების წინააღმდეგ, რომ, თითქოს, ის ყოველთვის არ ასრულებდეს კომერციულ ვალდებულებებს.

არასოდეს საბჭოთა სავაჭრო ორგანიზაციების არც ერთი ვალდებულება არ ყოფილა დარღვეული. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ინგლისის მთავრობის ფინანსთა მინისტრის ასეთი გამოსვლა სრულებით ეწინააღმდეგება სახელმწიფოთა ურთიერთობის ელემენტარულ წესებს.

საბჭოთა მთავრობისათვის სრულებით გაუგებარია, როგორ შეიძლება დაშვებულ იქნეს მთავრობის პასუხისმგებელ წევრთა ასეთი გამოსვლა, რომელიც არღვევს არა მარტო უცხო, არამედ საკუთარ სახელმწიფოს ინტერესებსაც.

საბჭოთა მთავრობა დიდათ აფასებს თავის ურთიერთობას ინგლისთან, ყოველივე ძალ-ღონით ცდილობს ხელი შეუწყოს ამ ურთიერთობის განმტკიცებას და, კერძოდ, ინგლისს-საბჭოთა ვაჭრობის მაქსიმალურად გაფართოებას. მაგრამ საბჭოთა მთავრობას საკმაოდ შეგნებული აქვს საბჭოთა კავშირის მსოფლიო როლი პოლიტიკურ და ეკონომიურ სფეროში. მისი მნიშვნელობა და ძლიერება და ამიტომ მასზე დიდ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს რომელიმე სხვა მთავრობის ცალკე წევრთა მტრული, უაზრო ტენდენციური და უხეში გამოსვლები, რომელთა მიზანი სრულებით ეწინააღმდეგება, როგორც ორივე სახელმწიფოს ინტერესებს, ისე საერთაშორისო ურთიერთობის მშვიდობიან განვითარებას.

ღებულობს რა მხედველობაში ინგლისის იმპერიის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელის ოფიციალურ განცხადებებს, საბჭოთა მთავრობა თავის მხრივ აცხადებს, რომ ის კმაყოფილებით იღებს ცნობათ განცხადების იმ ნაწილს, რომელშიაც მინისტრი ურთიერთობის შეწყვეტას არა სასურველად სთვლის, მაგრამ მთავრობას შემცდარათ მიაჩნია ინგლისის მინისტრის შეხედულება ინგლისს-საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობის გაუმჯობესების შეუძლებლობის შესახებ.

შეთანხმება გერმანიასთან

ბერლინი, 27 ივნისი. მოლაპარაკება გერმანიის მთავრობის მიერ საბჭოთა კავშირის სამრეწველო დაკვეთებისათვის ფინანსების მიწოდების შესახებ, რომელიც რამოდენიმე თვეს გრძელდებოდა, **შეთანხმებით დამთავრდა.**

შეთანხმების მიღწევას ხელი შეუწყო იმან, რომ გერმანიის მთავრობამ ბანკების კონსორციუმს მისცა ამ კრედიტების ნაწილის ხელ-ახალ აღრიცხვის შესაძლებლობა. ამიერიდან მიღებულ შეთანხმების თანახმად, ამ დაკვეთებისათვის ფინანსების მიწოდების დროს გერმანიის საიმპერიო ბანკისაგან აღებულ იქნება საღრიცხვო განაკვეთი 1 პროცენტის მიმატებით და 1,9 პროცენტი საკომისიოთი, რაც ამჟამად უდრის 9,4 პროცენტს.

ამ პრინციპიალურ შეთანხმების მიღწევის შემდეგ, ცალკე საკითხები მახლობელ დღეებში იქნება მოწესრიგებული.

პილსუდსკის სამხედრო დიქტატურა

ვარშავა, 28 ივნისი. კამათის შემდეგ, რომელიც მთელი დღე გაგრძელდა, **სეიმმა პირველი რედაქციით მიიღო მთავრობის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტი.** წინააღმდეგ ხმა მისცეს კომუნისტებმა, ბელორუსებმა, უკრაინელებმა და ქრისტიანულ ნაციონალურ პარტიამ.

[illegible] უმცირესობათა წარმომადგენელმა ტარაშკევიჩმა განაცხადა: „ფიქრობდენ, რომ ყოფილი რევოლიუციონერი პილსუდსკი მუშებს მისცემს სამუშაოს, გლეხებს—მიწას, დაჩაგრულ ეროვნულ უმცირესობებს—თავისუფლებას. მაგრამ მალე ყველას იმედი გაუცრუვდა. პილსუდსკის გამოსვლა არის არა რევოლიუცია, არამედ ბურჟუაზიულ ძალთა გადაჯგუფება.

ფრანგული ავადმყოფობის შემდეგ დაიწყო ინგლისური ავადმყოფობა. პოლონეთი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველი იარაღი ხდება ინგლისის ხელში".

კომპარტიის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ვოიტიუკმა, რომელმაც განაცხადა: „პილსუდსკის მიერ მოხდენილი გადატრიალება ნიშნავს სამხედრო დიქტატურას კაპიტალისტების ინტერესების სასარგებლოდ. პილსუდსკის სამხედრო კაპიტალისტური დიქტატურა საფრთხეში აგდებს პოლონეთის დამოუკიდებლობას. პოლონეთი უცხოეთის კაპიტალის ბრჭყალებში ექცევა. პილსუდსკის დიქტატურა პარლამენტარული დემოკრატიის გაკოტრებას ნიშნავს. სწორედ ასევე სხვა ქვეყნებშიაც მსხვილი კაპიტალი ცდილობს განთავისუფლდეს წვრილბურჟუაზიულ პარტიებისაგან, რომელნიც პარლამენტში წარმოადგენენ დემოკრატიულ ამომრჩეველთა მასებს. ეს არის ფაშიზმის დამახასიათებელი თვისება".

ვოიტიუკმა თავისი გამოსვლა დაამთავრა სიტყვებით: **„გაუმარჯოს პოლონეთის თავისუფალ საბჭოთა რესპუბლიკას".**

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ვოევუდსკიმ, რომელმაც განაცხადა: „დიქტატორ პილსუდსკის ახალი პროგრამა არ წამოუყენებია. მან დაატყუილა სახალხო მასები. **მოკლული და დაჭრილია 2.000 მუშა და გლეხი.** ისმება კითხვა—რა საჭირო იყო სისხლის ღვრა? პილსუდსკის განცხადებამ, რომ ის წინანდელი სოციალური წონასწორობის მომხრეა, კრაკოვის მაგნატებში და ვილნოს მონარქისტებში სიხარული გამოიწვია. პილსუდსკი ბურჟუაზიის პროგრამას ანხორციელებს. გლეხური მასა მალე დარწმუნდება, რომ მხოლოდ შეურიგებელი ბრძოლა ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ იხსნის მათ თეთრი ზანგების მდგომარეობიდან".

პოლ. სოციალ. პარტიის წევრი **მორაჩევსკი** მოითხოვდა სეიმის დათხოვნას და უმუშევრობის წინაღმდეგ საბრძოლველად გადადებულ თანხების გადიდებას.

უკრაინელთა კლუბის სახელით **კოზინსკიმ** განაცხადა, რომ უკრაინელთა ფრაქცია მთავრობას არ ენდობა.

ბელორუსთა ფრაქციის თავმჯდომარემ **როპულამ** განაცხადა, რომ ეხლანდელ მთავრობისათვის ხმის მიცემა ნაციონალური ღალატი იქნებოდა.

სამინის. სალაროს გაქურდვა

ვარშავა, 27 ივნისი. გაზეთები იტყობინებიან პოლონეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს ექსპედიციის სალაროს გაქურდვის შესახებ. ექსპედიციის სალაროში იყო მოსკოვიდან მიღებული ფოსტა და გარდა ამისა საიდუმლო კორესპონდენცია.

ოფიციალურ ცნობის თანახმად, ბოროტმოქმედებმა დასტოვეს კორესპონდენცია და დაკმაყოფილდენ მხოლოდ უმნიშვნელო თანხის წაღებით სალაროდან.

იტალიის წინააღმდეგ

ვენა, 27 ივნისი. სამხრეთ - სლავიის მთავრობის თავმჯდომარის **უზუნოვიჩის** გადაწყვეტილება იტალია - სამხრეთსლავიის კონვენციის დამტკიცების შესახებ აღშფოთებას იწვევს მთელს სახელმწიფოში. ოპოზიციური წრეების აზრით, კონვენცია . სამხრეთ-სლავიის პოლიტიკურ და სამეურნეო ინტერესებისათვის დიდათ საზიანოა.

მოსახლეობის და სამეურნეო დაწესებულებების პროტესტი ამ შეთანხმების რატიფიკაციის წინააღმდეგ ფართე მასიურ მოძრაობის ხასიათს ღებულობს. მთავრობამ მთელ სახელმწიფოში აკრძალა იტალიის საწინააღმდეგო კრებები და პოლიციას და ჟანდარმერიას მისცა ინსტრუქცია არ შეჩერდენ თვით იარაღის ხმარების წინაშეც. მიუხედავად ჟანდარმერიის ტერორისა **ქალაქებში იმართება მასიური დემონსტრაციები.** პოლიციასთან მომხდარ შეტაკებების დროს **დაჭრილია 50 კაცი და დაპატიმრებულია 100.**

ამის გამო მღელვარება კიდევ უფრო გაძლიერდა.

მოელიან ახალ დემონსტრაციებს.

კაიოს დიქტატურა

ბანკების კონსორციუმი

პარიზი, 27 ივნისი. ოფიციალურ ცნობების თანახმად, საფინანსო ექსპერტების კომიტეტის გადაწყვეტილებით, საჭიროა დაარსებულ იქნეს საფრანგეთის ბანკების კონსორციუმი, რომელმაც ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს ყველა ოპერაციებს მოკლევადიან სესხების დარგში.

კონსორციუმის განკარგულებაში იქნება საბიუჯეტო დოტაცია და აგრეთვე საფრანგეთის მიერ მიღებული გერმანიის რკინისგზების ობლიგაციები.

საფრანგეთის შეერთებულ შტატებისადმი დავალიანების მოწესრიგების შესახებ ექსპერტთა კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია ვაშინგტონში დადებულ შეთანხმების დამტკიცება. **კომიტეტი სთვლის, რომ ფრანკის სტაბილიზაცია შეუძლებელია ამერიკის კრედიტების გარეშე.**

კაიო მოქმედობს

პარიზი, 27 ივნისი. ალჟირის ბანკის დირექტორი მორო, რომელიც დაახლოვებულია კაიოსთან, დანიშნულ იქნა საფრანგეთის ბანკის დირექტორად რობინოს მაგიერ.

დეპუტატის „ხელშეკრულება"

პრაღა, 27 ივნისი. იმ ობსტრუქციის გამო, რომელიც მოწყობილ იქნა ჩეხოსლოვაკიის პარლამენტში აგრარულ გადასახადების განხილვის დროს, **სასამართლო მოითხოვს 21 კომუნისტის** და 6 ნაციონალისტის გადაცემას. **პარლამენტმა დაადგინა გადასცეს სასამართლოს 4 კომუნისტი** და 1 ნაციონალისტი.

ხსენებულ დეპუტატებს მოელით ციხე ათ წლამდე და დეპუტატობის დაკარგვა.

გერმანიაში

პლებისციტის შემდეგ

ბერლინი, 27 ივნისი. რეიხსტაგის იურიდიულ კომისიამ დაამთავრა კანონპროექტის განხილვა ყოფილ სამფლობელო სახლების პრეტენზიების მოწესრიგების შესახებ.

კანონ-პროექტის ყველა მუხლები მიღებულია, მთავრობის პარტიების ხმებით, კომუნისტების და [illegible] და სოციალ-დემოკრატებმა თავი შეიკავეს ხმის მიცემის დროს.

უმუშევრობა გერმანიაში

ბერლინი, 28 ივნისი. შრომის მინისტრმა ბრაუნსმა რეიხსტაგში განაცხადა, რომ მთავრობის განზრახვის მიხედვით უმუშევრობის პრობლემა ეხლანდელ მწვავე მდგომარეობაში დარჩება 1929 წლამდე, რის გამოც უმუშევართათვის დახმარების დასარიგებელი ფონდები სესხით შეივსება ამ პერიოდის განმავლობაში.

მთავრობის პროგრამა უმუშევართათვის დახმარებისა შეიცავს არხების, სახლებისა და დამბების სამუშაოების გაფართოებას.

დამატებითი დათმობანი

ბერლინი, 28 ივნისი. მთავრობის პარტიებსა და სოციალ-დემოკრატებთან მოლაპარაკებამ კომპრომისის შესახებ, საბოლოო შედეგები არ მოიტანა.

ფიქრობენ, რომ მთავრობის პარტიები დამატებით დათმობებზე წავლენ სოციალ-დემოკრატების მიმართ, რომლებიც მოითხოვენ, რომ ზოგიერთ ყოფილ [illegible] ნას გადასინჯული, რაიც აბრკოლებს საკითხის სწრაფად მოწესრიგებას.

წყალდიდობა

ბერლინი, 28 ივნისი. **ძლიერი და ხანგრძლივი წვიმების გამო ადიდდა ჩრდილოეთ-დასავლეთ გერმანიის მდინარეები. მდინარე ოდერმა დაჰფარა 100.000 აკრი მიწა. კარტოფილის ნათესები სრულებით განადგურებულია.**

ჰამბურგიდან მიღებული ცნობით, მდინარე ელბა გადმოვიდა ნაპირებიდან და ტალახით დალეკა განაპირა ადგილები.

დიდია მსხვილფეხა საქონლის ზარალი.

შეერთებულ შტატების კრიზისი

ნიუ-იორკი, 28 ივნისი. მიმდინარე წლის პირველი 4 თვის სტატისტიკური ცნობები გვიჩვენებენ, რომ პროდუქციის ზრდასთან ერთად შეერთებულ შტატებში იწყება გასალების შემცირება.

პროდუქციის ყველაზე მეტი ზრდა საალმშენებლო, ნახშირო, რკინის და ფოლადის მრეწველობას. ფედერალურ სარეზერვო ბანკის ცნობები გვიჩვენებენ, რომ 108 სამრეწველო და სავაჭრო ბანკის საერთო მოგების ჯამი 30%-ით აღემატება წარსულ წლის მოგებას.

თუმცა აპრილის პროდუქცია მეტია წარსული წლის აპრილისაზე, მაგრამ ამა წლის მარტის პროდუქციაზე კი ნაკლებია. საალმშენებლო მრეწველობაში პროდუქციის შემცირება აპრილში, მარტთან შედარებით, 5 პროცენტს შეადგენს. სანახშირო მრეწველობაში ეს შემცირება 573.000 ტონას შეადგენს, ფოლადის მრეწველობაში კი—324.421 ტონას.

გარდა ამისა, **პროდუქციის ზრდას; წარსულ წელთან შედარებით მოთხოვნილების ზრდა კი არა სდევს, არამედ პირიქით, მისი დაცემა.**

განსაკუთრებით ეს ხდება ფოლადის მრეწველობაში, სადაც ამა წლის აპრილის შეკვეთები 13 პროცენტით ნაკლები იყო წარსულ წელთან შედარებით.

საქონლის საწყობებში თავის მოყრაც გასალების შემცირებას გვიჩვენებს. **გასალების პერსპექტივა მომავალში არაა საიმედო,** ვინაიდან გვიანია ამ წელში გაზაფხულის გამო მოსალოდნელია გაცილებით ნაკლები შემოსავალი, ვიდრე შარშან იყო.

ბევრი ეკონომისტი შიშს გამოსთქვამს, რომ პროდუქციის ზრდამ და გასალების შემცირებამ შეიძლება წარმოებაში კრიზისი გამოიწვიოს.

დაუძლეველი ტვირთი

რომელმაც არა ერთი იმსხვერპლა



უკანასკნელი ცნობები

გერმანიის კომპარტიის კამპანია

ბერლინი, 27 ივნისი. გერმანიის კომპარტია დიდ კამპანიას აწარმოებს საკომპრომისო კანონ-პროექტის წინააღმდეგ, უფლილ თავადებისთვის ასანაზღაურებელ ჯილდოს მიცემის შესახებ.

ამასთან ერთად კომპარტია მიზნად ისახავს რეიხსტაგის დათხოვნას, რისთვისაც განზრახული აქვს ობსტრუქციის ტაქტიკას მიმართოს.

რეიხსტაგის კედლების გარეშე მოეწყობა ქუჩის დემონსტრაციები. ოთხშაბათს ლიუსტგარტენში, ბერლინის მასიურ დემონსტრაციების ცენტრალურ ადგილას, შესდგება კომპარტიის მიერ მოწვეული მასიური დემონსტრაცია.

კანონი 8 საათის სამუშაო დღის შესახებ

ლონდონი, 28 ივნისი. შეეხო რა თემთა პალატაში სანახშირო მრეწველობაში 8 საათის სამუშაო დღის კანონს, შრომის მინისტრმა სტილ მეტლენდმა განაცხადა, რომ ეს კანონი სრულიად მარტივი და უბრალოა. 5 წლის პერიოდის განმავლობაში ეს კანონ-პროექტი გადაწყვეტს მუშაობის დამატებით საათებს. ეს ზომა არა მუდმივი ხასიათისაა.

მუშათა პარტიის წევრმა სტევენ უელსმა წინადადება შეიტანა კანონ-პროექტი უარყოფილი იქმნას იმის გამო, რომ (დამახინჯებული) მოთხოვნილება მაღაროებში სამუშაო საათების გადიდების შესახებ საქმეს კი არ გამოასწორებს, არამედ უფრო გააძლიერებს ეხლანდელ კრიზისს სანახშირო მრეწველობაში. ეს ზომა გამოიწვევს ნარდად მომუშავე მუშების სამუშაო ხელფასის შემცირებას და ინგლისის მემაღაროეთა სამუშაო დღის ნახევარი საათით გადიდებას ევროპის ყველა სანახშირო რაიონების მემაღაროებთან შედარებით.

მუშათა პარტიის სხვა წევრები გადაჭრით ილაშქრებდნენ კანონ-პროექტის წინააღმდეგ.

უილსმა სთქვა, რომ კანონ-პროექტი 18 წლით დასწევს უკან მემაღაროებს.

კაპიტალიზმის მომსპობი ცეცხლი.

ლონდონი, 27 ივნისი. კუკმა, რომელიც კემნოკში გამოვიდა 20.000 სამთამადნო მუშის მიტინგზე, განაცხადა:

„თუ ბოლდუინი გაბედავს 8 საათის სამუშაო დღის შესახებ კანონპროექტის გატარებას, იგი მთელ ინგლისში აანთებს ცეცხლს, რომელიც მანამ არ ჩაქრება, სანამ კაპიტალიზმი არ მოისპობა. თუ ბოლდუინი დასთანხმდება, რომ უკან წაიღოს 8 საათის სამუშაო დღის შესახებ კანონპროექტი და იმოქმედოს სანახშირო კომისიის მოხსენების მიხედვით, ჩვენ მაშინ გამოვსცდით შეთანხმებას და სამუშაო ხელფასის რაოდენობას გადავსინჯავთ.

პრესის ერთი ნაწილი აღნიშნავს, რომ კუკი რამდენიმეთ დაშორდა თავის პირვანდელ პოზიციას.

„ხელშეუხებლობა“

პარიზი, 28 ივნისი. პრაგიდან მიღებული ცნობით, ჩეხო-სლოვაკიის პარლამენტმა დეპუტატის ხელშეუხებლობა ჩამოართვა ოთხ კომუნისტს და ერთ სოციალისტს.

შეთქმულება ოსმალეთში

პარიზი, 28 ივნისი. სმირნაში დამოუკიდებლობის ტრიბუნალში დაიწყო ქემალ-ფაშას წინააღმდეგ შეთქმულების მომწყობთა პროცესი. სულ 60 კაცია ბრალდებული. მათ შორის 25 ოპოზიციის დეპუტატია.

ბერლინი, 28 ივნისი. სმირნადან მიღებული ცნობით, ოსმალეთის გენერალური პროკურორი მოითხოვს 9 შეთქმულებაში მონაწილე დამნაშავის სიკვდილით დასჯას, მათ შორის 6 დეპუტატია.

კაიოს გეგმები

ლონდონი, 28 ივნისი. პარიზიდან მიღებული ცნობით, კაიოს განზრახული აქვს გაგზავნოს ბოკანოვსკი ვაშინგტონში იმ საქმეების გამო, რომლებიც ამერიკის ვალების საკითხის შეთანხმებასთანაა დაკავშირებული.

პარიზი, 28 ივნისი. „ეკო-დე-პარის“ ცნობით, კაიო ფიქრობს, რომ საფრანგეთის ბანკი საფრანგეთის საფინანსო საქმეებს უნდა ჩაუდგეს სათავეში და პირველი როლი უნდა ითამაშოს ფრანკის სტაბილიზაციის საქმეში.

ჩან-ძო-ლინს პეკინში ელიან

ბერლინი, 28 ივნისი. გამომგზავრებული ჩან-ძოლინის პირადი დამცველი რაზმი 50.000 კაცამდეა, რომლებსაც პეკინმა უნდა მისცეს სურსათი. ამის გამო მრავალი მაღაზია იხურება. უ-პეი-ფუსაც ელიან პეკინში. ლონდონის პრესა თათბირის შედეგებს პესიმისტურად უყურებს.

ახალი გარეშე საქმეთა მინისტრი

ვარშავა, 28 ივნისი. გარეშე საქმეთა სამინისტროს [illegible] გარეშე საქმეთა მინისტრად დაინიშნა.

კანადის პარლამენტში

ლონდონი, 28 ივნ. ოტავიდან მიღებულ ცნობით, კანადის მთავრობამ არაჩვეულებრივი დამარცხება განიცადა პარლამენტში. კრიზისის გადაწყვეტა გადადებულია სამშაბათამდე—დებატების განახლებამდე, როცა მთავრობა გამოსცდის თავის ძალებს.

ხანძარი დოკებში

პარიზი, 28 ივნისი. ძლიერმა ხანძარმა ანტვერპენის დოკებში 3.000 ტიკი მატყლი გადაწვა.

პოლიტიკურ რევოლიუციის დასაწყისი

ბერლინი, 28 ივნისი. კუკმა განაცხადა, რომ 8 საათის სამუშაო დღის კვლავ შემოღება პოლიტიკურ რევოლიუციის დასაწყისი იქნება ინგლისში.

მემარჯვენენი იარაღდებიან

ბერლინი, 28 ივნისი. „ფორვერტსის“ ცნობით, რეკლინგჰაუზენში პოლიციამ უკიდურეს მემარჯვენე ორგანიზაციებს ჩამოართვა ტყვიის მფრქვეველები და იარაღი.

საფრანგეთი პოლონეთის „განიარაღებას“ ახდენს

ბერლინი, 28 ივნისი. ასპერნის აეროდრომით ვარშავაში ჩავიდა საფრანგეთის ექვსი ჰაეროპლან-ბომბმტყორცნი, თითო 2.000 კილო ასაფეთქებელ ნივთიერებით დატვირთული. ვარშავაში იგი გადაეცემა პოლონეთის მთავრობას. მოელიან კიდევ 26 ასეთ ჰაეროპლანს. გერმანიის მთავრობამ აუკრძალა ამ ჰაეროპლანებს გერმანიის ტერიტორიაზე გადაფრენა.

გაფიცვა და ფრინველთა მოშენება

ლონდონი, 28 ივნისი. ფრინველთა მოშენების საერთაშორისო კონგრესზე, ინგლისის სექციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სანახშირო მრეწველობაში გაფიცვამ ძლიერ დასცა ფრინველთა მოშენება ინგლისში. სამთამადნო მუშებს, მისი სიტყვით, თანდაყოლილი აქვთ ფრინველთა-მოყვარეობა. ეხლა ისინი იძულებული არიან ძვირად გაჰყიდონ ფრინველები თავიანთი არსებობის დასაცავად.

ციკლონი დუნაიზე

ბერლინი, 28 ივნისი. მოულოდნელმა ციკლონმა დიდი ზარალი მიაყენა ვიდინს ბულგარეთში. მრავალი მკვდარია. აუარებელი საქონელი დაიღუპა. ნავთსადგურის შენობები წყალმა წაიღო. მცხოვრებლებს შორის პანიკაა. ზარალი 60 მილ. ლევამდე აღწევს.

ნახშირის გადაზიდვის წინააღმდეგ

ლონდონი, 27 ივნისი. სამხრეთ-უელსის რკინისგზელთა სადელეგატო კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც მოითხოვს, რომ აღმასკომმა დაუყოვნებლივ მოიწვიოს ტრანსპორტელთა ყველა კავშირის კონფერენცია ნახშირის გადაზიდვის აღკრძალვის განხორციელების მიზნით.

ქაღალდად არა ღირს

ლონდონი, 28 ივნისი. სამთა-მადნო მუშების ფედერაციის თავმჯდომარემ ჰერბერტ სმიტმა მიტინგზე განაცხადა:

„მთავრობის კანონ-პროექტი 8 საათის სამუშაო დღის შესახებ იმ ქაღალდადაც კი არა ღირს, რომელზედაც დაწერილია. გეტყვით შემდეგს: **თუ თქვენ ეხლა 8 საათის სამუშაო დღეს დაუბრუნდებით, მაშინ 7 საათის სამუშაო დღეს 50 წლის განმავლობაში ვეღარ მიაღწევთ.**

ავტომობილების დამზადება

ლენინგრადი, 28 ივნისი. იჟორის მეტალურგიული ქარხანა მზადაა და მალე შეუდგება ავტომობილების დამზადებას მასიური მასშტაბით.

პირველი წელში განზრახულია 6.000 მსუბუქი ავტომობილის გამოშვება.

მრეწველობისათვის

მოსკოვი, 28 ივნისი. რ. ს. ფ. ს. რ-ის ეკონომიურმა თათბირმა დაამტკიცა მრეწველობის რ. ს. ფ. ს. რ-ის უმაღ. მეურნ. საბჭოს უწყებებისა და მისი ადგილობრივი ორგანოების კაპიტალური სამუშაოების გეგმა 200.500.000 მანეთის რაოდენობით; მათ შორის ახალ ქარხნებზე მოდის 28.600.000 მან., არსებულზე—171.800 მან.

ამერიკის ნახშირი

ბერლინი, 28 ივნისი. ნახშირის შეტანამ ინგლისში შეერთებულ შტატებიდან 1.250.000 ტონას მიაღწია.

ხელოსანთა კონგრესი

პარიზი, 28 ივნისი. კლერმონ-ფერანში ხელოსნებთა კონგრესი გაიხსნა. კონგრესის უმთავრესი საკითხია—ხელოსნობის განახლება სოფლად.

დემონსტრაციები ლონდონში

ლონდონი, 28 ივნისი. სანახშირო მრეწველობაში 8 საათის სამუშაო დღის შესახებ კანონ-პროექტის მთავრობის მიერ პარლამენტში შეტანის გამო, სამთამადნო მუშების დემონსტრაციებმა დიდი აღფრთოვანებით ჩაიარა.

სამთამადნო მუშების ფართო მასები [illegible] მოითხოვენ ბრძოლის გაგრძელებას.

თავდასხმა მეფე ალფონსზე

პარიზი, 28 ივნისი. „იუროპა პრესის“ ცნობით, 2 ესპანელს განზრახული ჰქონდათ მეფე ალფონსის მოკვლა, როდესაც ის პარიზში იმყოფებოდა.

არის ცნობები, რომ აღნიშნულ თავდასხმას კავშირი აქვს პრიმა-დე-რივერაზე თავდასხმასთან.

დაწვრილებითი ცნობები ჯერ-ჯერობით არ არის გამოქვეყნებული, რადგან პოლიცია საქმის შინაარს საიდუმლოდ ინახავს.

თავდასხმის გამო, ესპანეთში გრძელდება იმ პირთა მასიური დატუსაღება, რომლებიც მთავრობას ოპოზიციაში უდგანან.

დატუსაღებასთან ერთად, ხდება ოპოზიციონერების ბინის ჩხრეკა და აგრეთვე შემჩნეულ პირთა გადასახლება.



მეფე ალფონსი

შეთქმულების აღმოჩენის შემდეგ

სტამბოლი, 27 ივნისი. გამოძიებიდან დამტკიცდა, რომ შეთქმულებაში ქემალ-ფაშის წინააღმდეგ მონაწილეობას იღებდენ ყოფილი პრემიერი რაუფ-ბეი და დეპუტატი ადანა, რომელნიც იმყოფებიან ლონდონში.

ჩინეთის რეაქცია

ლონდონი, 28 ივნისი. პეკინიდან მიღებული ცნობებით, **იქ ჩავიდა ჩან-ძო-ლინი უ-პეი-ფუსთან შესახვედრათ**, რომელსაც მოელიან პაო-ტინ-ფუდან. როგორც სჩანს, ამ შეხვედრის მიზანია ჩინეთის პრობლემის დაუყოვნებლივ გადაჭრა.

პორტუგალიაში

ლონდონი, 28 ივნისი. ლისაბონიდან მიღებული ცნობებით, პორტუგალიის მთავრობამ დაატუსაღა სამი ყოფილი პრემიერი, გენერალი საკარდასა, ზოსე დომინგესი და სანტოს ალვაოკასტრო, რომლებიც გადასახლებულ იქნებიან აზორის კუნძულებზე.

ლისაბონის გაზეთების წარმომადგენლებთან საუბრის დროს, შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ პერიოდიულ პრესისათვის დაწესდება ცენზურა.

გერმანიის მუშები მემარცხენდებიან

ბერლინი, 27 ივნისი. მთელ გერმანიაში სწარმოებს დელეგატების არჩევა მელითონეთა რეფორმისტულ პროფკავშირებს ყრილობისათვის.

არჩევნები სწარმოებს მწარმოებელთა შემოტევისა და უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგით. არჩევნებში გამოდიან ამსტერდამისა და ოპოზიციონურ მიმდინარეობის სიებით. ბერლინში გაიმარჯვა ოპოზიციის სიამ, რომელმაც 13.095 ხმა მიიღო, ამსტერდამისამ კი მხოლოდ 9.570 ხმა. გერმანიის სხვა ქალაქებშიაც ოპოზიცია იმარჯვებს. არჩევნების შედეგებს დიდ მნიშვნელობას აძლევენ. ხელმძღვანელ წრეებში ამ არჩევნებზე ამბობენ, რომ იგი მაჩვენებელია მუშათა მასების გამემარცხენებისა.

„მემაღაროეს წითელი კირკა“

მოსკოვი, 28 ივნისი. „მემაღაროეს წითელი კირკის“ ორკვირეული, რომელიც მოსკოვის კომკავშირმა ჩაატარა 26 და 27 ივნისს, დიდის წარმატებით დამთავრდა.

ყულაბებითა და აგრეთვე ხელის-მოწერის ფურცლებით ფულის მოგროვება ხდებოდა საზოგადო კრებებზე, თეატრებში, კინოებში, საგარაკო ვაგონებში, სადგურებში და ბაზრებზე.

შეგროვილი თანხის რაოდენობა ამ მოკლე ხანში გამოირკვევა.

კომკავშირის მოსკოვის კომიტეტმა დაადგინა ინგლისის მემაღაროეებისადმი დახმარების კამპანია 5 ივლისამდე გააგრძელოს.

ამხ. ორჯონიკიძე, ორახელაშვილი და ქართველიშვილი სამხრეთ-ოსეთში

ცხინვალი, 28 ივნისი. დღის 2 საათზე ცხინვალში ჩავიდენ ამხ. **ორჯონიკიძე, ორახელაშვილი და ქართველიშვილი.**

მოსახლეობა დიდი სიხარულით მიეგება სტუმრებს.

სტუმრები იმავე დღეს გაემგზავრენ სოფლებში გლეხობის გასაცნობად.

ცხინვალი, 28 ივნისი. დღეს სოფელ ჯავაში შესდგა გლეხთა დიდი მიტინგი, რომელზედაც სიტყვებით გამოვიდენ ამხ. ორჯონიკიძე, ორახელაშვილი და ქართველიშვილი.

ამხ. ორახელაშვილმა, ორჯონიკიძემ და ქართველიშვილმა მოისმინეს გლეხების მისალმებები და შემდეგ გამოჰკითხეს შეკრებილ გლეხობას სასოფლო მეურნეობის მდგომარეობისა და მათ საჭიროებათა შესახებ; ისინი შეჰპირდენ გლეხებს, რომ მეურნეობის აღდგენისა, სკოლების მოწყობის და სხ. საქმეში მთავრობა აღმოუჩენს დახმარებას.

რა ხდება ქართულ ემიგრაციაში

ჩხეიძის თვითმკვლელობისა და ვეშაპელის მოკვლის გარშემო

რას მოგვითხრობენ ფრანგული გაზეთები: „ლიუმანიტე“ და „კოტიდიენ“-ი

„ლიუმანიტეს“ შეკითხვა ჩხეიძის შესახებ. რენოდელის პასუხი. ირაკლი წერეთლის განცხადება

გაზ. „კოტიდიენ“-ი სწერს ჩხეიძეზე: „სასოწარკვეთილმა და იმედდაკარგულმა იმაში, რომ მოესწრებოდა იმ იდეების გამარჯვებას, რომლებისთვისაც ის იბრძოდა, მან სცნო რომ მისი მუშაობა გათავდა და მოიკლა თავი“.— ირაკლი წერეთელი აცხადებს „კოტიდიენ“-ში: „უკანასკნელი წლები მან გაატარა განდეგნაში. ის მოკვდა, მან თავი მოიკლა, იმედგაცრუებულმა, სასოწარკვეთილმა“.

რატომ მოიკლა თავი ჩხეიძემ

საქართველოს მენშევიკური რესპუბლიკის ყოფ. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე, ჩხეიძე, რომელმაც თავის მოკვლა სცადა, უკვე გარდაიცვალა პარიზის ერთ-ერთ კლინიკაში.

როგორც მკითხველს ეხსოვნება, ჩხეიძე აქტიური მონაწილეობა მიიღო რუსეთის თებერვლის რევოლუციაში 1917 წელს და საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის პირველი თავმჯდომარე იყო. ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების დაპყრობის შემდეგ ის საქართველოში წავიდა და 1921 წლის თებერვლამდე საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე იყო: ეს რესპუბლიკა ინგლისელების ინტრიგების იარაღად გადაიქცა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. როცა ქართველი ხალხი აჯანყდა და საბჭოთა რესპუბლიკა დაარსა, ჩხეიძე პარიზში გაიქცა და მას შემდეგ ამ ქალაქში ცხოვრობდა.

სხვადასხვა მოსაზრება შეიძლება არსებობდეს ამ მენშევიკების ბელადის სიკვდილის ასახსნელად. შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ მას საბოლოოდ იმედი დაეკარგა ბოლშევიკური რეჟიმის დამხობისა საქართველოში და ხელი აიღო ბრძოლაზე.

ამ აზრის გავრცელებას სცდილობს გაზეთი „კოტიდიენი“ (რადიკალ-სოციალისტების ორგანო, რომელშიც პიერ რენოდელი თანამშრომლობს), ერთად ერთი ორგანო, რომელმაც გუშინ დილით აღნიშნა ეს ამბავი.

მაგრამ „კოტიდიენმა“ უნდა იცოდეს, რომ ჩხეიძის ყალიბის მებრძოლი ასე ადვილად უარს არ იტყვის ბრძოლაზე.

თუ მან ეს გადაწყვეტილება მიიღო, ალბათ სხვა მოსაზრებები ჰქონდა, რომელიც შეიძლება „კოტიდიენმა“ იცოდეს, მაგრამ ვერ ამხელდეს. მიტომ რომ თუმცა ჩხეიძე, ისეთი ადამიანი იყო, რომელიც ენერგიულად აწარმოებდა პოლიტიკურ ბრძოლას. მაგრამ **ის უკან იხევდა ზოგიერთ ბრძოლის მეთოდის წინაშე.**

დღეს-დღეობით დავკმაყოფილდებით იმით, რომ ბ. რენოდელის გაზეთს რამდენიმე კითხვას მივსცემთ:

როგორ მოხდა, რომ თუმცა „კოტიდიენმა“ ჩხეიძის თვითმკვლელობის განზრახვის ამბავი რამდენიმე დღის წინათ იცოდა, მაგრამ არაფერი გაუმხილა თავის მკითხველებს?

რით აიხსნება გაზეთის ეს გაურკვეველი ცნობა: „ერთ დღეს, დილის რვა საათზე მან თავის მოკვლა განიზრახა“?..

რატომ საათი აღნიშნული და დღე კი არა? რის დამალვა უნდოდა გაზეთს?

რა მიზნისთვის უნდოდა გამოექვეყნებინა კერენსკის გაზეთს „დნის“ ჩხეიძის სიკვდილი, როცა მან 9 ივნისს შემდეგი ცნობა გამოაქვეყნა:

„ჩხეიძემ თავის მოკვლა სცადა: ჩვენ გვატყობინებენ, რომ ჩხეიძემ თავის მოკვლა განიზრახა. მან ყელი გამოიჭრა დანით (შემდეგ ორი სიტყვა წაშლილია). ჩხეიძის მდგომარეობა მძიმეა. ამ მომენტში, როცა გაზეთი იბეჭდება (ერთი სიტყვა წაშლილია) ჩვენ კიდევ არ შეგვიძლია ამ ამბის საბოლოოდ დადასტურება“.

ჩვენი გაზეთის კერძო ცნობებით კი ჩხეიძე 7 ივნისს სისხლის მორევში ნახეს.

7 ივნისის შემდეგ დუმილი ჩამოვარდა. და მხოლოდ 13 ივნისს, როცა ამ ამბის დამალვა აღარ შეიძლებოდა, „კოტიდიენმა“ ბუნდოვანი ცნობა გამოაქვეყნა.

უეჭველია, რომ აქ პოლიტიკური დრამა იმალება, რომელიც შეიძლება განმარტავს ტერორისტ—მენშევიკების მიერ მიღებული ტაქტიკას.

მაგრამ სანამ ამ საიდუმლოებას ფარდა აეხდებოდეს, ჩვენ ქართველ კონტრ-რევოლიუციონერ ემიგრანტებს და მათ მეგობარს „კოტიდიენს“, რამდენიმე კითხვას მივსცემთ, რომელიც მათ არ შეუძლიათ უპასუხოთ დასტოვონ.

როდის „მოიკლა თავი“ ჩხეიძემ, 7 ივნისს, თუ ივნისის ერთს გაურკვეველ დილას?

რა არის მისი თვითმკვლელობის მოტივი?

რატომ დამალეს ეს ამბავი?

რით აიხსნება გაზეთ „დნის“ ხარვეზები?

იმ წუთში, როცა მენშევიკების აგენტი ვეშაპელს ჰკლავდა, მენშევიკების ბელადი ყელ გამოღადრული იპოვეს.

რა ხდება ქართველი მენშევიკების წრეში?

„ლიუმანიტე“ 14 ივნისი.

ვეშაპელის დასაფლავება

მიგრანტებმა და რევოლიუციონერებმა მენშევიკების მსხვერპლი დიდებულათ დაასაფლავეს.

დილის ცხრა საათიდან გვირგვინები და ფაიგულები მოჰქონდათ მედიკურ ინსტიტუტის საგანგებო დარბაზში, სადაც ვეშაპელის ცხედარი იყო დასვენებული.

მეზობელ ქუჩებში პოლიციის აგენტების საბარგო ავტომობილები სდგანან. მთელს მანძილზე ინსტიტუტსა და სასაფლაოს შუა პოლიციის ძალებია გაფანტული.

„დასასვენებელ ოთახში“, სადაც ნახევრად ახდილ კუბოში ვეშაპელის თავი სჩანს, მრავალმა მეგობრებმა უკანასკნელი სალამი უძღვნეს განსვენებულს.

ათის ნახევარზე პროცესია დაიძრა. თავში ამხანაგების ორ წყებას უზარმაზარი გვირგვინები მიაქვთ: სამგლოვიარო ეტლი წითელი ყვავილებითაა დაფარული. ახალგაზრდა ქართველები და რუსები წესრიგს იცავენ. სამგლოვიარო პროცესია, რომელშიც ათასზე მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა უსიტყვოთ, მწყობრად მისდევს წითელ ეტლს. დროშები არ არის. კოკისპირული წვიმა მოდის, მაგრამ ვეშაპელის მეუღლე ბოლომდე ფეხით მისდევს ქმრის ცხედარს..

გამვლელები ქუდს იხდიან, მუშები დიდხანს სდგანან თავშიშველნი და ამბობენ: „ეს ქართველია“..

სასაფლაოს მივაღწიეთ... წვიმა კიდევ უფრო მატულობს... ეტლი ჩერდება ხეივანში და ქართველებს ცხედარი ხელით მიაქვთ ატალახებული გზით. ერთი კედლის წინ განცალკევებული საფლავია გათხრილი, ფიცარზე მოკლე წარწერაა გაკეთებული: **„გრიგოლ ვეშაპელი, 35 წლისა“**. ხალხი მჭიდროვდება. ერთმა მეგობარმა რამდენიმე გამოსასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ქართულად, მაგრამ აი უცებ ხმამაღლა გაისმა „რევოლიუციური სამგლოვიარო სიმღერა“:

„თქვენ გახდით მსხვერპლი“...

ყველანი თავმოხდილნი მღერიან, თუმცა კოკისპირული წვიმა ასხამს. ჰიმნი ძლიერდება, ის რაღაც ვაჟკაცური სევდით, უძლეველი იმედით არის გამსჭვალული, მაშინ ვეშაპელის [illegible] ქვითთანი იხლართება, ბოლოს ყოველივე სწყდება და უკანასკნელი გამოთხოვების ბუტბუტი ისმის...

წითელი გვირგვინები ჰფარავენ საფლავს: მათ შორისაა უზარმაზარი გვირგვინი საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობისა, შემდეგ საბჭოთა ორგანიზაციების ფრანგ მოსამსახურეებისა, საფრანგეთში მყოფ რუსი მუშებისა, რუსი მელითონეებისა, „ახალი საქართველოს“ რედაქციისა, „სამშობლოში დაბრუნებულთა“, პიუტოს ქარხნის მუშებისა, სომხურ გაზეთ „ერივანის“ რედაქციისა, „ახალი საქართველოს“ ასოციაციისა, სტუდენტების კავშირისა, რემდასისა და სხ.

ხალხი ნელ-ნელა იშლება. დამსწრეები ესალმებიან ქალბატონ ვეშაპელს, რომელიც გაფითრებული სდგას საფლავთან... გაისმის კუბოზე მიყრილი მიწის ხმა, მენშევიკებსა და კონტრრევოლიუციონერების მსხვერპლი სამუდამოთ იფარება.

ბ. ა.

ამავე დღეს პერ ლაშეზის სასაფლაოზე ათი ათასმა მუშამ მოიყარა თავი იმ კედლის წინ, რომელიც დახოცილ კომუნარების სამახსოვროდ არის აშართული. „გაუმარჯოს კომუნას, გაუმარჯოს საბჭოებს“. ამ ძახილით მიესალმა მანიფესტაცია კომუნის ერთ მცხოვან წევრს, რომელმაც თავის სიტყვაში განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირმა შური იძია პარიზის კომუნის დამარცხებისათვის. შემდეგ მთელმა პროცესიამ ვეშაპელის საფლავთან გაიარა და რეაქციის ამ ახალ მსხვერპლს პატივი სცა და ათი ათასმა პარიზელმა მუშამ აღთქმა დასდო, რომ ამ სამწუხარო მოვლენიდან სათანადო დასკვნას გამოიტანენ.

„ლიუმანიტე“ 14 ივნისი.

კერენსკის პროვოკაცია

ბ. კერენსკის გაზეთი „დნი“, რომელიც ყოველდღიურად გამოდის პარიზში, 11 ივნისის ნომერში კომენტარიებს უკეთებს ჩვენი ამხანაგის ვეშაპელის მკვლელობას, თვალთმაქცურად გაზომილ ტერმინებით, მაგრამ ისე კი რომ ნათლად სჩანს მისი თანაგრძნობა მკვლელისადმი. ისე გამოდის, რომ დამნაშავეა, რასაკვირველია, მსხვერპლი, ე. ი. გრიგოლ ვეშაპელი.

ჩვენ აზრადაც არ მოგვივიდოდა, რომ ამ გარემოებისთვის ყურადღება მიგვექცია; სოციალისტ-რევოლიუციონერები, ისევე როგორც მონარქისტ-ემიგრანტები თავიანთ როლს ასრულებენ, როცა ფრანგული ფაშიზმის ტონით ლაპარაკობენ.

მაგრამ ჩვენ არ მოვითმენთ, რომ ამ პარტიამ ფაშიზმის მანერებიც შეითვისოს.

ამავე ნომრის მეოთხე გვერდზე, პირველივე სვეტში, ბ. კერენსკის რედაქცია თავის თავს ნებას აძლევს და ერთი პროფესორის სახელს ახსენებს, რომელიც საბჭოთა პლატფორმაზე სდგას; შედარების მეთოდი, რომელსაც ამ შემთხვევაში გაზეთი ხმარობს, ნამდვილ პროვოკაციას წარმოადგენს.

დაე, ბ. კერენსკი ფრთხილად იყოს! მისი თაღლითობა და სიმხდალე ჩვენთვის კარგად არის ცნობილი. ჩვენ მას პასუხისმგებლად ჩავთვლით ყოველივე უგუნური მოქმედებისთვის, რომელსაც ეს თუ ის გიჟი ჩაიდენს, რათა „რუსეთს“ ემსახუროს სოციალ-ფაშიზმის სახელით.

პროლეტარიატის მოთმინების ფიალა აივსო.

როცა ადამიანი „დასავლეთის დემოკრატიის“ ნასუფრალით სცხოვრობს, ბატონო კერენსკი, ის თავის კუთხეში უნდა იჯდეს წყნარად. ლოცეთ და გამოხარით ის ძვლები, რომელსაც პატრონები გადმოგიგდებენ, მაგრამ ნუ ჰყეფავთ. ხმა ჩაიკმინდეთ!

„ლიუმანიტე“ 13 ივნისი.

გაზ. „კოტიდიენ“-ი კ. ჩხეიძის შესახებ

„ერთს დილას, რვა საათზე, უძილო ღამის შემდეგ, შეწუხებულმა უბედურების მოჩვენებით, მან თავის მოკვლა განიზრახა და რამდენჯერმე სამართებელი გამოისვა ყელში.

როცა რამდენიმე წუთის შემდეგ მის ოთახში ქალბატონი ჩხეიძე შევიდა, მისი ქმარი უგრძნობლად იწვა სისხლის მორევში. მან ის საჩქაროდ გადაიტანია პარიზში, სერჟან-ჰოფვის ქუჩის საავადმყოფოში, სადაც მიღებული ზომების მიუხედავად ის პარასკევს გარდაიცვალა.

მას იმედი დაეკარგა, რომ ის იდეები, რომლისთვისაც ის იბრძოდა ოდესმე გაიმარჯვებდა. დარწმუნდა, რომ მისი როლი დამთავრებული იყო და [illegible]

„კოტიდიენ“ 13 ივნისი.

ჟურნალისტის წერილები

ქართული მენშევიზმი და მისი სოციალური საფუძვლები

ქართული მენშევიზმის სოციალური ბაზა

ჩემი აზრით, ქართული მენშევიზმის წარმოშობას, განვითარებასა და გაძლიერებას ჩვენში სამმა გარემოებამ შეუწყო ხელი:

ა) **ჩვენი პროლეტარიატის აჭრელებულმა შემადგენლობამ, მისი სოციალური ფენების სხვადასხვაობამ, და წვრილბურჟუაზიულ ელემენტების სიმრავლემ და აქტივობამ.** ჩვენი ხალხის სოციალური შენობის უმთავრეს ფენას წარმოადგენდა წვრილბურჟუაზიული ელემენტი და მე-19 საუკუნის მიწურულიდან იგი დიდ როლს თამაშობდა ჩვენი ცხოვრების ვითარებაში. ეკონომიურად, ჩვენში კაპიტალისტური მეურნეობის განუვითარებლობის გამო, წვრილი ბურჟუაზია და საშუალო ბურჟუაზია მაგრად იდგა, პოლიტიკურად კი, სამოქალაქო ცხოვრების განვითარების გამო, სოფელსა და ქალაქს შორის მტკიცე ურთიერთობის განვითარებით, ინტელიგენტური მასის გამრავლებით იგი აქტიურ როლს თამაშობდა უკვე 90-იან წლებიდან. წვრილი ბურჟუაზია გამრავლდა ქალაქში, ამოძრავდა სოფლად და იგი ეძებდა აქტიურსა და მომქმედ ორგანიზაციას. მას ხუთავდა და ბორკავდა რუსული სახელმწიფოს პოლიტიკური არტახები და სახელმწიფოებრივი აპარატი.

ბ) ამოძრავებულმა წვრილმა ბურჟუაზიამ ვერ ჰპოვა შესაფერისი დახმარება და ძალა 90-იან წლებში ჩვენში არსებულ პარტიებში. **ჩვენი ცხოვრების სინამდვილემ ვერ მოგვცა მასიური და ხალხთან დაკავშირებული პოლიტიკური პარტია 90-იან წლებამდე.** ნაროდნიკული მიმდინარეობა ჩვენში სახელით იყო ნაროდნიკული (ხალხოსნური). ფაქტიურად იგი ინტელიგენციის მცირედი კონტინგენტით იფარგლებოდა. ხოლო 90-იან წლებისათვის მისი სოციალ-პოლიტიკური კონცეპციები სრულიად გამოუსადეგარი გამოდგა ჩვენი ცხოვრების სინამდვილისათვის. ამრიგად ერთი-ერთი მიმდინარეობა (ჩვენ არას ვამბობთ ლიბერალურ - თავად-აზნაურულ მიმდინარეობაზე), რომელიც ხალხურ სახელს ატარებდა, ორგანიზაციულად მოწყვეტილი იყო ხალხისაგან, ხოლო იდეოლოგიური მხრივ გამოხატავდა წვრილბურჟუაზიის რეაქციონურ ნაწილის სულისკვეთებას. ამ მხრივ იგი გაკოტრებული იყო. აქედან ცხადია, რომ წვრილი ბურჟუაზია, რომელიც ამოძრავდა ახალ ეკონომიური ცხოვრების ნიადაგზე, ვერავითარ რეალურ დახმარებას, ვერც იდეოლოგიური ხელმძღვანელობისა და ვერც ორგანიზაციულ - პოლიტიკური მხრივ, ვერ ჰპოვებდა ნაროდნიკულ მიმდინარეობაში. ამრიგად წვრილ ბურჟუაზიას არ ჰყავდა თავისი შესაფერისი პარტია ჩვენში; მას იგი აუცილებლად უნდა ეპოვა და ჰპოვა კიდეც. ეს პარტია მენშევიკების პარტიაა, მის იდეოლოგიურ გამომხატველად შეიქნა მენშევიზმი, ხოლო 90-იან წლებში მის ინტერესებს გამოხატავდა ის ნაკადი ქართულ მარქსიზმში, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევდა ნ. ჟორდანია.

გ) წვრილი ბურჟუაზია ჩვენში გამოეხვია მარქსიზმის ქურქში, მარქსისტული ნიღაბი გაიკეთა. ეს გარემოება გამოიწვია ინტელიგენციის მიერ მარქსიზმის **ცუდად გაგებამ.** როგორც მკითხველი ქვევით დაინახავს, ინტელიგენციის ნაწილმა (ნ. ჟორდანია და სხ.) რამოდენიმედ შეითვისეს მარქსიზმის მხოლოდ ეკონომიური მხარეები, ხოლო ამ მოძღვრების რევოლუციონური სისტემა მათთვის გაუგებარი დარჩა. წვრილმა ბურჟუაზიამ და მისმა იდეოლოგიამ მარქსიზმის სისტემიდან განდევნა მათთვის სახიფათო რევოლუციონური მხარე და ამრიგად „მარქსიზმი“ შეუფარდა, შეუწონა თავის ინტერესებს, თავის მიზნებს. მოხდა მარქსიზმის ფალსიფიკაცია: დამახინჯდა მარქსიზმი სამაგიეროდ გაძლიერდა ქართული წვრილი ბურჟუაზია. იზარალა მარქსიზმმა, სამაგიეროთ მოიგო იმავე სოციალურმა კლასმა. როგორც შტრიხი, დამახასიათებელი არის შემდეგი მომენტი: ნ. ჟორდანიამ თავისი მოღვაწეობა, **ამხ. ფილიპე მახარაძის** მოწმობით, **ნაციონალ-დემოკრატიულ** პროგრამის წამოყენებით დაიწყო; ამხანაგების ზეგავლენით მან ეს შესცვალა, მაგრამ შემდეგ ნაროდოვოლცების ბანაკში ამყოფ თავი. ამის შესახებ თვით ნ. ჟორდანია ამბობს თავის მოგონებაში: „მე მაგონდება პირველი კრება მარქსისტებისა 1892 წელს ყვირილაში. ჩვენ ვიყავით მცირედი: მე (ნ. ჟორდანია), ეგნატე ინგოროყვა (ნინოშვილი), კ. ჩხეიძე, ი. კაკაბაძე, დ. კალანდარიშვილი: ს. ჯიბლაძე კახეთში იყო და დასწრება არ შეეძლო; ჩვენ მიზნად დავისახეთ დაგვეწერა მარქსისტული პროგრამა, და როდესაც ის ჩვენ დავწერეთ, ვნახეთ, რომ ის (პროგრამა) ნაროდოვოლცური იყო და არა მარქსისტული. მაშინ ვსთქვით, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არა ვართ მარქსისტები“.[1] ნ. ჟორდანიამ, მისი თქმით, მხოლოდ ევროპაში შეითვისა ნამდვილი მარქსიზმი პლეხანოვის ზეგავლენით. (Только получив творения Плеханова, мы стали понимать Маркса“).

ეს არ არის მარტო თეორიული ძიება, სწავლითა და ცოდნით დაინტერესებულ პიროვნებებისა, ეს პოლიტიკური შინაარსის ძიებაა: გამოფხიზლებული წვრილი ბურჟუაზია ეძებს თავის შესაფერის ფორმას, იგი ხან ნაციონალ-დემოკრატიის ქურქში ეხვევა, ხან ნაროდოვოლცების მოსასხამს ისხამს, ხან კი მარქსიზმის ნიღაბს იკეთებს. მაგრამ ამაზედ უფრო ვრცლად ქვემოთ.

ახლა დავუბრუნდეთ ზემოდ დაწყებულ პირველ დებულებას.

ჩვენში პროლეტარული კლასის წარმოშობის პროცესი რამოდენიმედ წააგავს რუსეთის პროლეტარიატის წარმოშობის პროცესს. როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიაც, პროლეტარიატის მთავარი კადრები უმთავრესად სოფლის ცხოვრებიდან გამოსულ ელემენტებისაგან სდგება. ევროპის ქალაქებმა განვლეს საშუალო საუკუნეების ისტორიული სკოლა მთელი თავისი წარმოებითა და ცხვური სისტემით. ბურჟუაზიულმა განვითარებამ ეს საზოგადოებრივი ფენები დაარღვია, დაშალა და აქედან წარმოსდგა ევროპის თანამედროვე ქალაქების წვრილი ბურჟუაზია და პროლეტარული ელემენტები. ევროპის პოლიტიკური რადიკალიზმი, როგორც ცნობილია, უმთავრესად საშუალო საუკუნეების სკოლაგანვლილ ქალაქის წვრილ ბურჟუაზიაზე ეყრდნობოდა. მაგრამ მაშინ, როდესაც ევროპის ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებას ახასიათებდა სამი, ბურჟუაზიული ურთიერთობის ნიადაგზე აღმოცენებული, კლასი: ა) მსხვილი ბურჟუაზია, ბ) წვრილი ბურჟუაზიისა და გ) პროლეტარიატის,—ჩვენს ქალაქებს 90-იან წლებისათვის ახასიათებდა უმთავრესად წვრილბურჟუაზიული და პროლეტარული ფენები, ხოლო ბურჟუაზიული კლასი, (ლაპარაკია ქართულ ბურჟუაზიაზე), როგორც ასეთი, ჩანასახს წარმოადგენდა.*) მაგრამ ეს ორი უმთავრესი ფენა ჩვენში ქალაქური ცხოვრებისა **თავისი გენეალოგიით სოფლური შთამომავლობისა** იყო. როგორც ვიცით, ქალაქურმა ცხოვრებამ მე-18 საუკუნის გასულამდე ვერ გაიდგა ფართოდ ფესვები და ვერ განვითარდა, ხოლო აქ, თბილისში, სადაც ასე თუ ისე ცენტრი იყო აღმოსავლეთ საქართველოსი, ქალაქის მცხოვრებთა უმეტესობას შეადგენდა სომხობა. 1835 წ. ორესტ ევეცკის მოწმობით თბილისში იყო 25.290 მცხოვრები; აქედან სომხობას შეადგენდა 18.220, ქართველობას კი 4217 კაცი [2]). მოქალაქობრივ ცხოვრების განუვითარებლობასთან ერთად არც წარმოება იყო განვითარებული თბილისში; იგივე ევეცკი სწერს: „В Грузии нет фабрик за исключением тифлисской шелкомотальной“ (იხ. გვ. 134). ავტორის მოწმობით, თბილისში იყო 1818-დე სხვადასხვა სავაჭრო და წვრილი საწარმოო დაწესებულება. ამ დაწესებულებებში მომუშავენი წარმოადგენდნენ სწორედ თბილისის წვრილბურჟუაზიულ ელემენტებს. მაგრამ რამოდენიმე ათეულ წლების განმავლობაში თბილისის მცხოვრებთა რიცხვი მნიშვნელოვანად იზრდება: 1865 წელს თბილისის მოსახლეობის რაოდენობა უდრის 67.770; 1886 წ.—78.445; 1897 წ.—160.645; 1891 წ. ქართველთა რაოდენობა უდრიდა 38.357; რუსების—36.113; სომხების 55.553; ასე სწრაფად იზრდებოდა ჩვენი ქალაქი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. ხოლო ეს ზრდა არ ხდებოდა ქალაქის მცხოვრებთა ბუნებრივი ზრდის გზით. აქ უმთავრესად თავს იყრიდა გარედან მოსული ელემენტები რუსეთიდან და სხვა მხარეებიდან—სომხობა და რუსობა; სოფლებიდან კი ქართველობა. ბატონ-ყმობის მოსპობამ, გლეხის იურიდიულად „განთავისუფლებამ“ ხელი შეუწყო სოფლებიდან ქალაქებში [illegible] ნაწილის გადასახლებას; მაგრამ ამ პროცესს ღრმა ეკონომიური მიზეზები ედვა სარჩულად. გლეხი „განთავისუფლდა“ იურიდიულად, ხოლო მისი ეკონომიური პირობები კი მეტად სამწუხარო და დაცემული შეიქნა. ამ საკითხს ჯერ კიდევ 70-იან წლებში შეეხო ცნობილი პუბლიცისტი ს. მესხი გაზ. „დროება“-ში. იგი სწერდა:

„ახლანდელ ჩვენებურ გლეხის უმეცრებას, სიღარიბეს და დაცემას, სხვათა შორის, ორი ეკონომიური ძალა უწყობს ხელს: სოფლის ვაჭრები, ანუ უკეთ ვსთქვათ ფულის გამსესხებელი და ნაბატონრები. ძალიან კარგად ვიცით, რომ მარტო ჩვენის სიტყვითა და რჩევით არც ჩვენებური ნაბატონარი, რომელზედაც ვამბობთ, შეიქნება თავის მოძმის შემბრალებელი და არც ვაჭარი-გულ-ლმობიერი. ვერც რომ ვიყვიროთ, თუ ამ ნაბატონარმა თავის მიწაზე ნახევარი შემოსავლის გამორთმევა მოუხერხა გლეხს, გამოართმევს; რამდენიც უნდა ურჩიოთ ფულის გამსესხებელს, თუ კი შეიძლო, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ერთ თუმანში სარგებლად ორ, სამ, ოთხ თუმანს ან მის ღირებულ ნამუშევარს გადაახდევინებს წლის დამლევს გაჭირვებულ გლეხს. სანამ გლეხი საკუთარი მამულის პატრონი, დამოუკიდებელი მემამულე არ შეიქნება, მანამ ნაბატონარებსა და იმის ნაყმებს შუა ახლანდელი დამოკიდებულება არ მოისპობა. სანამ ჩვენებური გლეხის მდგომარეობა ცოტათი მაინც არ გაუმჯობესდება ეკონომიურის მხრით, სანამ სწავლის ლამპარი მკრთალ სხივს მაინც არის არ მოფენს იმის უბედურ და ბნელ ცხოვრებას, ერთის სიტყვით, სანამ თავის საცხოვრებლად და ყოველგვარი ხარჯის გადასახდელად იმას ფულის შეძლება არ ექნება, მანამ უნდა იცოდეთ, რომ ჩვენი გლეხი ვაჭრებისა და ფულის გამსესხებლების კლანჭებიდან ვერ განთავისუფლდება“. [3])

აი სწორედ ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ფულის მოსაპოვებლად ქართველი გლეხი გაექანა ქალაქისაკენ, ხოლო აქ იგი უძლურებული იყო უმთავრესად თავისი ძალღონე გაეყიდა და ყოველდღიურ შრომით ეცხოვრა. ასე ჩამოყალიბდა ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში ახალი სოციალური კლასი—პროლეტარიატი მე-19 საუკ. მეორე ნახევარში. შესაძლებელი არის ამის წინ ეპოქაშიც არსებობდა ჩვენში **შრომის გამყიდველი** ელემენტი ქალაქებში (სტამბებში, ქარხანაში და სხვა დაწესებულებებში). ეს შეიძლება, მაგრამ, როგორც ასე თუ ისე თვალსაჩინო ძალა, იგი წარმოიშვა გასული საუკუნის მეორე ნახევარში და უმთავრესად სოფლის გლეხობის ხარჯზე. თუ რამდენად განვითარდა ჩვენში ეკონომიური დაწინაურების ნიადაგზე 90-იან წლებში მუშათა კლასი, ამის შესახებ ჩვენ მოვიყვანთ ამხ. **ფ. მახარაძის** ნარკვევიდან შემდეგ დასაბუთებულ ცნობას. ამ ცნობის მიხედვით თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში 1887 წელს ირიცხებოდა 12.315 მუშა: ხოლო 1893—4 წლებისათვის ეს რიცხვი გაიზარდა ორივე გუბერნიებისათვის 22.828-დე. ეს ფაქტები ამოწმებენ, რომ პროლეტარიატი—მუშათა კლასი—უკვე ჩამოყალიბდა ჩვენში და იგი 90-იან წლებისათვის ჩვენი საერთო ცხოვრების საგრძნობ ძალად გადაიქცა.

მაგრამ როგორი არის მისი ხარისხი, უკეთ, როგორ ელემენტებისა და სოციალურ ფენებისაგან შესდგება იგი. ჯერ კიდევ 1895 წ. ს. ჯიბლაძე სწერდა:

„ჩვენი პროლეტარიატი არეულ სხეულ წარმოადგენს. აქ უმეტესობას მცირე მამული აქვს, რომელიც [illegible] სახლში კი. ნამდვილად კი გადატაკებული ბოგანოა. ესენი, მუშა ხალხია, რომლის ბედ-იღბალი დამოკიდებულია, როგორც საქონლის, ისე მუშათა ხელის ბაზარზე. ისინი სულ გამოტერების გზას დაადგნენ“. [4])

ჩვენ ვფიქრობთ სწორი იქნება, თუ შემდეგ კატეგორიებს გამოვჰყოფთ ჩვენი მუშათა კლასის რიგებში: 1) **ეს არის ნამდვილი პროლეტარი, „მონარშული კაპიტალისტურ ქარხანაში“**: 2) **ნახევრად-პროლეტარული ელემენტი**, რომელიც სავსებით არ გასცილებია სოფელს: ცალი ფეხით სოფელში სდგას, ცალი ფეხით კი ქალაქში. ეს ასე ვსთქვათ სოფლისა და ქალაქის შემაერთებელი რგოლია, 3) **ნახევრად-გლეხური ელემენტი**, რომელიც ქალაქში და წარმოებაში სეზონობით მუშაობს, ხოლო უმთავრეს დასაყრდონობ ბაზას მაინც სოფლის მეურნეობა შეადგენს. ასეთი არის და ასეთივე იყო ჩვენი მუშათა კლასის სოციალური შემადგენლობა. ეს ფაქტი ამტკიცებს ჩვენი პროლეტარიატის ღრმა კავშირს გლეხობასთან: მათ შორის პოლიტიკური და რევოლიუციონური თანამშრომლობის დამყარებას. მაგრამ ამ თანამშრომლობის დამყარების დროს საკითხავია: რომელი ელემენტი რომელი პოლიტიკას ემორჩილება? თუ სასწორი გადაიხრით გლეხობისაკენ, მაშინ პროლეტარიატი ითქვიფება წვრილ-ბურჟუაზიულ მასაში და მუშათა პარტიას აუცილებლად გადაგვარება მოელის, ხოლო თუ სასწორი პირუკუ იქნება გადახრილი, მაშინ ჩვენ ვღებულობთ პროლეტარიატსა და მისი პარტიის ჰეგემონიის წვრილ დემოკრატიულ მასაზე. **ეს საჭიროა დავიმახსოვროთ მენშევიზმის ბუნების გამოსარკვევად.**

მაგრამ შემცდარი იქნება დებულება, რომ სოფელმა მხოლოდ ქალაქის პროლეტარიატი მოგვცა. სოფლის წიაღიდან გამოსულმა ფენებმა აავსეს და გააძლიერეს **აგრეთვე ჩვენი ქალაქის წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტებიც** (წვრილი ვაჭრობა, მოხელენი, ინტელიგენცია, ხელოსნები და სხვა). ეს ძალიაც საგრძნობლად გაიზარდა ჩვენს ქალაქებში. ამ წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტების ზრდის შესახებ ჩვენ ხელთ არ არის ამჟამად სრული ცნობა. მის ტენდენციას საგრძნობლად გადაშლის ჩვენს წინ **მოსწავლე ახალგაზრდობათა** საერთო რიცხვის ზრდა თბილისის და ქუთაისის გუბერნიებში: ეს მოსწავლე ახალგაზრდობა მომავალი ინტელიგენცია არის, მაშასადამე მომავალი წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტიც.

15 წლის (1887—1902) განმავლობაში ორივე გუბერნიის **ყველა სასწავლებლებში** წოდების მიხედვით იყო მოსწავლე: თავად-აზნაურობის—1887 წ.—5.685 (23,5 პროც); 1902 წ.—9.935 (16,3 პროც); **სასულიერო წოდების** 1887 წ.—873 (3,5 პროც.); 1902 წ.—1.515 (2.5 პროც.); **მოქალაქეთა წოდების**: 1887 წ. —4.646 (18,6 პროც); 1902 წ.—13.807 (22,7 პროც.); **გლეხობის**—1887 წ.—13.233 (52,9 პროც.); 1902 წ.—34.620 (56,9 პროც.). [5])

ეს მშრალი ციფრები საგრძნობლად მეტყველებენ იმ საერთო ტენდენციაზე, რომელმაც შეიპყრო 30—35 წლის განმავლობაში საქართველო. მისი სოციალური სტრუქტურა საგრძნობლად შეიცვალა და მასთან სწავლა-განათლება აჩქარებულის ტემპით შეიჭრა მასაში. მოქალაქისა და გლეხობის წოდებამ მეტად მოზრდილი რიცხვით (79,6 პროც.) გადააჭარბა სხვა წოდებებს. ჩვენი წვრილი ბურჟუაზია ამოძრავდა და იგი ხარბად დაეწაფა სწავლა-განათლებას, **ხოლო ინტელიგენციის კადრის გამრავლებამ დიდათ შეუწყო ხელი ამ წვრილი ბურჟუაზიის პოლიტიკურ ამოძრავებასაც.** ინტელიგენცია ვეღარ თავსდება ცარიზმის პოლიტიკურ არტახებში და იგი თავისუფლებას მოითხოვს.

შესაძლებელი არის საქართველოს საზოგადოებრივი შენობა 90-იან წლებისათვის შემდეგი სოციალური კლასების მიხედვით დახასიათდეს: 1) განადგურების გზაზე მდგარი თავად-აზნაურობა, როგორც ეკონომიურად ჯერ კიდევ ძლიერი წოდება, 2) ჩანასახის პირობებში მყოფი ქართული ბურჟუაზია; 3) მრავალრიცხოვანი წვრილი და საშუალო ბურჟუაზია; სოფლისა და ქალაქის მცხოვრებნი; 4) მუშათა კლასი.

ამ სოციალურ ძალთა ურთიერთობაში გადამჭრელ როლს თამაშობდა მხოლოდ სამი ფენა: თავად-აზნაურობა, პროლეტარიატი და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიული ელემენტები. ამ საზოგადოებრივ ურთიერთობაში, პოლიტიკურ ბრძოლის მომენტებში ბურჟუაზია, როგორც მომქმედი ძალა არ არსებობდა. ამით ჩვენი ცხოვრების პოლიტიკური ფონი მნიშვნელოვანად განსხვავდებოდა ევროპისა და რამოდენიმედ რუსეთის ცხოვრებისაგან. სამაგიეროდ ჩვენში წვრილი ბურჟუაზია უფრო აქტიური და მომქმედი გამოდგა. ევროპის სინამდვილისათვის მარქს-ენგელსი სწერდენ: „იმ ქვეყნებში კი, სადაც თანამედროვე ცივილიზაცია განვითარდა, წარმოიშვა და, როგორც ბურჟუაზიული საზოგადოების დამატებითი ნაწილი, მუდამ ახლად იბადება **ახალი წვრილ-ბურჟუაზიული კლასი, რომელიც პროლეტარიატსა და ბურჟუაზიის შორის ქანაობს**“.

მაგრამ ჩვენში რა კი საზოგადოებრივი და პოლიტიკურ ურთიერთობაში ბურჟუაზია გადამჭრელ როლს ვერ თამაშობდა, წვრილ ბურჟუაზიას საქანებლად დარჩა პროლეტარიატსა და მთავრობას შორის დარჩენილი ბრძოლა. წვრილი ბურჟუაზია ჩვენში იტანჯებოდა არა კაპიტალიზმის განვითარებით, არამედ მისი განუვითარებლობით, არა კაპიტალისტური ურთიერთობით, არამედ დიდტანიან ბიუროკრატიული სახელმწიფოს აპარატით. ამიტომ იგი ებრძოდა ამ აპარატს და მხარს უჭერდა პროლეტარიატს. მაგრამ მის სამოღვაწეო პროგრამას შეადგენდა არა სოციალური რევოლიუცია, არამედ დემოკრატიული წყობილება და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება. ეს ზედმიწევნით აღნიშნა **ნ. ჟორდანიამ** ერთს თავის მოხსენებაში; იგი ამბობს: „ეს კლასი (წვრილი ბურჟუაზია) პოლიტიკურად ემხრობა რევოლიუციონურ კლასებს, ხოლო სოციალურად, რადგან ჯერ კიდევ არ განუცდია მსხვილი ბურჟუაზიის გამანადგურებელი გავლენა, დაინტერესებული არის წარმოებისა და მსხვილი კაპიტალის განვითარებაში“.

აქ სისწორით არის აღნიშნული ცხოვრების ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი: **წვრილი ბურჟუაზია ჩვენში მსხვილი კაპიტალისტური წარმოების მომხრედ გამოდის.** ეს გარემოება ნათელს ჰფენს ჩვენი პოლიტიკურ ცხოვრების ფონზე აღმოცენებულ სხვა მომენტებსაც. ჩვენში სოციალ-ფედერალისტური პარტია წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენციის წიაღიდან გამოვიდა, იგი იდეოლოგიურ ნათესაობას ამკვიდრებდა რუსეთის ნაროდნიკობით, ხოლო პრაქტიკული პროგრამის მიხედვით კი მსხვილი კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარებას მოითხოვდა ჩვენში. ამ გარემოების სოციალურ ბუნებას თქვენ ვერ გაიგებთ, თუ ნ. ჟორდანიას ზემოყვანილი მოსაზრება არ მიიღეთ მხედველობაში ქართული წვრილ-ბურჟუაზიის შესახებ. მაგრამ ეს ფაქტი საშუალებას გვაძლევს არა მარტო სოციალ-ფედერალიზმის სოციალური ბუნების გასაგებად, არამედ თვით მენშევიკური საიდუმლოების გასაგებათაც. მენშევიზმი, როგორც მეორე სახის უფრო ძლიერი წვრილ-ბურჟუაზიული პარტია, იმავე კაპიტალიზმის განვითარებით გამოდის ჩვენში, როგორც არ. ჯორჯაძემ წამოაყენა 1901 და 1904 წლებში: ფაქტიურად ნ. ჟორდანია ჯორჯაძის ეკონომიურ პროგრამას ანხორციელებდა თავის პრეზიდენტობის დროს. ამრიგად გარკვეული ობიექტიური პირობების გამო წვრილი ბურჟუაზია თავიდანვე ჩვენში იძულებული იყო პროლეტარიატს მიმხრობოდა, მის ორგანიზაციაში შესულიყო. ამ გარემოებას ხელს უწყობდა აგრეთვე ჩვენში წვრილ-ბურჟუაზიული დამოუკიდებელი პარტიის განუვითარებლობა. ნაროდნიკული მიმდინარეობა, როგორც ვწერდი, ინტელიგენციის ვიწრო წრეებს ეხებოდა ფაქტიურად და მას მასასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა გაბმული, მაგრამ ამ მიმდინარეობამ სრულიად ვერ აართვა ალღო ჩვენი ცხოვრების სინამდვილეს და მისი ეკონომიური პროგრამა არსებითად მიმართული იყო კაპიტალიზმის განვითარების წინააღმდეგ. წვრილი ბურჟუაზიის ინტერესი მოითხოვდა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას, ნაროდნიკული ინტელიგენცია კი ძველი ეკონომიური ფორმების დაცვის პროგრამას აყენებდა; წვრილი ბურჟუაზია პოლიტიკურ აქტივობასა და ორგანიზაციულ მოქმედებას ითხოვდა, ინტელიგენცია კი პასიურ ლოდინის თეორიებს აყენებდა. ამრიგად მასისა და ინტელიგენციის სავალი გზები დაშორდა ერთი მეორეს: პირველი ცხოვრებას მისდევდა კვალდაკვალ, მეორე კი მას ჩამორჩა. პირველი პროგრესიული იყო თავის ეკონომიური პროგრამით, მეორე კი რეაქციონური. აი რას ამბობდა ნაროდნიკული მიმდინარეობის ერთი ცნობილი წარმომადგენელი **ლალი (გ. ლასხიშვილი)**:

„ჩვენს ქვეყანაში დღეს კაპიტალისტური წესწყობილება არა თუ არ არსებობს, პირიქით, ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა ხელს უშლის ამ ფორმების დამყარებას... ევროპის ახლანდელი ეკონომიური ფორმა უთუოდ შეიცვლება უფრო სამართლიანისა და უფრო ჩინებული ფორმით. ამ ფორმას ჩვენი ერი შეგნებული ინტელიგენციის დახმარებით ადვილად შეითვისებს, თუ ქართველთა ცხოვრების კალაპოტი გაფართოვდა, რასაც უნდა მიექცეს უმთავრესი ყურადღება. მანამდის კი ჩვენი მეცადინეობა და ეკონომიური მოღვაწეობა იმაში უნდა გამოიხატოს, რომ ჩვენი დღევანდელი სიმდიდრის და ერთად ერთი განძის დაცვისათვის და ამ სიმდიდრის წესიერი მოხმარებით ჩვენი ეკონომიური წარმატებისათვის ყოველივე ღონისძიება ვიხმაროთ, ეს სიმდიდრე—მიწაა; ეს განძი რომ ხელიდან არ გამოგვეცალოს, საჭიროა ის მოგროვდეს იმათ ხელში, ვისაც მისი მოვლა შეუძლია; საჭიროა მიწამ იმდენი ხეირი მისცეს მამულს, რამდენიც საკმარისია ნივთიერ და სულიერ დღევანდელ ცხოვრების დასაკმაყოფილებლად.“ [6])

ამრიგად **ლალის** აზრი კაპიტალისტური წარმოების გვერდის ავლით, წვრილ-ინდივიდუალურ მეურნეობის ნიადაგზე ინტელიგენციის დახმარებით შესაძლებელი არის სოციალიზმის დამყნა. ნუ განვავითარებთ ჩვენში კაპიტალიზმს, შევინარჩუნოთ ჩვენი წვრილ-ამქრული წარმოება და პატრიარქალური მეურნეობა, დრო დადგება, ევროპა განახორციელებს სოციალიზმს, და აქედან შეგნებული ინტელიგენცია მას გადმონერგავს ჩვენს ნიადაგზე. მაგრამ ეს ეკონომიური პროგრამა აღარ შეესაბამებოდა ჩვენი ცხოვრების სინამდვილეს: ა) კაპიტალისტურმა ურთიერთობამ მოიკიდა ფეხი ჩვენს სინამდვილეში, ბ) ამის ნიადაგზე განვითარდა კლასიური დიფერენციაცია. ასეთ პირობებში კაპიტალიზმის საწინააღმდეგო ეკონომიური პროგრამის წამოყენება იქნებოდა ცხოვრების უკან დახევა: ძველი ქონებრივი ურთიერთობის ჩარჩოებში ძველი წარმოებისა და საზოგადოებრივი დამოკიდებულების მოთავსება რეაქციონური და უტოპიური იყო. ამიტომ ეს მიმდინარეობა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ფონიდან რაღაც 6 წლის განმავლობაში აღმოფხვრეს, და 1901 წლიდან მან ადგილი დაუთმო ახალი სახის წვრილ-ბურჟუაზიულ მიმდინარეობას—სოციალ-ფედერალიზმს. ძველი სახის ნაროდნიკობა მოკვდა, რადგან იგი ჩამორჩა ცხოვრების მიმდინარეობას, მასმასა არ გაჰყვა, მან სხვა გზა მოიძებნა თავის სამოღვაწეოდ.

საით მიემართებოდა ეს გზა?

ჩვენ უკვე ავღნიშნეთ, რომ ჩვენი წვრილი ბურჟუაზია ობიექტიური პირობების გამო პროლეტარიატს ამოუდგა გვერდში და მასთან ერთად მოინდომა მტკიცე ორგანიზაციის შექმნა. აქაც ჩვენ სიტყვას **ნ. ჟორდანიას** დაუთმობთ, თავის მემარცხენეობის პერიოდში, 1905 წელს იგი სწერდა:

„საკვირველია ის, რომ ჩვენში, რუსეთში, სადაც მსხვილი კაპიტალის განუვითარებლობით წვრილი კაპიტალი დიდ როლს თამაშობს, წვრილი ბურჟუაზია მაგარი, მრავალი და თავალდებული, მისი პარტიები კი სუსტი და უძლურია. მუშათა პარტიამ წინ გაუსწრო მათ და ბრძოლის ველს დაეპატრონა: ნაციონალისტები, სოციალ-რევოლიუციონერები და სხვა დემოკრ. პარტიები უჯარო სარდალთა გროვაა. მათი ჯარი კი მუშათა პარტიას ემხრობა; გლეხობა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზია სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობას სცნობს და პარტიაში შემოდის, და ეს განსაკუთრებით ჩვენში კავკასიაში. რუსეთში კი პარტიას მოაწყვა განსაკუთრებით ინტელიგენცია და თან შემოაქვს თავისი წვრილბურჟუაზიული აზროვნება და ფსიქოლოგია. ნათქვამის ბუნება კარებიდან რომ განდევნო, ფანჯრიდან შემოვა. წვრილი ბურჟუაზიული კლასები თავის პარტიებში ვერ გამაგრდნენ, სამაგიეროდ ისინი მაგრდებიან ჩვენ პარტიაში. ამით ბურჟუაზიულ აზროვნებამ შემოხეთქა სოციალ-დემოკრატიის კედლები და მას ემუქრება შიგნიდან“. (ხაზი ჩვენია. ს. ხ. [7])

აქ ფაქტი სისწორით არის აღნიშნული.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართული მენშევიზმი, რომელიც გარკვეულ სისტემაში 1903 წლის შემდეგ ჩამოყალიბდა, ანარეკლი არის ამ წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტებისა. მენშევიკური იდეოლოგია და მისი სისტემა ერთი ათეული წლის განმავლობაში მზადდებოდა ჩვენში ინტელიგენციის მიერ. ხოლო ამ მზადების პროცესში თავის შესაფერის გავლენას ახდენდა ჩვენი ცხოვრების შემდეგი სოციალური ფენები: ა) ქალაქის წვრილი ბურჟუაზია (მოხელეები, ინტელიგენცია, ხელოსნები), ბ) სოფლის დაწინაურებული გლეხობა და გ) ნახევრად პროლეტარული ელემენტები. **აი ის ელემენტები წარმოადგენენ ქართული მენშევიზმის სოციალურ ბაზას.** [8]) ეს ელემენტები შეიჭრნენ პარტიაში და თან შეიტანეს წვრილ-ბურჟუაზიული მიდრეკილება, მენშევიზმის ხელმძღვანელობამ იგი გაალამაზა და სისტემაში მოიყვანა.

აქ ზედმეტი არ იქნება თვალი გადავავლოთ ამ სისტემის იდეოლოგიურ მომენტებსაც.

სიმონ ხუნდაძე

(შემდეგი იქნება)

---

[1] Н. Жордания „За два года“. გვ. 105.—1919 წ.

*) აქ საჭიროა [illegible] გავახსენოთ მკითხველებს, რომ კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას ჩვენში ხელს უწყობდა უმთავრესად რუსეთის ეკონომიური პოლიტიკაც.

[2] Орест Евецкий—Статистическое описание „Закавказского края“ 1835 წ. გვ. 143.

[3] „დროება“ № 12. 1875 წ. (ხაზი ჩვენია. ს. ხ.)

[4] იხ. „კვალი“ № 14. 1895 წ.

[5] იხ. „მოამბე“ № 6. 1904 წ. გ. გოგიჩაიშვილის წერილი: „სხვადასხვა წოდებანი საქართველოში სწავლა-განათლების მხრივ“. გვ. 93.

[6] იხ. „ივერია“ № 34. 1895 წ.

[7] იხ. ნ. ჟორდანია: „დემოკრატია და სოციალ-დემოკრატია“, გვ. 18-19 (წერილი [illegible] 1905 წ.).

[8] თავის მოხსენებაში საქართველოს სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შესახებ, ნ. ჟორდანია სწერს:

Таким образом, общественые отношения Грузии складываются тремя демократическими классами: рабочего, крестьянства и мелкой буржуазии, которые и составляют социальный базис для постройки грузинксаго государства. Государство при таких условиях может быть только демократическим или оно ие может быть вовсе“ (გვ. 113).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული
ყოფილ მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილების ორგანო

ახალი გზა

კოწია სულაქველიძის რედაქტორობით

სამშაბათი, 29 ივნისი 1926 წ.
გაზ. „კომუნისტი"-ს ორკვირეული დამატება
№ 15.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭიროა დაუნდობელი ბრძოლა შოვინიზმის წინააღმდეგ

კარლოს თვითმკვლელობა და ვეშაპელის ვერაგული მოკვლა გვიჩვენებენ ჩვენ, თუ რა უკიდურეს სასოწარკვეთილებამდეა მისული კომუნისტებთან მებრძოლ პარტიათა ბლოკი, ეს ორი ფაქტი აშკარავებს იმ ღრმა უიმედობას, რომელსაც მოუცავს დღეს კონტრ-რევოლიუციონერთა ბანაკი. „არსაიდან ხმა, არსით ძახილი" — აი სიტყვები, რომლებიც სავსებით ახასიათებენ მათ დღევანდელ სულიერ განწყობილებას. მაგრამ რომ მხოლოდ ჩვენ მოწინააღმდეგეთა მებრძოლ ძალთა მდგომარეობით იყოს გამოწვეული ეს უსასტიკესი პესიმიზმი, მაშინ, მართალია ეს ფაქტი ბევრის მთქმელი იქნებოდა, მაინც არავითარი საბუთი არ გვექნებოდა გვეფიქრნა, თითქოს ეს პესიმიზმი მუდმივი ხასიათის მოვლენაა; მაშინ ადვილი დასაშვები იქნებოდა ის, რომ შესაძლებელია ასეთი სულიერი განწყობილება მტრის ბანაკში ხვალ სხვა სულიერი განწყობილებით შეცვლილიყო. განა ცოტა იყო მაგალითი ჩვენ რევოლიუციონურ წარსულში, რომ ერთი სულიერი განწყობილება მეორეთი იცვლებოდა? რასაკვირველია ბევრი. ოღონდ დღეს ჩვენს ცხოვრებაში ადგილი აქვს ბევრს ისეთ ფაქტს, ჩვენ თვალწინ მიმდინარეობენ ისეთი განსაცვიფრებელი მოვლენანი, რომლებიც აშკარად ყოფენ, რომ დღევანდელი სულიერი განწყობილება გარდამავალი ხასიათის არ არის, რომ ის გამოწვეულია იმ იდეოლოგიის საბოლოოდ გაკოტრებით, რომელიც შეითვისა და შეისისხლხორცა ეგრედ წოდებულმა საქართ. სოც. დემოკრ. მუშათა პარტიამ დღიდან თავის დაარსებისა. ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს და დღესაც ვიმეორებთ, რომ **ქართულმა მენშევიზმმა სრულიად მიატოვა მარქსისტული მსოფლმხედველობა და ამ მსოფლმხედველობიდანგამომდინარე ბრძოლის მეთოდები** და სავსებით შეითვისა ის აზრთა კრებული, რომელიც წინათ შეადგენდა განსაკუთრებულ კუთვნილებას კაცი-ჭამია ნაციონალისტებისას. ჩვენ შოვინისტებთან ოცი წლის უსასტიკესი ბრძოლის შედეგათ მივიღეთ თვით ჩვენ მიერ მტკიცეთ შესისხლხორცება იმ შეხედულებებისა, რომელთაც ჩვენ ასე თავგამოდებით ვებრძოდით. და არც ერთი მოვლენა ისე აშკარათ არ ნათელ ყოფს ზემო ნათქვამს, როგორც ზოგ გონება დახშულ და გრძნობის გავლენის ქვეშ მყოფ მენშევიკთა დამოკიდებულებას ჩვენ სამშობლოში მცხოვრებ სხვა ერებისადმი და განსაკუთრებით სომხებისადმი. ჩვენ ყოველი ჯურის შოვინისტებს სძულთ და სძაგთ რუსები, მაგრამ ის გრძნობა, რომელსაც მენშევიზმის ბელადები სომხებისადმი განიცდიან ყოველ საზღვარს გადაცილებულია. ასეთ სულიერ განწყობილებას ამა თუ იმ ერისადმი შეიძლება შევხვდეთ თქვენ მხოლოდ უკულტურო და ნახევრად ველურ ფანატიკოს ხალხთა შორის და განსაცვიფრებელი ის არის, რომ მას ყველა ხედავს, ამას ყველა უყურებს და არავითარი ნაბიჯი არ იდგმის მის მოსაფხვრელად. პირიქით, [illegible] თავის [illegible] საფუძველს აძლევს მის [illegible].

23 ივნისს მე მიწვეული ვარ ერთ ერთ კრებაზე, სადაც დღიურ წესრიგში იდგა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ვებრძოდეთ ჩვენ მარქსისტები რელიგიოზურ ცრუმორწმუნეობას ხალხში. ეს კაი დასაჭირო საქმეა, მაგრამ გარწმუნებთ, რომ რელიგიოზური იდეები იმდენ სიმწვავეს არ წარმოადგენენ ამიერ-კავკასიის ხალხთა მომავალ ცხოვრებისთვის, როგორც ეს უკიდურესად მოწამლული, ნაციონალისტური შუღლის ქადაგება. ამიტომ თუ საჭიროა პირველთან ბრძოლა, ათჯერ და ასჯერ მეტ საჭიროებას წარმოადგენს ბრძოლა მეორესთან.

თუ რამდენად არის ეს საჭირო ამას მე მიმტკიცებს ის ორი დოკუმენტი, რომელიც ეს ჩემ ხელთ არის. ერთიცა და მეორეც ეკუთვნის იმ პირთ, რომლებმაც ყოველგვარი კავშირი გასწყვიტეს კომუნისტებთან მებრძოლ ავანტიურისტებთან და საქვეყნოდ აღიარეს თავიანთი თანაგრძნობა საბჭოთა ხელისუფლებისადმი. ორთავეს განვლილი აქვთ მარქსიზმის სკოლა და ორთავენი აღჭურვილნი არიან მუშათა ინტერესებისათვის ბრძოლის დიდი სტაჟით. და მიუხედავათ ამისა ორთავენი ერთი და იმავე სიტყვებით გამოთქვამენ აღშფოთებას, რომ ქ. თბილისში „დვორნიკთა" თანამდებობები დაკავებული აქვთ ვიღაც „იანცებს" და ეს არა მარტო მათი აზრია; ეს არის შეხედულება ყველა იმათი, რომლებიც ერთ დროს თავის თავს სოციალისტებს უწოდებენ და დღეს ან განზე დგანან და ერთგვარ პოლიტიკურ ატროფიას განიცდიან, ან ხელისუფლების წინაშე ჩხირკედელაობენ. ამაზე მეტი დაცემა და გახრწნა ყოფილ სოციალისტისა ჩემთვის წარმოუდგენელია. ის უკულტურო ხალხებიც კი, რომლების შესახებ ზემოთ მოგახსენებდით, არ სთვლიან საჭიროდ სამუშაოზე მიმავალ მუშას მოსთხოვონ ეროვნების პასპორტი და წყეულიმც იყოს ის სოციალიზმი, რომელიც ასეთ მოთხოვნებს აყენებს მუშებისადმი. და ასეთი სოციალიზმი კაი ხანია დაგმობილი და დაწყევლილია მთელი ქვეყნის მუშების მიერ. მას ქადაგებდენ მხოლოდ კათოლიკე სოციალისტები და ფაშისტი სოციალისტები. ჩვენ გვეცოდინება, რომ დღეს ასეთი სოციალიზმი ასულდგმულებს ჩვენს მენშევიკებსაც. ოღონდ მარტო მის ცოდნა არ კმარა. **საჭიროა უსასტიკესი და დაუღალავი იდეური ბრძოლა ამ ყვითელი სოციალიზმის წინააღმდეგ,** რომ მას ყოველგვარი ნიადაგი მოესპოს საქართველოში.

მე ვწერ ქართულ შოვინიზმზე, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, თითქოს სომხის ინტელიგენციის ზედა ფენები მოკლებულნი იყვნენ ამგვარივე მოწამლულ კაცი - ჭამიაობას. დაშნაკელთა სული თავს დასტრიალებს მათ და სხვადასხვა ცხვრის ტყავში გახვეული შეუმჩნევლად და სისტემატიურად აღვივებს და ავრცელებს ყველა კავკასიის ერებისათვის დამღუპველ სულიერ განყობილებას.

უსასტიკესი ბრძოლა ყოველი ჯურის, ყოველი ხასიათის შოვინიზმთან სომხური იქნება ეს, თუ ქართული სულ ერთია —აი ერთად - ერთი გზა, რომელიც იხსნის ჩვენ პატარა ერებს დაღუპვისაგან. არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ მთლიანი სოციალ - დემოკრატიული პარტია პირველი რევოლიუციის ხანაში სწორედ მით იყო ძლიერი, სწორედ მით მოიხვეჭა მან ყველა ერების მუშებისა და გლეხების უდიდესი ნაწილის თანაგრძნობა, რომ ის მოკლებული იყო ყოველგვარ შოვინიზმს. და მეტი სიმტკიცე, მეტი ენერგია გამოჩენა შოვინიზმთან ბრძოლაში კიდევ უფრო მეტ თანაგრძნობას და ენტუზიაზმს გამოიწვევს დღეს იმ მუშებსა და გლეხებ შორის, რომელნიც მთლიანად შემოკრებილნი არიან კომუნისტური წითელი დროშის გარშემო.

კ. სულაქველიძე.

◆

ქართული ემიგრაცია

ყოველივე სამოქალაქო ომს და რევოლიუციას თან ახლავს ემიგრაციის საკითხი.

საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ ხომ წარმოშვა დიდძალი ემიგრანტული მასები.

ასეთივე ისტორია განმეორდა რუსეთშიც. აქაც რევოლიუციამ ჯერ ისტორიაში არ ნახულმა თავის სიდიდით და სოციალური შინაარსით, წარმოშვა დიდძალი ემიგრაცია. რისგან შესდგება რუსეთის ემიგრაცია? მონარქისტებისა, კადეტებისა, ესერებისა და ესდეკებისაგან. ამათში ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი ჯგუფები არის მონარქისტები. ეს ის ხალხია, რომელთაც პროლეტარულმა რევოლიუციამ ჩამოართვა პოლიტიკური და ეკონომიური პრივილეგიები. ასეთივე მდგომარეობაშია კონსტიტუციონალ დემოკრატების ჯგუფებიც. ესენი, როგორც მსხვილი და საშუალო ბურჟუაზიის წარმომადგენელნი პროლეტარიატის მიერ დამარცხებულნი ემიგრაციაში ფუსფუსებენ. ამათ მისდევს რუსის ესერები და რუსი მენშევიკები. ესენი ორთავენი რეფორმისტული სოციალიზმის სკოლის პარტიებია, მე-2 ინტერნაციონალის წევრებია და სოციალისტურ ქურქში გახვეულნი მემარცხენე ფლანგია ანტისაბჭოთა ემიგრაციის ბლოკისა. არის თუ არა რაიმე საერთო ამ ზემო ჩამოთვლილ ემიგრანტთა ჯგუფებში? რასაკვირველია, საერთო არის. ყველა ამათ სძულთ და ეზიზღებათ საბჭოთა რეჟიმი და კომუნისტური პარტია.

ყველა ესენი დღემუდამ, აქვეყნებენ თავიანთ ემიგრანტულ ჟურნალ-გაზეთებში უსინდისო და ინსინუაციებით ტენდენციურათ განზრახ შეთხზულ ჭორებს. დიახ, ემიგრანტების პრესა, მონარქისტებიდან დაწყებული გათავებული ესერებით და ესდეკებით, ყველანი ერთი ფრონტით გამოდიან საბჭოთა წყობილების საწინააღმდეგოთ, ხატავენ ამ წყობილებას ჯოჯოხეთურ სურათებით და ყოველივე უმზგავსოებას, რაც კი ენით გამოითქმის და კალმით დაიწერება, აწერენ ამ წყობილებას და მის მედროშე კომუნისტურ პარტიას.

ეს რეაქციონური ჯგუფები ერთმანეთს ეცილებიან კომუნისტური პარტიის ლანძღვა-გინებაში. ესენი ყველა ერთათ ამუშავებენ ეგრედ წოდებულ ევროპიულ საზოგადოებრივ აზრს საბჭოთა წყობილების საწინააღმდეგოთ. თვით ევროპის ბურჟუაზიული პრესა ნოყიერათ იკვებება და სარგებლობს იმ ინსინუაციებით და ტენდენციური ცნობებით, რაიც მრავლათ მოიპოვება ემიგრანტების ჟურნალ-გაზეთებში. და ამ ჭორებს ერთხანს მართლაც ჰქონდა გასავალი...

მაგრამ ევროპიელი კომუნისტები სასტიკათ შეებრძოლენ ამ გამათახსირებელ ჭორებს და გააჩაღეს კამპანია ემიგრანტების და თავიანთ ქვეყნის ბურჟუაზიულ პრესის წინააღმდეგ. ამ კამპანიას ის მოყვა შედეგად, რომ ევროპის მუშათა კლასმა სხვადასხვა სახელმწიფოებიდან დარაზმა და საბჭოთა კავშირში წარმოგზავნა მუშური უპარტიო და პარიტეტული კომისიები, რომლებშიც შედიოდენ არა მარტო კომუნისტი-მუშები, არამედ ს.-დემოკრატებიც და ბევრნი კიდევ უფრო მემარჯვენე სოციალისტებიდან. ასეთი დელეგატები წარმოგზავნილი იყვნენ: გერმანიიდან, იტალიიდან, ინგლისიდან და მრავალ სხვა სახელმწიფოებიდან და როდესაც ამ კომისიებმა თავის თვალით იხილეს საბჭოების ყოფა-ცხოვრება, ასწონ-დასწონეს, შეისწავლეს და ანალიზი გაუკეთეს ნახულ და შეცნობილ რთულ მდგომარეობას, დაბრუნებულებმა ევროპაში, თვით უამბეს, როგორც ევროპის მუშებს, ისე სხვა საზოგადოებრივ ჯგუფებს ჭეშმარიტი მდგომარეობა და ის მიღწევანი, რაც ყველასათვის თვალსაჩინოდ დასანახია. ამ ევროპიელ მუშათა კომისიების მოგზაურობა საბჭოთა კავშირში ერთობ მიუღებელი და დიდათ დამაფიქრებელი შეიქნა როგორც რუს ემიგრანტ სოციალ-დემოკრატებისთვის და ესერებისთვის, ისე ქართველ მენშევიკებისათვისაც, ვინაიდან ევროპიელმა დელეგატებმა ინახულეს როგორც რუსეთი, ამიერ-კავკასია, ისე საქართველო—ინახულეს ჩვენი „პარიტეტჩიკები". ჰქონდათ აგრეთვე საუბარი ყოფ. მენშევიკებთან (ამხ. ძამანაშვილის ჯგუფთან) და დაბრუნების შემდეგ ევროპაში ვრცელი მოხსენებები გაუკეთეს მუშათა აუდიტორიებს. აი აქ შეშფოთდენ ქართველი ემიგრანტების ლიდერები, ვინაიდან ამ კომისიების მოხსენების შემდეგ აშკარათ გამოირკვა ევროპიელ მუშებისთვის საქართველოში მომხდარ ამბების (1924 წლ. აჯანყება) დედა აზრი და აგრეთვე მენშევიკური პარტიიდან მუშების მასიური წასვლის მნიშვნელობა.

ევროპაში ქართველი მენშევიკები ავრცელებდენ იმ აზრს, რომ აჯანყება, რომელიც მოხდა 1924 წ. სტიქიურათ დაიწყო და პარტიას ამის მოწყობაში არავითარი წილი არ მიუძღვის, პარტია მხოლოდ მაშინ ჩაერია ამ მოძრაობაში, როდესაც ფაქტის წინაშე დადგა, ვინაიდან მას არ შეეძლო ასეთ მომენტში ხალხი მიეტოვებიაო.

ასეთ ცინიზმით კვებავდა ევროპიულ მეგობრებს და ფართო საზოგადოებას მენშევიკები. თვით მეორე ინტერნაციონალის ლიდერებმა ვანდერველდემ, ტომასმა და დე-ბრიუკერმა, რომლებიც 1925 წ. მაისში ჩეხიის დედა ქალაქში, პრაღაში, დაესწრენ ეგრედ-წოდებულ „ბალკანეთის სოციალისტების კონფერენციას" და რომლებთანაც ჩვენ გვქონდა მუსაიფი საქართველოს საკითხზე, განაცხადეს, რომ საქართველოს ს.-დემოკრატებს მიეღოთ ყოველივე ღონისძიება და ჩაეშალათ ის აჯანყება, რომელმაც საქართველოში თითქოს სტიქიურათ იფეთქა, ეს საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა შექმნილ მდგომარეობიდანო. ქართველი ამხანაგები,—ამბობდენ ისინი,—ჩვენ გვარწმუნებდენ, რომ მათ დიდი გავლენა აქვთ ხალხში და თუ ეს ასეა, სტიქიის შეჩერებაც შეეძლოთო"...

ამას შემდეგ ყველასათვის აშკარა არის, როგორ მუხანათურ პოლიტიკას აწარმოებდენ გაბრაზებული, გონება მიჩლუნგებული ემიგრანტი-ლიდერები. ისინი აქ, საქართველოში, თავის მრევლს უსინდისოთ ატყუილებდენ, მეორე ინტერნაციონალი და სოციალ-დემოკრატიული ევროპა ჩვენთან არის, დაჰკარით ბოლშევიკებს, ერთი დემონსტრაცია მაინც გააკეთეთ და ევროპის დემოკრატია თავის ჯარით და ძლიერებით მოგეშველებათო. აი ამ პროვოკაციით კვებავდენ ისინი თავის აქაურ მიმყოლთ. ამ ილიუზიით პოლიტკურათ ათრობდენ იმ ხალხს რომელიც მათ ენდობოდათ, რათა სისხლიანი ავანტიურის ცეცხლი დაენთო და ისინი ევროპაში გადაბარგებული, რასაკვირველია, ამ ცეცხლში ხელს არ დაიწვავდენ. ხოლო, თუ ეს ცეცხლი დასწვავდა სხვებს, ასებს და ათასებს—ამას ნ. რამიშვილი რათ დაგიდევდათ?

ჭეშმარიტათ ქართული მენშევიზმი, ჩამოშორებული კლასიურ ნიადაგს, გადაქცეული შოვინისტურ პარტიათ, ფეხდაფეხ მისდევს სომეხ დაშნაკებს—პირწმინდათ იმეორებს მათ საპროვოკაციო პოლიტიკას. ვის არ ახსოვს დაშნაკების მაუზერისტული პოლიტიკა. განაწამები სომხური ერის ტრაღიკული ისტორია განმეორდა საქართველოს მიდამოებში. ვის არ ახსოვს ოსმალურ სომხეთში დაშნაკური სისხლიანი პროვოკაციები? ვინ არ იცის, რომ ბურჟუაზიული ევროპა, განსაკუთრებით კი ინგლისი, პირდებოდა დაშნაკებს სომხეთის საკითხის დასმას და მათ სასარგებლოთ გადაჭრას, თუ სომხები საქვეყნოთ მოაწყობდენ თავის უკმაყოფილების დემონსტრაციას ოსმალეთის ხელისუფლების წინააღმდეგ. დაშნაკელებიც შეუდგენ მაშინ ამ სახიფათო საქმეს და აქა-იქ, სხვადასხვა დროს აჯანყება მოაწყვეს, რამაც სომხის ხალხი სისხლიდან დასცალა. ინგლისის პრემიერი გლადსტონი ნოტას ნოტაზე აგზავნიდა, ვითომ მებრძოლ სომხეთს „ესარჩლებოდა" და **ბოლოს ოსმალეთს კი სომხის სისხლით ევაჭრებოდა** და ამ ვაჭრობით ინგლისმა ოსმალეთში **თავის მიზნებს მიაღწია, სომხეთი კი გაჟლეტილი დარჩა.** დღეს ნ. რამიშვილი და მისი გზა-აბნეული ჯგუფები ბურჟუაზიულ ევროპას დაშნაკების მეთოდით ევაჭრებიან, მაგრამ რამიშვილის დამღუპველი პოლიტიკა ქართველმა ერმა უკუაგდო. მშრომელმა მასებმა, რამიშვილს უპასუხეს გასვლით მის ყოფილ პარტიიდან. გვერდში ამოუდგენ კომუნისტურ პარტიას და მიდიან წინ წითელი დროშით საკაცობრიო იდეალის გადაჭრისაკენ...

მაგრამ აქ მინდა შევჩერდე ერთ ფაქტზე. ქართველი მენშევიკები თავიანთ უმაღლეს პარტიულ საერთაშორისო ორგანოს მე-2-რე ინტერნაციონალსაც ატყუილებდენ, როგორც ატყუილებდენ ისინი მათ აქაურ (საქართველოში) ამყოლ-დამყოლთ, ვინაიდან ამ ინტერნაციონალს ეუბნებოდენ 1924 წ. მომხდარი ამბები საქართველოში სტიქიური მოვლენააო... მაშინ, როდესაც აჯანყების იდეა ორგანიზაციულად ტარდებოდა, აჯანყების დირექტივები პარიზიდან მზა-მზარეულათ აქ, საქართველოში, მოდიოდა, როდესაც აჯანყების მოსაწყობად სპეციალური ემისარები (აგენტები) იგზავნებოდენ ემიგრაციიდან საქართველოში, როდესაც გ. მაზნიაშვილის სახელით (მაზნიაშვილის გარეშე და მის უცოდინარათ) აჯანყების დღეებში პროკლამაციას ამზადებენ, სადაც ეწერა: გ. მაზნიაშვილის მეთაურობით მოდის საზღვარ-გარეთის დამხმარე რაზმებიო და სხვა პოლიტიკური აფიორა და შანტაჟი.

ერთი სიტყვით, ყოველივე დადებული იყო სასწორზე, რომ ნ. რამიშვილის კარნახით პარიზიდან გათამაშებულიყო ქართველი ხალხის ტრაღედია. და აი ყველა ეს სამზადისი თავის გამოხატულებას პოულობს აგვისტოს ავანტიურაში და ამის შემდეგ ემიგრანტი ლიდერები არა თუ არ ამბობენ სიმართლეს, არამედ უბრალო პოლიტიკურ სინდისსაც ღალატობენ იმ თავიანთ პოლიტიკურ მეგობრების წინაშე, რომლებიც დაღუპეს ამ უსარგებლო, უმიზნო და მშრომელ მასებისთვის მიუღებელ გამოსვლებში. ნ. რამიშვილმა პარიზის ს.-დემოკრატიულ ორგანიზაციის კრებაზე განაცხადა, ჩვენ არ დაგვივალებია აჯანყების მოწყობა არავისთვის, რაც მოხდა ეს ბ. ჩხიკვიშვილის, ვ. ჯუღელის და სხვების ინიციატივაო. რასაკვირველია, მკვდრები პასუხს ვერავის ვერ მოსთხოვს და, ნ. რამიშვილი, მის მიერ სასიკვდილოთ გადასროლილ ხალხს ასე უმასპინძლდება. აი, მართლაც სანამდი აღწევს უტიფრობა და ცინიზმი. ამნაირად მე-2 ინტერნაციონალს მისცეს ცრუობით აღსავსე ინფორმაცია, როდესაც თავიანთი მოწყობილი სისხლის ღვრა სტიქიათ გამოაცხადეს. ასეთი პარტია ან პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც შანტაჟზე აგებს თავის პოლიტიკას, რასაკვირველია, შორს ვერ წავა.

და, აი ევროპიდან წარმოგზავნილმა მუშათა დელეგატებმა, ინახულის საქართველო, გაეცნენ აქაურ სინამდვილეს, თვით ნახეს ყველა დარგი ჩვენი ცხოვრებისა, შეისწავლეს მუშათა საკითხი, ნაციონალური საკითხი და საქმიანობა და დარწმუნდენ, რომ საქართველოში აჩქარებული ტემპით მიმდინარეობს ეკონომიური და კულტურული აღორძინება. კომისიებმა ისიც გამოარკვიეს, რომ ემიგრანტები აწყობდენ წლების განმავლობაში საშინელ ავანტიურას, კომისიებში გაეცნენ აგრეთვე იმ მოწინავე მუშებს, ყოფილ მენშევიკებს, რომლებმაც მიატოვეს რამიშვილი—და ასეთები ხომ ათი ათასობით დაითვლება. გლეხები და ინტელიგენტებიც ინახულეს მათ და ყველა ამ ნახულის და შესწავლის შემდეგ თავიანთი ავტორიტეტული აზრიც გამოსთქვეს. დიახ. დაბრუნებული ევროპაში ისინი ჭეშმარიტ მდგომარეობას და ინფორმაციას აწვდიან ევროპის პროლეტარიატს და მშრომელ მასებს... ასე მოიქცა, მაგალითად, ინგლისის მუშათა დელეგაცია. მე-2 ინტერნაციონალი აღლერის სახით, რასაკვირველია, მტრულად შეხვდა ამ კომისიების მოგზაურობას და სწორ სინდისიერ ინფორმაციის გაკეთებას. ქართველი მენშევიკებიც ძლიერ გაბრაზდენ და ჩვეულებრივათ ევროპიელი მუშებიც (კომისიის წევრები, რომლებშიც უმეტესობა თვით მენშევიკები იყვნენ) ბოლშევიკებიდან მოსყიდულათ გამოაცხადეს. ევროპის ბურჟუაზიაც მათ საზიზღარ ცილის წამებაში, რასაკვირველია, მხარს უჭერს. მაგრამ. მე-2 ინტერნაციონალი ქართველ მენშევიკების „პატრიოტათ" ვეღარ გამოდის, ვინაიდან ისინი გამოუვალ ჩიხში ჩააჯინა სწორეთ ამ კომისიებმა თავიანთ ობიექტური და უტყუარი მასალების გამოქვეყნებით საქართველოს შესახებ.

ერთ დროს ქართველი მენშევიკები მოითხოვდენ ევროპიელ სოციალისტების პარიტეტულ კომისიას, რათა ამ კომისიას გამოერკვია საქართველოს ამბები და გადაეწყვიტა დავა ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის და წინდაწინვე აღიარებდენ, რასაც გადასწყვეტს ევროპიდან მოწვეული სოციალისტური კომისია, ჩვენ დავთანხმდებითო. ეხლა კი, როდესაც ეს კომისიები მოდიან—რომელთა შემადგენლობაში $^{2}/_{3}$ სწორეთ ევროპიელი მენშევიკებია, და როდესაც ასეთი კომისიები საქართველოში დადებით მუშაობას ხედავენ, ეს ქართველ მენშევიკ-ემიგრანტებს აღარ მოსწონთ და გაიძახიან ესენიც მოსყიდული ხალხიაო. საბრალო ნ. რამიშვილი და მისი დამსხვრეული ჯგუფები—სხვა არგუმენტები, გარდა ამ გაცვეთილ ფრაზებისა, მათ არ მოეპოვებათ. მაგრამ ვინღა უჯერის მათ, ევროპის მუშები კი ენდობიან თვით დელეგატებს და მენშევიკების ლაყბობას ყურს არავინ უგდებს.

ალფესი ხელაძე.

◆

ჩვენი ახალგაზრდობა

ახალგაზრდობა, რომელშიდაც, ბუნებრივად ძლიერია იდეური და კულტურული ძიების მოთხოვნილება, განსაკუთრებულ მოვლას და ხელმძღვანელობას საჭიროებს. ის ყოველთვის რომანიული გატაცებით და იდეალისტური თავდადებით, სიმტკიცით და გამბედაობით ებმება საზოგადოებრივ მოძრაობაში.

ესეც ბუნებრივია; ახალგაზრდობის ამ სპეციფიურ თვისებებს, ასეთ დიდ ტემპერამენტს და ენერგიას ქმნის მისი ყოველდღიური ორგანიული ზრდით და განვითარებით მოწოდებული ჩქერი, რომელიც უსათუოდ უნდა დასცალოს და გაასაღოს გონებრივი მოძრაობით და მოქმედებით.

სწორედ, მისი ასეთი თვისებებით აიხსნება, რომ ახალგაზრდობა ადვილი წასაყვანია ყოველგვარ სამუშაოზე, რომ ის ადვილად ექცევა სხვის გავლენის ქვეშ, ადვილი დასაპყრობია. და ამიტომაც არის, რომ გარკვეული წრე ახალგაზრდობის მომავალზე გადამწყვეტ როლს თამაშობს, რადგან მას შეუძლია მისი მსოფლმხედველობის და ფსიხიკის დამუშავება.

ახალგაზრდობის იდეური და კულტურული დაპყრობა კი სწყვეტს მომავალი თაობის საკითხს, განსაზღვრავს მის სახეს და შინაარს. ამიტომაა საყურადღებო ისეც, თუ ვინ მივა მასთან პირველად ვინ იწყებს იდეურ და კულტურულ საზრდოს მიწოდებას, ვინ აყენებს მას თავის ხელმძღვანელობის ქვეშ.

ახალგაზრდობის მთელი მასა აღებული მისი სოციალური პირობებითა და ყოფა-ცხოვრებით, არ წარმოადგენს ერთ მთლიან კატეგორიას და შეიძლება ორ ჯგუფად მათი კლასიფიკაციის მოხდენა.

ერთი—ეს არის მშრომელი მასიდან გამოსული ახალგაზრდობა, რომელიც, ცხოვრების პირობების გამო, ბავშობიდანვე ებმება შრომის ჭაპანში, რომელსაც ბავშობიდანვე გააქვს თავის ნორჩი სამუშაო ძალა ბაზარზე გასასყიდათ. ახალგაზრდობის ეს ჯგუფი არის პროლეტარული კლასის მომავალი რაზმი, მდგომარეობით რევოლიუციონერი და სოციალისტი, მომავალი სოციალისტური საზოგადოების ხელმძღვანელი.

მეორე ჯგუფს წარმოადგენს ის მოსწავლე ახალგაზრდობა, რომლის საგრძნობი ნაწილი წვრილბურჟუაზიულ და ინტელიგენტურ წრიდან და ოჯახიდან არის გამოსული.

პირველი ჯგუფი—მშრომელი ახალგაზრდობა, რომელშიდაც მისი ყოველდღიური შრომის პირობები ამუშავებს სოციალისტურ ბუნებას, რასაც ანვითარებს და ამტკიცებს მის აზროვნებაში მის გარშემო ჯგუფი, ბრძოლაში გაწვრთნილი და გამოცდილი უფროსი ამხანაგები, ასე თუ ისე უზრუნველყოფილია მოწინააღმდეგე სოციალური კლასის იდეურ გავლენისაგან. მათთან მუშაობაში, ჩვენი უმთავრესი მოვალეობაა ხელის შეწყობა და დახმარება კულტურულად ამაღლების საქმეში და ფიზიკური ჯანმრთელობის დასაცავად სათანადო შრომის პირობების შექმნა. საბჭოთა ხელისუფლებისაგან, რომელიც პირველი მივიდა მათთან—თავის ღვიძლ შვილთან და აგრძნობინა ჭირისუფალის მზრუნველობა, რომელმაც პირველმა გადაწყვიტა და განახორციელა, მუშათა საკითხთან ერთად, მშრომელი ახალგაზრდობის პრობლემა, მათ ვერავინ დააცილებს წვრილბურჟუაზიული პაციფისტური შინაარსის ქადაგით.

მშრომელი ახალგაზრდობისადმი უყურადღებობა გასაბჭოებამდე, საქართველოში, რა თქმა უნდა, არ არის შემთხვევითი ხასიათის მოვლენა.

ეს საკითხი ორგანიულათაა დაკავშირებული მუშათა საკითხთან, და უკანასკნელის გარჩევა და რადიკალური გადაწყვეტა არ იყო დამოუკიდებელი საქართველოს მმართველთათვის ნაბადართული „დამოუკიდებლობის" „მწყალობელ" კაპიტალისტური ევროპის ხელმძღვანელებისაგან.

არა თუ რადიკალური, არამედ ევროპის კონტინენტზე უკვე მოხუცებული პაციფისტური რეფორმაც ვერ ჩაატარა, მან ოთხი წლის განმავლობაში რადგან ევროპის მმართველთ ალბათ, არც ეს ემეტებოდათ კოლონიის „უკულტურო" ხალხისათვის, (და საქართველო ხომ ასეთად ჰქონდათ მათ წარმოდგენილი), ნაადრევათ სთვლიდენ ამის ჩატარებასაც. თავის-თავად ცხადია, რომ ასეთ მმართველთა პოლიტიკურ პარტიებისგან დარჩენილ ნაშთებს არას დროს არ შეეძლებათ მშრომელ ახალგაზრდობასთან მისვლა. ამის დამადასტურებელია განვლილი ხუთი წლის ბრძოლის სინამდვილეც, რომლის დროსაც ანტიკომუნისტური პარტიები ვერც კი ხედავდენ მათთან მისვლას. ვიმეორებთ, მშრომელი ახალგაზრდობა სავსებით დაცული და უზრუნველყოფილია, მათ შორის გაშლილი იდეურ კულტურული მუშაობა კომკავშირისა და პროფორგანიზაციების მიერ უსათუოდ დამაკმაყოფილებელია. მათ არ აკლია ხელისუფლების მიერ დაცვა და ხელმძღვანელობაც. მაგრამ, შედარებით, სუსტია ამ მხრივ მუშაობა მოსწავლე ახალგაზრდობის შორის. მართალია, მოსწავლე ახალგაზრდობაში, მისი ჭრელი სოციალური შემადგენლობა დიდ დაბრკოლებას და სიძნელეს ქმნის ორგანიზაციული და კოლექტიური ხასიათის მუშაობის განვითარებისათვის. ისიც დასაშვებია, რომ მათში მისვლისთანავე ვერ ნახო ძლიერი გამოხმაურება, რადგან ისინი რამოდენიმე წლების განმავლობაში იმყოფებოდენ წვრილ-ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენის ქვეშ, მაგრამ ამით არ უნდა წაგვერთვას ხალისი და ენერგია, უნდა მოვერიოთ მათ ინერტიულ განწყობილებას. უფრო ძლიერი კულტურითა და მომზადებით უნდა მივიდეთ მასთან. ამ შემთხვევაში ჩვენ რა თქმა უნდა, არ უნდა გვაინტერესებდეს მათი ფორმალური დაკავშირება კომუნისტურ პოლიტიკურ ორგანიზაციებთან. ჩვენ გვაქვს მხედველობაში მოსწავლე ახალგაზრდობასთან, ამ მომავალი ინტელექტუალურ ძალასთან, იდეურათ დაახლოვება, მასზე გავლენის გავრცელება, ჩვენი ხელმძღვანელობით მისი ჩაბმა კულტურულ მუშაობაში, მასში სოციალისტური ფსიხიკის დამუშავება. აი, ამ მიმართულებით წარმოებული მუშაობა მოსწავლე ახალგაზრდობაში ვერ არის დღეს დამაკმაყოფილებელი. ამ მუშაობის ჩატარება და ხელმძღვანელობა უმთავრესად ევალება კომკავშირის ორგანიზაციებს, რადგან სხვა ორგანიზაციები მათ ვერ მიუდგებიან და მათი მუშაობის სისუსტე ამცირებს ხელისუფლების და მმართველი პარტიის იდეურ გავლენის გავრცელებას მათზე. მოსწავლე ახალგაზრდობაში აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენენ მუშაობის გაცხოველება, მისთვის სისტემატიური ხასიათის მიცემა და, თუ საჭიროება მოითხოვს, კომკავშირის ორგანიზაციებისათვის ახალი ძალების დახმარებაც და ხელმძღვანელობის გადიდებაც ამ მიზნით.

ამ შემთხვევაში, ზედმეტი არ იქნება, რომ თავის მოვალეობა გავახსენოთ ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტების ორგანიზაციასაც, რომელსაც მეტი ცხოველი მუშაობა უნდა ახასიათებდეს ყოფილ მარქსისტთა შორის, რომელიც მეტ ხელმძღვანელობას უნდა უწევდეს სოც.-დემ. გავლენისაგან: განთავისუფლებულ ახალგაზრდების მასას. იდეური და კულტურული მუშაობის წარმოებით. მათ მეტი უნარი უნდა გამოიჩინონ ამ მასის კომკავშირის ორგანიზაციებთან დაახლოვებაში. აქ მათ დიდი როლი შეუძლიათ ითამაშონ, რადგან მათი სამუშაო ასპარეზი უმთავრესად სწორედ ეს მოსწავლე ახალგაზრდობა იყო.

კლ. ჭეიშვილი.

◆

მოხდა ის რაც უნდა მომხდარიყო

მკითხველებს მოეხსენებათ ის ამბავი, რომელიც პარიზის ემიგრანტთა შორის დატრიალდა. დღეს პარიზის მენშევიკი ემიგრანტები უჯარო სარდლებს წარმოადგენს და ამიტომ არის, რომ მათ ბნელ საქმეების შესრულებას მიჰყვეს ხელი.

ნოე რამიშვილი ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნის დროს განთქმული იყო თავისი ჯიუტობით, რომელმაც უფრო დააჩქარა მშრომელ ხალხში მენშევიკური მთავრობისადმი უნდობლობა. ნოე რამიშვილი ჯერ კიდევ საქართველოში ბატონობის დროს გამოდიოდა ტერორისტულ აქტებით.

კედია - ფაჩულიას რაზმები რამიშვილის „ოპრიჩნიკები" იყვნენ, რომელთა მოქმედება მკითხველებმაც კარგად იცის. იმის შემდეგ, რაც ისინი განდევნილ იქნენ საქართველოდან, თავისი შტაბი ნოე რამიშვილმა პარიზში გადაიტანა და მათი მოქმედება დღესაც არა ნაკლებ ზიანს აყენებს საქართველოს მშრომელებს. ჩვენ ვიცით, რომ მისი შტაბის ლოცვაკურთხევით იყო მოწყობილი აგვისტოს გამოსვლები, ის გამოსვლები, რომელმაც ბევრი მენშევიკი გამოაფხიზლა და ძველი გზა დააგმობინა.

ეს გამოსვლები მართლაც რომ გაკვეთილი იყო, რომელმაც მენშევიკური პარტიის სიბილწე დაამტკიცა. არა ნაკლებ ინტერესს იწვევს საზღვარგარეთის ამბები, რომელმაც ფარდა ახადა იქ მენშევიკური პარტიის ბელადების მოქმედებას. ჩამოსულ ემიგრანტთა სიტყვით ვიცით, რომ ჟორდანია - რამიშვილი სასტიკ წინააღმდეგობას უწევდენ ყველა იმ ემიგრანტებს, რომლებიც გამოფხიზლების გზას დაადგენ და რომლებიც საბჭოთა პლატფორმაზე დადგენ. მაგრამ სჩანს მათი წინააღმდეგობა მიზანს ვერ აღწევს და ემიგრაციის რღვევის პროცესი ჩქარი ტემპით მაინც წინ მიიწევს. ემიგრაციის გახრწნა იქამდის მივიდა, რომ ახლა ტერორისტულ აქტებს აღარ ერიდება. ვეშაპელის ვერაგულად მოკვლა მათი საქმეა.

აღსანიშნავი ის არის, რომ მენშევიკურ ლიდერთა შორისაც მოხდა ერთგვარი გარდატეხა. ამხ. ივ. კაჩუხაშვილის წერილიდან სჩანს, რომ კარლო ჩხეიძის თვითმკვლელობა ამ ნიადაგზე ყოფილა გამოწვეული: ჩხეიძეს მენშევიკების ერთერთ კრებაზე უთქვამს: „მტერი მტერს ვერ უქმს იმას, რაც ჩვენ ქართველ ერს უყავით, ეხლა მაინც მოვიდეთ ჭკუაზე და თავი დავანებოთ ასეთ ავანტიურას". (იხ. „კომ. № 133. ამხ. კაჩუხაშვილის წერილი), ამის შემდეგ, რასაკვირველია, ყოფილ მენშევიკთა მიერ ამორჩეული ახალი გზა მართლდება და ეს სავსებით უნდა შეიგნონ იმათმაც, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულან ემიგრანტების გავლენისაგან. მომხდარი ამბები სავსებით ადასტურებს ჩვენ ყოფილ მენშევიკთა შეხედულებას ემიგრაციაზე.

ეს შეხედულება კი გახლავთ ის, რომ ემიგრაცია უკვე გაიხრწნა, იგი ავანტიურის ბურუსში გაეხვია. ემიგრაციის ასეთი მდგომარეობა აუცილებლად მოახდენს გავლენას იმ ელემენტებზე, რომლებიც ჯერ კიდევ ბელადების გავლენის ქვეშ იმყოფებიან. რაც უფრო მალე მოხდება ეს მით უკეთესია თვით ამ ელემენტებისათვის.

ალ. ბორ—ძე.

◆

ზუგდიდის მაზრაში

(ჩემი შთაბეჭდილებანი)

ცაკის სესიის გათავების შემდეგ სოხუმიდან წამოვედი ქ. ზუგდიდში. ადგილობრივ ამხანაგებთან შეთანხმებით 18 ივნისს დაინიშნა საზოგადო კრებები დილას ათ საათისათვის ხეთაში, ხოლო საღამოს ხუთი საათისათვის ხობში. ხეთაში მივედით დილას; ხალხი ბლომად შეკრებულიყო.

მოხსენება აგვისტოს აჯანყების შესახებ და თანამედროვე მომენტზე გაგრძელდა 2 ნახ. საათი. იყო მრავალი საქმიანი შეკითხვა. ასეთივე მრავალრიცხოვანი კრება დაგვხვდა ხობშიც, იქაც გულდასმით მოისმინეს მოხსენება . მოხსენებით კმაყოფილნი დაიშალენ.

მეორე დღეს კვირას კრება იყო დანიშნული ქ. ზუგდიდში. ხალხი იმდენი მოზვავდა, რომ ადგილობრივ კლუბში არ დაეტია და კრება გამართეს ახლად აშენებულ ცირკის დარბაზში. მოხსენებამ გასტანა ორ საათზე მეტი, იყო მრავალი შეკითხვები და არც ერთი შხამიანი, არ ყოფილა, როგორც წინათ სხვადასხვა ადგილებში ჰქონდა ადგილი. აღსანიშნავია ერთი გარემოება: მდინარე ენგურის გაღმა მოსახლე მეგრელები უაღრესად ქართველობენ, არ მოითხოვენ არავითარ სხვა რამეს კულტურულ დარგში გარეშე ქართული ენის კარგად სწავლებისა. აქ კი ზუგდიდის მაზრაში ყოფილან თითო ოროლა ინტელიგენტები მაფალუსისტები. მე მქონდა მუსაიფი ერთ პიროვნებასთან, რომელიც ამბობს, რომ საქართველოს მჭიდრო შეკავშირებისათვის აჯობებს რომ მეგრელებს მიეცეთ საშუალება კულტურულად განვითარდენ მეგრულ ენაზე. ის ამასაც კი ამტკიცებდა, რომ ქართული ანბანი მეგრელის შედგენილიაო და კულტურაც პირველად აქედან დაწყებულაო. სანამდი მე პასუხს მივცემდი მას ახალგაზრდებმა, რომლებიც ჩვენს ირგვლივ დაგროვდენ, სიცილი დააყარეს, მე ვსთქვი: თუ კი ქართული ასოები მეგრელმა შეადგინა და კულტურაც აქედან დაიწყო, რაზედაც არ ვაცხადებ პრეტენზიას, რატომ მანვე არ შექმნა ლიტერატურა მეგრულ ენაზე და იმოღვაწა მხოლოდ ქართულადაო. ჩვენ უკან კი არ უნდა ვიდოდეთ, არამედ წინ. ჩვენ ვერ დავივიწყებთ შოთა რუსთაველის, ჭყონდიდლის, აკაკის და ილიას ენას და ვერ შეუდგებით მეგრულ ენით წინ სვლას. ამით მოგესლილი მოკამათე მსწრაფლ გაგვექცა.

შავი ზღვის რკინის-გზა მიუყვანიათ ძველი ვარიანტით შვიდი ვერსის დაშორებით ქალაქიდან, რაც ძრიელ აღონებთ მოსახლეობას.

ზუგდიდში ჩამოსვლისას ქალაქის დელეგაცია შეხვდა ამხანაგებს ფ. მახარაძეს, ალიმალ-ოღლის, მამია ორახელაშვილს და შალვა ელიავას და ყველას სათითაოდ სთხოვეს, რომ გზა მიეყვანათ ქ. ზუგდიდამდის და ყველა მიწის სამუშევარს თითონ ავიღებთ ჩვენს თავზეო. ამხანაგები შეპირდენ ხალხს ყველაფერს გავაკეთებთ, თუ კი ეს შესაძლებელი იქნებაო.

ლ. კუპრაშვილი.

◆

ყოფილ მენშევიკთა კრება

(სოფ. ახმეტა, თელავის მაზრა)

22 ივნისს ჩამოვიდენ ახმეტაში თელავის სამაზრო პარტკომთან არსებულ ყოფილ მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილების ინსტრუქტორი ამხ. ვახტანგ ბაკურაძე და ამავე პარტკომის ინსტრუქტორი ამხ. ტიტო კოხტაშვილი. ჩამოსული ამხანაგების მიზანი იყო ყოფილ მენშევიკების კრების მოწვევა. მიუხედავად იმისა, რომ ეს დღე სამუშაო დღე იყო და ამავე დროს ამხანაგებსაც გვიან შეატყობინეს კრების მოწვევის ამბავი, მაინც ყოფილ მენშევიკებმა მოიყარეს თავი აღმასკომის ბინაზე.

კრებაზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხანაგი ბაკურაძე, რომელმაც განმარტა პარტიის ხაზი ყოფილ მენშევიკების მიმართ და მოუწოდა ამხანაგებს მჭიდროთ შემოკრებილიყვენ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დროშის გარშემო.

მშრომელებს არაფერი გვაქვს გასაყოფი, სთქვა ამხანაგმა მომხსენებელმა. ჩვენ შეერთებული ძალებით უნდა ვაშენოთ ახალი ქვეყანა და გვერდში უნდა ამოუდგეთ კომუნისტურ პარტიას.

კრება ყურადღებით უსმენდა მომხსენებელს. მოხსენების შემდეგ თითქმის ყველამ მისცა მას შეკითხვები, რომლებსაც მომხსენებელმა დაწვრილებითი პასუხი გასცა. შემდეგ მოხსენებას აკეთებს პარტკომის ინსტრუქტორი ამხ. ტიტო კოხტაშვილი; იგი აღნიშნავს, რომ პარტია ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენს იმ ყოფილ მენშევიკებს, რომლებმაც ერთხელ და სამუდამოდ გასწყვიტეს კავშირი მენშევიზმთან და მშრომელ ხალხს ამოუდგენ გვერდში. კრებამ მიიღო დადგენილება, რომელშიაც გამოსთქვა სრული რწმენა, რომ ისინი იქნებიან კომუნისტურ პარტიასთან ერთად და მტკიცედ დაიცავენ მშრომელთა ხელისუფლებას.

ამავე კრებაზე აირჩიეს რწმუნებული, რომელსაც დაევალა დაიჭიროს კავშირი თემკომთან და შეძლების დაგვარად თვეში ერთხელ მაინც, მოიწვიოს ყოფილ მენშევიკთა კრება ამის შესახებ მან სამი-ოთხი დღით ადრე აცნობოს სამაზრო პარტკომთან არსებულ ყოფილ მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილების ინსტრუქტორს, რომელიც დაპირდა კრებას, რომ იგი ყოველთვის დაესწრება კრებას და მოხსენებას გააკეთებს სხვადასხვა საკითხებზე.

კრება დიდათ ნასიამოვნები დაიშალა. ჩვენი თემიდან ამხანაგები გაემგზავრენ მეორე თემში—მატნისოში, ასეთივე მოხსენების ჩასატარებლად.

მარტია ულუხანოვი.

◆

რა გაკეთდა ლანჩხუთში

ლანჩხუთის თემ აღმასკომის ხელმძღვანელობით შედგენილ იქნა მომჭირნეობის კომისია, რომელმაც ა.-წ. 19 ივნისს გადასინჯა ყველა ადგილობრივი დაწესებულებები და მიიღო შემდეგი დადგენილებანი: 1) ლანჩხუთის გლეხკომში თანახმად 1-ლ მაისის ბალანსისა დავალიანება უდრის 4000 მანეთს. შემოსავალი ვერ ფარავს მიმდინარე ხარჯებს; დაევალა გამგ. თავმჯდ. ა. წილოსანს: 2 გამგ. წევრის განთავისუფლება ჯამაგირიდან, პროფ-სკოლის მასწავლებლის მოხსნა, რაც შეამცირებს ყოველ თვიურად ხარჯებს 144 მან. 40 კ., და სხვა ხარჯების შემცირება და შეფარდება შემოსავალთან. 2) ლანჩხუთის ინვალიდთა არტელი დეფიციტიანი და დავალიანებული ორგანიზაციაა. იმ პირობებში, რომელშიც ის ეხლა იმყოფება, ყოვლად შეუძლებელია მისი არსებობა. ამისათვის წინადადება მიეცა არტელის გამგეობას უყოს ლიკვიდაცია ამ დაწესებულებას. 3) ლანჩხუთის მთლიან კოოპერატივში შტატი დაყვანილია გამგეობის მიერ მინიმუმამდე და ეწევიან მხოლოდ აუცილებელ და მიზანშეწონილ ხარჯებს. 4) ლანჩხუთის აღმასკომში ხარჯებს ეწევიან ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით, რაც მტკიცდება მაზრაში. 5) ლანჩხუთის საკრედიტო ამხ.-ში შტატის შესანახი ხარჯები უდრის 110 მანეთს, რომელსაც ღებულობს 4 თანამშრომელი; ამის შემცირება შეუძლებელი დარჩა, სხვა ხარჯები ნორმალურია.

დაევალა ყველა დაწესებულებათა უფროსებს, რათა თანამშრომლები ცხადდებოდენ სამსახურში თავის დროზე და თვალყური ადევნონ მათ მიერ თავის მოვალეობათა კეთილსინდისიერად შესრულებას.

ირ. ებრალიძე.

პოლიტიკური პესიმიზმი

რევოლიუციონურ ბრძოლას თან სდევს თავგანწირვა. ამ ბრძოლის გზები კი სხვა და სხვა ნაირი არის სხვა და სხვა ისტორიულ პირობებში. მრავალი შემთხვევა ყოფილა პოლიტიკურ ბრძოლის ისტორიაში, რომ ამა თუ იმ მებრძოლ პარტიას ტერორისათვის მიუმართავს, მაგრამ ეს ტერორი მიზანს აღწევდა იმის მიხედვით, თუ რა პირობებში სწარმოებდა მისი გამოყენება. ყოველთვის და ყოველ პირობებში ტერორი არ იძლევა იმ შედეგებს, რომელსაც მისგან მოელიან.

მენშევიზმის მამამთავრებმა ბოლშევიზმი ბლანკიზმათ მონათლეს სწორედ იმის გამო, რომ მან სამოქალაქო ომის პირობებში გამოიყენა წითელი ტერორი, როგორც მასიურ ბრძოლის ერთ-ერთი ხერხი და საშუალება. ბ-ნმა კ. კაუცკიმ მთელი ანტიკომუნისტური ფილოსოფია შექმნა სწორედ იმის გამო, რომ თითქოს ბოლშევიკებმა გამოიყენეს არა რევოლიუციონურ - მარქსისტული მეთოდი,—ტერორი. მენშევიზმის მთელი უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ მას არ აქვს ნათლად წარმოდგენილი ისტორიის დიალექტიკა. მას ყოველი დროისათვის ერთი საზომი აქვს და არ აქვს უნარი რევოლიუციონურ მიზანშეწონილებით გაამართლოს ესა თუ ის პოლიტიკური ხერხი, რომელიც ისტორიულ პერსპექტივაში უდიდეს სტრატეგიულ შედეგს იძლევა.

მენშევიზმის მამამთავრებს და მათ მიმდევრებს რეფორმისტულ სახარებიდან აქვთ შეთვისებული, რომ ტერორიზმი პოლიტიკურად მიუღებელი ბრძოლის ხერხი არის. მენშევიზმი პრინციპიალურად უარყოფს ტერორიზმს, ვინაიდან „დემოკრატიით სოციალიზმისაკენ სვლა" უარყოფს პოლიტიკურ ბრძოლის ამ მეთოდს. ლენინიზმი, როგორც უაღრესად რევოლიუციონური ისტორიულ - დიალექტიური თეორია. ერთის მხრით უარყოფს ტერორს, ხოლო მეორეს მხრით ღებულობს მას. ის წინააღმდეგია პიროვნული ტერორის, რომელიც გამოიყენება გაბატონებულ პოლიტიკურ სისტემის წინააღმდეგ ბრძოლაში და ღებულობს წითელ ტერორს, როგორც მასიური ბრძოლის მეთოდს, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს ისტორიულ - გარდამავალ პირობებში.

ჩვენ გვახსოვს, რომ რუსეთის სოციალდემოკრატია წინააღმდეგი იყო სოციალისტ - რევოლიუციონერების ტერორიზმის, მაგრამ ამ წინააღმდეგობას სულ სხვა და სხვა პრინციპიალური დასაბუთება უკეთდებოდა, როგორც ბოლშევიკების, ისე მენშევიკების მხრით. გარეგნულად ორივე ერთი პრინციპიალური თვალსაზრისიდან გამოდიოდენ. რევოლიუციონურ - დიალექტიურ თვალსაზრისით, პოლიტიკური წყობილების დაძლევა შეუძლებელი არის ერთ პიროვნული ტერორით, ვინაიდან პოლიტიკური წყობილება განისაზღვრება არა პიროვნებათა ბოროტი სურვილებით, არამედ ისტორიულ - ობიექტიური აუცილებლობით. მთელ რიგ დიდ თანამდებობის პირთა მოკვლით არ გადასწყდება პოლიტიკური რეჟიმის საკითხი. მოკლულ პიროვნებას სხვა პიროვნება შესცვლის და ამიტომ მიზანშეწონილი არის მტკიცე რევოლიუციონურ პარტიის შექმნა, რომ გაბატონებულ პოლიტიკურ წყობილების წინააღმდეგ სისტემატიური ბრძოლით დაძლეული იქნეს ის წყობილება, რომელიც ბოროტ პირთა ბატონობას ასულდგმულებს. ჩვენმა მასწავლებელმა და რევოლიუციონური აზროვნების ერთმა უდიდესმა წარმომადგენელმა ლენინმა მკაფიოდ შეისისხლხორცა ეს აზრი და აქედან წარმომდინარეობდა მისი ცდა შეექმნა ისეთი მტკიცე ფოლადისებური პოლიტიკური პარტია, რომელიც როგორც მთლიანი კოლექტივი გამოვიდოდა კლასიურ ტერორის მატარებელ ძალათ კაპიტალისტურ წესწყობილების წინააღმდეგ. მან იცოდა, რომ ერთპიროვნული ტერორის ნაცვლად საჭირო იყო, მტკიცე პოლიტიკური ბრძოლა ძალა-უფლების დასაპყრობად. მენშევიზმის მამამთავრები კი უარყოფდენ ტერორს, მაგრამ აზრადაც არ მოსდიოდათ ისეთი მტკიცე კლასიური პარტიის შექმნა, რომელიც გადამწყვეტ ბრძოლაში მასიური ტერორის მატარებელი იქნებოდა. მას არ ჰქონდა გათვალისწინებული სამოქალაქო ომის შესაძლებლობა რუსეთის სინამდვილეში, არ ემზადებოდა ძალა-უფლების ხელში ჩაგდებისათვის და იმიტომაც იყო, რომ რევოლიუციონური დისციპლინის მხრით მენშევიკური პარტია არარაობას წარმოადგენდა. გამოდიოდა რა ბურჟუაზიული რევოლიუციის აუცილებლობის თვალსაზრისიდან, მენშევიზმი გადაჭრით უარყოფდა ბრძოლის ტერორისტულ საშუალებებს.

საჭირო არის „ტერორი" **მთელი რეჟიმის** წინააღმდეგ და ასეთი ტერორით შეუძლია გამოვიდეს მხოლოდ პოლიტიკურად მტკიცედ შეკავშირებულ მუშათა კლასს.—ამას ამბობდენ ბოლშევიკები.

რას წარმოადგენდა გარკვეულ მომენტებში რუსეთის ბურჟუაზიისა და მემამულეებს წინააღმდეგ ბრძოლა, თუ არა ბოლშევიკურ წითელ ტერორს ბურჟუაზიულ წყობილების წინააღმდეგ. სამოქალაქო ომის პირობებში, ის აუცილებლად უნდა დამდგარიყო მასიური რევოლიუციონურ ტერორის თვალსაზრისზედ, რომ მიენგრ-მოენგრია კონტრ-რევოლიუციის შემჭიდროებული რიგები. ამნაირად, ბოლშევიზმმა გამოიყენა ტერორი, როგორც მასიურ პოლიტიკურ ბრძოლის საშუალება და მით გაამართლა ის, როგორც ბრძოლის ერთ-ერთი საშუალება გარდამავალ ხანაში.

მაშასადამე ტერორიზმი ლოღიკური დასკვნა იყო იმ ბრძოლის, რომელსაც კომუნისტური პარტია დასაბამიდან აწარმოებდა. ის პრინციპიალურად გამომდინარეობდა იმ თვალსაზრისიდან, რომელიც ძალაუფლებისათვის ბრძოლის დღის წესრიგში აყენებდა. როგორც სჩანს ბოლშევიკურ ტერორს მოეპოვება, როგორც პრინციპიალური, ისე პრაქტიკული გამართლება, მაგრამ ისტორიულად გაუგებარი არის, რა თვალსაზრისით შეიძლება გამართლებული იქნს ჟორდანია-რამიშვილის მიერ ბრძოლის მეთოდათ აღიარებული ტერორი. პრინციპიალურად ის მიუღებელია მენშევიზმისათვის, პრაქტიკულად კი ის სრულიად უნაყოფო არის იმ მიზნის მისაღწევად, რომელსაც რამიშვილისტები ისახავენ. ნუ თუ ბ. რამიშვილ - ჟორდანია - ჩხენკელ - გეგეჭკორსა და კომპანიას ჰგონიათ, რომ პიროვნული ტერორით შეარყევენ საბჭოთა წყობილების საფუძვლებს. მათ არ შეიძლება ეს სწამდეთ, ვინაიდგან კარგად იციან, რომ ამა თუ იმ წყობილების დასაძლევად საჭირო არის მასიური პოლიტიკური ბრძოლა და არა კერძო პიროვნებათა მკვლელობა. მათ ისიც კარგად იციან, რომ საქართველოს პირობებში ვერ შექმნიან მასიურ მოძრაობას საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ. აგვისტოს ავანტიურამ საბოლოოდ დაარწმუნა ისინი ამ შესაძლებლობის უიმედობაში.

მაშ რით უნდა ავხსნათ ეს ახალი „ერა" ქართული მენშევიზმის „ბრძოლის ისტორიაში"? რასაკვირველია აქ პოლიტიკური ოპტიმიზმის ნატამალიც არ არის. მენშევიზმს რომ „ბედი" უღიმოდეს და ოპტიმისტურად განწყობილი იყვეს, არ მიმართავდა იმ ყალბ საშუალებას, რომლის წინააღმდეგ ის ერთ დროს იბრძოდა. არ გამოიყენებდა ბრძოლის იმ ხერხს, რომელსაც არავითარი რეალური შედეგი არ მოჰყვება, გარდა საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების გაბრაზებისა. შეიძლება ნ. რამიშვილს სურს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გარკვეული დასკვნები გამოიტანოს მენშევიზმის ახალ პოზიციიდან და სათანადო ზომებითვე უპასუხოს რამიშვილისტების გამოწვევას. ბ. რამიშვილი და ჟორდანია არც ასეთ პროვოკაციას დაერიდებიან. თუ საქართველოში მათი მრევლიდან ვინმეს დახვრეტენ, მათ [illegible] არ შეაწუხებთ. პირიქით [illegible], რომ აახმაურონ [illegible] პრესა თუ ეს უკანასკნელი კიდევ აყვა მათ. ჩვენ ურჩევთ იქაურ ყორნებს, დაზოგონ თავისიანები აქ, თორემ თითონვე ინანებენ საბოლოოთ. მაგრამ ნ. რამიშვილი ურა ტაქტიკის კაცია, **მას ფეხებზედ ჰკიდია თავისი მრევლის ბედი.** მისი ლოზუნგია: დეე დაიღუპოს ქვეყანა, ოღონდ ბოლშევიკების წინააღმდეგ ვიჩხირკედელაოთო. მაგრამ როგორც სჩანს, რამიშვილისტების ამ ჩხირკედლაობის მიზანშეწონილებაში უკვე ეჭვი ეპარებათ. მათ უფროსებს მეორე ინტერნაციონალიდან და ბურჟუაზიიდან. საბჭოთა ხელისუფლების მასიურ ბრძოლის საშუალებით დამხობის პერსპექტივა დაჰკარგა მენშევიზმმა და ის გადავიდა ბრძოლის იმ საშუალებაზედ, რომელიც უაღრესად გაბოროტებულ ჯგუფის ხერხს წარმოადგენს.

მენშევიზმი პესიმიზმმა მოიცვა, მან გამარჯვების პერსპექტივა დაჰკარგა და მასთან ერთად პოლიტიკურ ავანტიურიზმის მოლიპულ გზაზედ დაეშვა. ის ლამობს შური იძიოს ყველა იმათზედ, ვინც მას გადაეღობება წინ. მას ხელს უშლიდა გრ. ვეშაპელი და მოიშორა გზიდგან. ეს გაბოროტებული ხალხი შურისძიების გზას დაადგა. როდესაც პოლიტიკური ჯგუფი ან პარტია უაღრეს პესიმიზმამდე მივა, ის უეჭველად გამოხატავს ამ სულისკვეთებას შურისძიებათა აქტში. ეს უკვე ამ პოლიტიკური პარტიის საბოლოო გახრწნის მაჩვენებელი არის.

დიდი ხანია ემიგრაცია პოლიტიკურმა პესიმიზმმა მოიცვა. ერთი ნაწილი თვითგამოერკვა და საქართველოსკენ მიეშურება, მეორე ნაწილს არ ჩამოესვლება აქ და ის „ადურაქებს" იმ მასას, რომელსაც კიდევ სჯერა ბ. ნოე ჟორდანიას სისპეტაკე. არის ერთი ჯგუფი, რომელმაც შეიგნო, რომ მენშევიზმმა აგვისტოში იმღერა გედის სიმღერა, მოკვდა და დაკარგა ყოველგვარი პერსპექტივა. ის ამას გრძნობს, დარწმუნდა მენშევიზმის რეაქციონობაში, მაგრამ თავისი თავის ეშინია; არ სურს საჯაროთ გაუმხილოს ეს მწარე სინამდვილე თავის თავს. ის საკუთარ წვენში იწვის და როდესაც ხედავს, რომ მენშევიკური პარტია შანტაჟისტურ მეთოდებზე გადადის, სასოწარკვეთილებაში ვარდება. ის მოწამე ხდება ამ უკანასკნელი ევოლიუციის, თავის წარსულის და მომავლის მთელი საშინელება უდგება თვალწინ და თვითმკვლელობას მიმართავს. ერთ-ერთმა გულწრფელმა მენშევიკმა კარლო ჩხეიძემ, თვითმკვლელობით დაასრულა თავის სიცოცხლე. მან ვერ აიტანა თავის პარტიის საზიზღარი დაცემა, მან იგრძნო, რომ ამაოთ ჭირისუფლობდა ამ პარტიას, დანით გამოიჭრა ყელი და თან წაიღო თავისი ნაღვლიანი სევდა.

არცერთი მენშევიკი არ იყო ისე გულწრფელი თავის სიტყვასა და მოქმედებაში, როგორც კ. ჩხეიძე. როდესაც მან დაინახა, რომ პარტიის სინიდისი საბოლოოთ გაიხრწნა, საშინელი განაჩენი გამოუტანა თავის თავს.

რა სასოწარკვეთილებამდე უნდა მისული იყო კ. ჩხეიძე, რომ (დანით) ჩაედინა თვითმკვლელობა. კ. ჩხეიძის ტრაღედია მძიმე ლოდია მენშევიზმის კუბოზედ. მან თან ჩაიტანა საფლავში ჯავრი და დედა მიწის ზედა პირზედ დასტოვა მენშევიზმის გახრწნილი ლეში. მისი სასოწარკვეთილება იმ სასოწარკვეთილების სხვა ნაირი გამოხატულება არის, რომელიც ტერორიზმში ეძიებს სიმშვიდეს.

რამიშვილ - ჟორდანიას ვერ იხსნის ტერორიზმი, ის დაღუპავს პირადათაც მათ, როგორც თავისი „მუშაობით" მათ დაღუპეს მენშევიკური პარტია საქართველოში.

ბოლშევიზმმა მიტომ გაიმარჯვა ტერორიზმით, რომ ის პოლიტიკური ოპტიმიზმი იყო, მენშევიზმის ტერორიზმი მიტომ დასცემს დარჩენილ ბელადებს და მათ მენშევიზმს, რომ ის პოლიტიკურ პესიმიზმის ნიადაგზედ აღმოცენდა. კ. ჩხეიძის თვითმკვლელობამ ფარდა ახადა მენშევიზმის გახრწნის დასასრულს.

ზ. ჩახვაძე.

◆

რედაქტორი კ. სულაქველიძე.

პედაგოგიური ტექნიკუმების გამგეთა კონფერენცია

გუშინ, განათლების სახალხო კომისარიატში გაიხსნა, პროფესიონალურ განათლების ინიციატივით მოწვეული, პედაგოგიურ ტექნიკუმების სარესპუბლიკო კონფერენცია.

კონფერენციის დღის წესრიგი შეიცავს შემდეგ საკითხებს: 1) მოხსენებები ადგილებიდან, 2) პედაგოგიური განათლების სისტემა და მისი ამოცანები, 3) პედაგოგიური ტექნიკუმების სახე და სასწავლო გეგმა, 4) სამეცნიერო საბჭოს პედაგოგიური სექციის საქმიანობა, 5) ტექნიკუმების საზოგადოებრივი, პოლიტიკური და პედაგოგიური მუშაობა და 6) მიმდინარე საკითხები.

პირველი სხდომა

პირველ სხდომაზე დაიწყო ადგილებიდან მოხსენებების მოსმენა. პირველი მოხსენებით გამოდის ქუთაისის პედაგოგიური ტექნიკუმის წარმომადგენელი ამხ. მიხაბიშვილი, რომელიც ვრცლათ ჩერდება ტექნიკუმის საქმიანობაზე დღიდან მისი დაარსებისა, და განსაკუთრებით კი—მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში.

შემდეგ მომხსენებელი ცალკე აღნიშნავს ტექნიკუმის მიღწევებს და ამბობს, რომ სწავლის საქმეს ძლიერ აბრკოლებს შესაფერ სახელმძღვანელოების არ არსებობა ქართულ ენაზე და სხვადასხვა კაბინეტების შესაფერი მოუწყობლობა.

მეორე მოხსენება გააკეთა ხონის პედაგოგიური ტექნიკუმის გამგემ—სალარიძემ.

ორატორი აღნიშნავს შიდეწლედებში სასწავლო საქმის სისუსტეს, რის გამოც პედაგოგიური ტექნიკუმი ღებულობს მოუმზადებელ მოწაფეებს, ეს გარემოება თავის მხრივ აბრკოლებს ტექნიკუმის სასწავლო გეგმის განხორციელებას.

ტექნიკუმი, გარდა ამისა, დახმარებას უწევდა აგრეთვე რაიონის მასწავლებლებს სანიმუშო-საჩვენებელ გაკვეთილების მოწყობით.

ონის პედაგოგიური ტექნიკუმის გამგე ამხ. სუხუა აღნიშნავს ტექნიკუმში სწავლის მსურველთა სიმრავლეს, ეხება სახელმძღვანელო ხასიათის წიგნების ნაკლებობას და აღნიშნავს სასწავლო საქმის გაუმჯობესებას.

სენაკის პედ. ტექნიკუმის სახელით მოხსენება გააკეთა ამხ. დემურიამ, ხოლო ოზურგეთის პედ. ტექნიკუმიდან—ამხ. კვანტრემ.

აღნიშნული ორატორებიც ჩერდებიან სკოლებში საქმის დაყენებაზე, ბიბლიოთეკების მუშაობაზე, პედაგოგიურ საბჭოების მოღვაწეობაზე და აღნიშნავენ ხელშემშლელ მიზეზების გადალახვის საჭიროებას.

ამით დასრულდა პირველი სხდომა.

პედაგოგიური ტექნიკუმების შესახებ

(ამ ტექნიკუმების გამგეთა კონფერენციის გამო)

ახალი პედაგოგის მომზადების საკითხი ფრიად საყურადღებო და საგულისხმო საკითხია ჩვენი სასკოლო აღმშენებლობისათვის. როგორც აღნიშნავენ პედაგოგები, თუ მძიმე მოვლენა იყო პედაგოგი უპედაგოგიკოთ, არა ნაკლებ საშიშროებას წარმოადგენს პედაგოგიკა უპედაგოგოდ. პედაგოგიური თეორია არ არის ყოვლად შემძლე, მას ყოველთვის სჭირია ცოცხალი ადამიანი. ამ დებულების ჭეშმარიტება ჩვენ ვიგემეთ უკანასკნელ წლებში. ამისათვის, როდესაც ისმება საკითხი რესპუბლიკაში არსებული პედაგოგიური ტექნიკუმების რეორგანიზაციის შესახებ, საჭიროდ უნდა ჩაითვალოს ახალი პედაგოგის პრობლემის გათვალისწინება და აწონ-დაწონვა.

პედტექნიკუმების გამგეების კონფერენციაზე ალბათ ყურადღება მიექცევა რესპუბლიკაში არსებულ ტექნიკუმების წარსულ მუშაობას; აღინიშნება მიღწევები და ნაკლოვანებები. ეს იქნება წარსული მუშაობის ერთგვარი აღრიცხვა, რაც აუცილებელია იმავე დროს მომავალი მუშაობის ნაყოფიერებისათვის.

ამას თან მოჰყვება მეორე საკითხი, რომელიც უნდა იქნეს კონფერენციის ყურადღების ცენტრი. რა მიზნებს ისახავს ს. ს. ს. რესპუბლიკა პედტექნიკუმებს? როგორი უნდა იქნეს მათი შინაარსი და მეთოდები? როგორ უნდა მოვაწყოთ ისინი? აი მთავარი საკითხები.

პედტექნიკუმები ამზადებს სახალხო მასწავლებელს. სახალხო მასწავლებელს განსაკუთრებული მოვალეობა აწევს. მაშასადამე, პედაგოგიური ტექნიკუმების რეორგანიზაციის მიზანშეწონილად მოხდენისათვის საჭიროა გარკვევა იმისა, თუ რა უნდა იცოდეს მასწავლებელმა და რის გაკეთება უნდა შესძლოს მან, რომ პირნათლად შეასრულოს მძიმე, საპატიო და სათუთი მოვალეობა. მასწავლებლის მუშაობას ჩვენ ტრადიციულად ვუკავშირებთ სკოლას, თუმცა არა ნაკლები სამუშაო აქვს მასწავლებელს სკოლის გარეშე მოზრდილებს შორის.

დავიწყოთ პირველიდან.

კონფერენციამ ყურადღება უნდა მიაქციოს ჩვენი სასკოლო აღმშენებლობის ძირითად საკითხებს, რითაც ნათელყოფილი იქნება ტექნიკუმის შინაარსი, მუშაობის მეთოდები, მიზნები და ამოცანები და სხვა. ასეთებია: 1) საბჭოთა შრომის სკოლის მიზნები და ამოცანები, 2) ს. შრ. სკ. საორგანიზაციო ფორმები, 3) ს. შრ. სკ. შინაარსი და პროგრამები, 4) ს. შრ. სკ. მუშაობის მეთოდები და შრ. სხვა. რა თქმა უნდა, იგულისხმება საბჭოთა შრომის სკოლა, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს მომავალში, ვინაიდან ჩვენი სკოლის დღევანდელი სახე ვერ აკმაყოფილებს შრომის სკოლის მოთხოვნილებებს მცირედის გამონაკლისით.

მიწა, ფაბრიკა, ქარხანა გადაეცა მშრომელ ხალხს—მუშას და გლეხს. გლეხი და მუშა დღეს მოწოდებულია არა მარტო იმისათვის, რომ დაზგასთან დადგეს ან გუთანს დასდევდეს, არამედ იმისათვისაც, რომ განაგებდეს საზოგადო მამულს, ფაბრიკა-ქარხნებს და სხვადასხვა. ამისათვის სრულიად ბუნებრივია ლტოლვა მეცნიერებისაკენ, რაც აშკარად და თვალსაჩინოდ გაღვივებულია მშრომელ მასაში. უკანასკნელი მისწრაფვის მეცნიერებისაკენ, სკოლისაკენ. საბჭოთა ხელისუფლების მოვალეობაა ამის დაკმაყოფილება. მაშასადამე, სკოლა უნდა ემსახურებოდეს (ს. ს. ს. რ.) მშრომელ მასას—მუშას და გლეხს. ამაშია სკოლის კლასიურობა. ამის შესახებ ლენინი ამბობს: „Нас упрекают в том, что школу мы делаем классовой. Но школа и была таковой во все время своего существования“. ამრიგად საბჭოთა შრომის სკოლაც კლასიურია და ის ემსახურება მშრომელი კლასის ინტერესებს, განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ძველი სკოლა ემსახურებოდა მემამულ. და ბურჟუაზიას და მიზნად ისახავდა მათი ბატონობის განმტკიცებას და უცვლელობას, ხოლო საბჭოთა შრომის სკოლა ემსახურება მუშის და გლეხის ინტერესებს.

ჩვენ წინ დგას მეტად რთული ამოცანა. ეს არის ქვეყნის სამეურნეო აღორძინება, რეორგანიზაცია, მიწათმოქმედების მოწესრიგება და ინდუსტრიალიზაცია და სხვა. ეს კი უნდა დაემყაროს თანამედროვე ტექნიკას, რომელიც თავის მხრივ ემყარება თანამედროვე მეცნიერებას. აქ ცოდნა უნდა დაუკავშირდეს შრომას. უნდა ვისწავლოთ, თუ როგორ გამოვიყენოთ ცოდნა და ეს უნდა ვასწავლოთ ახალთაობას, რომელსაც დიდი საქმეები აქვს გასაკეთებელი. ძველი თაობის მიზანს შეადგენდა ბურჟუაზიის დამხობა, მასდამი მშრომელ მასაში სიძულვილის ჩანერგვა, კლასიური თვითშემეცნების გაღვივება და სხვა. ბევრია გაკეთებული. ძველი დანგრეულია, ნიადაგი გასუფთავებულია, მაგრამ ახალთაობის წინაშე დგას ახალი და კიდევ უფრო რთული ამოცანები. ახალთაობის წინაშე მშენებლობის ამოცანაა. მისი გადაჭრა შესაძლებელი გახდება მაშინ, როდესაც ახალგაზრდობა აღიჭურვება თანამედროვე ცოდნით და ექნება უნარი ამ ცოდნას ხორცი შეასხას სინამდვილეში.

როგორი ადამიანია საჭირო ჩვენთვის დღეს? „Мы формируем конкретного человека нашей эпохи, который должен еще бороться за создание условий, из которой вырастает гармонический гражданин коммуны“... Троцкий. ასეთი მოქალაქეა საჭირო დღევანდელი ჩვენი ცხოვრებისათვის. ასეთი ადამიანი იქნება ღირსეული მემკვიდრე მებრძოლი წინაპრის.

ამ ამოცანებს და მიზნებს გვერდს ვერ აუხვევს ჩვენი ახალი სკოლა, თუ მას სურს იქცეს ცხოვრების სკოლად. მაშასადამე, პედაგოგიური ტექნიკუმი, რომელიც მიზნად ისახავს ახალი სკოლის მჭედლების და ოსტატების მომზადებას, მთავარ ყურადღებას უნდა აქცევდეს ამ გარემოებას. ამ საკითხზე ზერელედ შეჩერება არ კმარა, ამ მხრივ ტკივილებს გრძნობს ჩვენი სკოლა, ამას უნდა წამლობა. ამის უებარი საშუალებაა პედტექნიკუმები და უმაღლესი სასწავლებლის პედფაკულტეტები. არა ნაკლები საყურადღებოა საბჭოთა შრომის სკოლის საორგანიზაციო საკითხები. ამასთან დაკავშირებულია სკოლის ტიპის საკითხი. ახალი შრომის სკოლა სწავლობს ბუნებას, შრომას და საზოგადოებას გარემოცულ სინამდვილეში. ამ მხრივ სკოლის რაიონის მოსახლეობის შრომა და ცხოვრება და ადგილობრივი შრომის ბუნება განსაზღვრავს სკოლის სახეს, შინაარსს და მოქმედებიანობას. ამის და მიხედვით ჩვენს სინამდვილეში შესაძლებელია ორი ტიპის სკოლა; 1) ქალაქის სკოლა—ინდუსტრიალური სკოლა, რომელიც მოამზადებს ახალგაზრდობას საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობისათვის და 2) სასოფლო-სამეურნეო სკოლა —სოფლისათვის. რომელიც მოამზადებს სოფლის ახალ მუშაკს. ასეთი სკოლების ტიპების განწესრიგება ტერიტორიალური პრინციპის მიხედვით. რაიონის საქმიანობის ბეჭედი ღრმად აზის 1 საფეხურის შრომის სკოლასაც. საყურადღებოა ამ მხრივ კალაშნიკოვის აზრი; ის ამბობს: „Поскольку школа I ступени ограничивается элементарной целью дать возможность ребенку разбираться в окружающей его среде, постольку уже сама внешняя обстановка города и деревни налагает резкий отпечаток на внутренний строй и содержание школ того и другого типа“.

აქედან ცხადია, რომ ეს გარემოება უნდა იქნეს მიღებული პედტექნიკუმისათვის გამოსავალ წერტილად. ეს გამოარკვევს ტექნიკუმის ფიზიონომიას. ამასთანავე ახალი სკოლა მოითხოვს მისი შინაგანი წყობის გარდაქმნას მოსწავლეთა დამოუკიდებლობის და აქტივობის საფუძველზე. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა სასკოლო თვითმართველობა და მისი ორგანიზაცია. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი სოფლის და ქალაქის მასიურ სკოლებში, (შეიძლება სხვაგანაც), მოწაფეთა თვითმართველობა მეტად სისხლნაკლებია და ფორმალური. ეს კი ყოვლად დაუშვებელია. მიზეზი უცოდინარობა და გულცივობაა.

თვითმართველობა არ არის მოწაფეთა დამორჩილების და ალაგმვის საშუალება, ის არ არის ერთგული მოქალაქის აღზრდის საშუალება, არამედ ის არის სოციალური აღზრდის ერთი საუკეთესო საშუალებათაგანი.

იმისათვის, რომ პედაგოგიური ტექნიკუმი გახდეს ამ საორგანიზაციო ფორმების სულის ჩამდგმელი, საჭიროა თვით ტექნიკუმში იქედებოდეს ის, რომ იქ მომზადებულ მასწავლებელს თეორეტიულ ცოდნასთან ერთად ქონდეს პრაქტიკული დაჩვევებიც. ამაზედაც უნდა შეჩერდეს კონფერენციის ყურადღება.

ძველი სკოლის დაავადებული სხეული უპირველეს ყოვლის იმით იყო დამძიმებული, რომ ბავშვის თავი მას უბრალო ყუთად ქონდა წარმოდგენილი და მას ავსებდა ისეთი მასალებით, რომელთა შორის არ არსებობდა არავითარი კავშირი და იმავე დროს ამ მასალას არ ქონდა არავითარი კავშირი ცხოვრების სინამდვილესთან. ყოველ საგანში ცალ-ცალკე შაბლონიურად ჩამოყალიბებული პროგრამები და სათანადო სახელმძღვანელოები წიგნური სწავლებისათვის ამკობდა ძველ სკოლას. ის გაქრა, მაგრამ ლტოლვა მისკენ მასწავლებლობაში ჯერაც არ მომკვდარა.

ახალი პროგრამის მიზანია სასწავლო მასალების მთლიანობა და მისი კავშირი ცხოვრებასთან. ახალ პროგრამებში სუნთქავს შრომა... სკოლა სწავლობს ცხოვრების სამ ფაქტორს, შრომას, ბუნებას და საზოგადოებას. მუშაობა მიმდინარეობს განსაკუთრებული მიმართულებით: ბავშვისაგან მსოფლიოსაკენ. განათლების კომისარიატის მიერ მოცემულია არა დეტალური პროგრამები, არამედ ჩონჩხი, რომელსაც ესაჭიროება ადგილობრივი შევსება მხარეთმცოდნეობითი მასალებით. ამისათვის საჭიროა მასწავლებელი ღრმად განვითარებული, ღრმად განათლებული, თავისი საქმის მოყვარული, მასწავლებლობი შემოქმედი და სხვა. ამრიგად მასწავლებელს დასჭირდება თავისი მხარის დეტალური შესწავლა, ის უნდა იყოს მხარის შრომის, ბუნების და საზოგადოების მცოდნე, ხოლო ამის შესასწავლად ის უნდა იყოს მკვლევარი. არ კმარა მარტო ცოდნა მხარის, საჭიროა მისი გარდაქმნა, გაუმჯობესება და სხ. ამ მოვალეობას პედტექნიკუმი ერთი წუთითაც ვერ დაივიწყებს, ვინაიდან ეს იქნება საქმის სულის ჩაქრობა. კონფერენციაც ვერ აუხვევს ამას გვერდს. საბჭოთა შრომის სკოლა ძირიანად განსხვავდება ძველი სკოლისაგან თავისი სამუშაო მეთოდებითაც. მკვდარი უსიცოცხლო, გლეჯის გამომწვევი, დოგმატიური და სქოლასტიკური მეთოდები ისტორიას გადაეცა „საკუთრებად“. ჩვენი სინამდვილის სცენაზე ამოტივტივებულია ახალი, ცოცხალი და სალი მეთოდები მუშაობისა. სინთეტიური მეთოდი (კომპლ. სისტემა) ცოცხალი მეთოდია, ის სწავლობს ფაქტებს და მოვლენებს, რაც ბავშვს ირგვლივ იმყოფება; ეს მეთოდი კონკრეტულ სინამდვილეს ემყარება, მისი ქვაკუთხედი თანადროულობა, მას ახასიათებს ერთიანობა და მთლიანობა, ის ბავშვის აქტივობის საფუძველზეა აგებული, ის კოლექტიური მუშაობის თანამგზავრია.

ამასთან ერთად ჩვენ ვხედავთ ისეთ საყურადღებო და ღირს შესანიშნავ მეთოდებს, როგორცაა კვლევითი მეთოდი, საექსკურსიო მეთოდი, ლაბორატორიული მეთოდი და სხვა. ამ საკითხებს ღრმად შესწავლა სჭირია, როგორც პრაქტიკული ისე, თეორეტიული. სამწუხაროდ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენში ყველაფერი ეს მიფუჩეჩებული არაა მთლიანად, ცოტათ მიმნებული მაინც არის. მას გამოღვიძება სჭირია. პედტექნიკუმებმა ეს მდგომარეობა უნდა იკისრონ. მართალია, ამ მიმართულებით მუშაობა იყო, მაგრამ ის არ კმარა. საჭიროა მეტი ყურადღება ამ საქმისადმი.

არა ნაკლები სამუშაო აქვს მასწავლებელს სკოლის გარეშე... „В нашей культурно отсталой стране учитель должен прежде всего быть носителем просвещения вообще... с темнотой и невежеством он должен бороться активно“. (Крупская) უვიცობა და სიბნელე მარტო იმაში კი არ გამოიხატება, რომ ხალხმა არ იცის წერა-კითხვა, არამედ უფრო მეტად იმაში, რომ მან არ იცის, თუ როგორ მოაწყოს თვისი საკუთარი ცხოვრება, ცხოვრება საზოგადოებისა, როგორ გამოიყენოს მის გარშემო არსებული ბუნებრივი სიმდიდრე, როგორ გახადოს თავისი შრომა უფრო წარმოებითი, როგორ ჩაიცვას, როგორ დაიხუროს, როგორ ისაზრდოოს და მრავალი სხვა.

აქ მასწავლებლის როლი დიდია, ასპარეზი ფართოა. აქ მასწავლებელი პირველად ყოვლისა უნდა იცნობდეს ამ სინამდვილეს და უნდა ქონდეს უნარი და შეძლება, რომ გარდაქმნას ეს სინამდვილე. მხოლოდ მაშინ იქნება ის განათლების მუშაკი. მასწავლებელმა უნდა იცოდეს ყოფა-ცხოვრება, შრომა და მისწრაფება საზოგადოების იმ ფენისა, რომელსაც ეკუთვნიან მისი სკოლის ბავშვები... უამისოდ ის ვერ გაიგებს ბავშვს, უამისოდ ის ვერ მიიპყრობს საზოგადოების გულის ყურს და მას ვერ ჩაითრევს სასკოლო აღმშენებლობაში.

ამრიგად, მასწავლებლის მოღვაწეობის ასპარეზი სკოლის ფარგლებში დიდი და ღრმაა, სკოლის გარეშე თვალუწვდენელია.

როდესაც ხდება პედტექნიკუმების სამუშაო გეგმის, პროგრამების, თეორეტიული და პრაქტიკული მუშაობის მეთოდების და სხვა საკითხების განხილვა, გამოსავალ წერტილად უნდა იქნეს აღიარებული მასწავლებლისადმი წაყენებული მთავარი მოთხოვნილებები. უამისოდ დასმულ კითხვებზე სწორი პასუხის გაცემა შეუძლებელი გახდება.

ცხადია, რომ მასწავლებელს ესაჭიროება ხელოვნური მომზადება, რაც წავა ორი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ხაზით: ერთი იქნება თეორია, მეორე—პრაქტიკა. პრაქტიკულ მუშაობას მრავალი ტექნიკური და სხვაგვარი დაბრკოლება ეღობება წინ. მართალია, ტექნიკუმის მუშაობის გეგმაში აქამდის იყო ნაჩვენები, რომ მუშაობა უნდა ხდებოდეს სკოლებში, ქოხ-სამკითხველოებში, კლუბებში, საბავშვო ბაღებში და სახლებში და სხვა. ეს მოითხოვს მეტს დაფიქრებას და შესწავლას, რომ გეგმა გეგმად არ დარჩეს. რაც შეეხება სკოლაში მუშაობას, უნდა ითქვას, რომ აქ მეტის გაკეთება შეიძლებოდა, ვიდრე გაკეთდა. მიზეზი ის არის, რომ პედტექნიკუმებთან დღემდის არ არის მოწყობილი საცდელ-სანიმუშო სკოლები. ეს კი მიუღებელია. სხვა სკოლებში შეიძლება გაკვეთილების მიცემა, მაგრამ მხოლოდ იშვიათად მრავალი საპატიო მიზეზების გამო.

პედაგოგიური ტექნიკუმების როლი მარტო ახალი მასწავლებლების მომზადებით არ ამოიწურება. პედტექნიკუმი მისი რაიონის სკოლების სულის ჩამდგმელი უნდა იყოს. არ კმარა მარტო ის კონსულტაცია, რომელსაც იძლევა ტექნიკუმი. საჭიროა ცოცხალი და თვალსაჩინო კავშირი რაიონის ყველა სკოლებთან. როგორც დაკვირვებიდან ვიცით, ამ მხრივ უდიდეს როლს თამაშობს საცდელ-სანიმუშო სკოლა, ეს ცოცხალი აგიტაციაა. ეს წამაქეზებელია მასწავლებლისათვის.

სამწუხაროდ საცდელ-სანიმუშო სკოლები პერიფერიებს (სამაზრო ცენტრებს) არ გააჩნია. ეს თბილისის მონოპოლიად გადაიქცა. გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ასეთი დაწესებულებები უნდა მიიღოს პერიფერიებმა, პირველყოვლისა საცდელ-სანიმუშო სკოლები უნდა დაარსდეს პედტექნიკუმებთან, არა სიტყვით, არამედ საქმით, რომ ბიუჯეტს გარეშე არ დარჩეს მისი შტატი, როგორც ამას ადგილი ქონდა ზოგან შარშან. აქ მომჭირნეობა გვავნებს. ზედმეტი არ იქნება აქ მოვიყვანოთ ლუნაჩარსკის სიტყვა (სრულიად რუს. საგუბერ. გან. გამგეების კონფერენციაზე):... „Режим экономии не означает сокращения бюджета Наркомпроса, наоборот, предусматривает расширение, его но он обязывает к величайшей рационализации затраты каждой копейки. Скупость в деле народного просвещения грозит катастрофой рехватки квалифицированных рук и, наоборот, рационально сатраченный здесь рубл дает через некоторое время хозяйственный результат“ (Учит. газете № 21 (93), 29 мая 1926 г.).

ამჟამად კონფერენციას ბევრი და დიდი საქმეები აქვს გასაკეთებელი. იმედი გვაქვს, რომ კონფერენცია ღირსეულად შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. ამავე დროს უნდა ითქვას, რომ უფრო ნაყოფიერი იქნებოდა არა მარტო ტექნიკუმების გამგეების კონფერენციის მოწვევა, არამედ ტექნიკუმების მასწავლებლებისაც, რაც ხელს შეუწყობდა საკითხის ყოველმხრივად გაშუქებას.

ვ. დემურია.
ბ. კიზირია.

პარტიული ცხოვრება

პარტბილეთების ჩამორთმევა პარტიიდან გარიცხულთათვის

მიუხედავათ არა ერთხელ მითითებისა, რომ პარტიიდან გარიცხულთ უსათუოდ უნდა ჩამოერთვათ პარტბილეთები, მაინც ხშირია ისეთი მოვლენა, როდესაც გარიცხულთ უტოვებენ პარტბილეთებს, ხოლო ეს უკანასკნელნი ბოროტად სარგებლობენ მით.

ამ გარემოებაზე მიუთითებს საკავშირო კომპარტიის ცეკას ცირკულიარული წერილიც.

საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო საკანტროლო კომისია, საკავშირო კომპარტიის ცეკას უკანასკნელი დირექტივის აღსასრულებლად და საოლქო საკანტროლო კომისიის მიერ ამ საკითხზე 6 თებერვალს გამოცემულ ცირკულიარული წერილის შესაცვლელად ადგენს:

1) საკავშირო კომპარტიის ა.-კ. საოლქო კომიტეტის და საკანტროლო კომისიის 6 თებერვლის ცირკულიარში აღნიშნული პარტბილეთების ჩამორთმევის წესი პარტკომების აღმრიცხვსტატების მიერ გაუქმებულ იქნეს და პარტბილეთების ჩამორთმევა დაევალოს რესპუბლიკათა საკანტროლო კომისიების პარტკოლეგიებს.

2) გარიცხულთა საქმეების გადაგზავნისას უმაღლეს პარტორგანოებში, საქმეზე მიკერებულ უნდა იქნეს გარიცხულის პარტიული ბილეთი.

3) პარტბილეთების ბოროტად გამოყენების შემთხვევების თავიდან ასაცილებლად გარიცხულების მიერ. განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც საბრალმდებლო მასალა უდავოა პასუხისგებაში მიცემულის პარტიიდან გარიცხვის მხრივ, პარტბილეთების ჩამორთმევა ასეთ პირისაგან უნდა მოხდეს პარტკოლეგიის თავმჯდომარის ნებართვით, სანამ საკითხი გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილ იქნება პარტკოლეგიის მიერ.

შენიშვნა: პარტბილეთების ჩამორთმევის უფლება არ ვრცელდება სამაზრო რწმუნებულებზე.

4) რესპუბლიკათა საკანტროლო კომისიების პარტკოლეგიები, ჩამორთმეულ პარტბილეთებს გზავნიან ცენტრალურ კომიტეტის აღმრიცხსტატგანყოფილებაში აპელაციის ვადის განვლის შემდეგ (16 თვე).

როგორ ჩატარდა ბიუროების გადარჩევა

(სიღნაღის მაზრა)

მოსამზადებელი მუშაობა. ბიურ. გადარჩევის კომპანიის სერიოზულათ და სწორათ ჩატარებისათვის საორგანიზაციო განყ. მიერ მობილიზაცია იქმნა ყველა აქტიურ ძალებს და თემკომებზე იდეურ ხელმძღვანელობისათვის მიმაგრებულ იქნენ ამხანაგები, რომლებსაც მიეცათ ინსტრუქცია. საგანგებოთ მოწვეულ მათ კრებაზე წაკითხულ იქნა საინსტრუქციო მოხსენება ბიუროების გადარჩევის შესახებ.

კომპანია დამთავრდა ერთ თვის განმავლობაში.

რა გამოირკვა

წარსულ მუშაობიდან ირკვევა, რომ ნაკლებთან ერთათ კომუჯრედების მუშაობაში ყოფილა მიღწევები. მიღწევებათ შეიძლება ჩაითვალოს:

1. გლეხთა მასებში პარტიის ავტორიტეტის ამაღლება.
2. კომუჯრედის ღია კრებებზე უპარტიო გლეხობის მონაწილეობა.
3. წევრ-კანდიდატთა პოლიტიკურ მომზადების დონის ნაწილობრივ ამაღლება.
4. უჯრედის წევრთა აქტივობის ზრდა.
5. ა. ლ. კომკავშირის ორგანიზაციაზე ხელმძღვანელობის გაუმჯობესება.
6. სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობის გამოცოცხლება და სხვა.

დეფექტები უჯრედების მუშაობაში

მიუხედავათ ზემოხსენებულ მიღწევებისა წარსულ მუშაობას მაინც ახლდა დეფექტები:

1. ზოგიერთ უჯრედებში ნაკლებათ ირჩეოდა პარტყრილობების დადგენილებები, ნაკლებ კეთდებოდა პოლიტიკური ხასიათის შინაარსიანი მოხსენებები. იქაც კი სადაც ასეთის გატარების ცდას ჰქონია ადგილი, მოხსენება ყოფილა მშრალი, ისე, რომ მისი შეთვისების საშუალება თითქმის არავის მისცემია.
2. კრებების მოწვევა ატარებდა შემთხვევითი ხასიათს. უჯრედის ღია კრებებზე არ ირჩეოდა ისეთი საკითხები, რომელიც ინტერეს გამოიწვევდა უპარტიო გლეხობის და თვით პარტ-ამხანაგებს შორის.
3. ზოგიერთ უჯრედებში კრების თავ-რეთ ყოფილა უპარტიო ანდა დაუმტკიცებელი კანდიდატი. აგრეთვე ესა თუ ის საკითხი ზოგან სწყდებოდა უპარტიოების ხმის მიცემით კრების ყრის დროს.
4. კომუჯრედები სუსტათ ხელმძღვანელობდენ ა. ლ. კ. კ. ადგილობრივ უჯრედებს, რაც გამოიხატება ფორმალურ წარმომადგენლობას დაცვაში ა. ლ. კ. კ. უჯრედებზე მიმაგრებული ამხანაგები ხშირათ არ ესწრებოდენ პირველთა კრებებს და თუ ესწრებოდენ ვერავითარი ხელმძღვანელობას ვერ უწევდენ.
5. ნაკლები ყურადღება ექცეოდა კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას, ამ საქმისათვის ვერ იქმნა გამოყენებული სოფლის ინტელიგენცია და კომკავშირი.
6. სადაც შესაძლებელი იყო, იქაც კი არ დაწყებულა უჯრედებში გეგმიანი მუშაობა.
7. კრებები იმართებოდა ღამ-ღამობით და სამუშაო დღეებში, რაც ხელს უშლიდა ერთის მხრით გლეხობის და მეორეს მხრით (რაც განსაკუთრებით ანგარიშ გასაწევია) უპარტიო ქალების ღია კრებებზე დასწრებას.
8. უჯრედებში დისციპლინის შესუსტება, რაც გამოიხატება ამხანაგების (განსაკუთრებით ძველ მომუშავეთა) კრებებზე არ დასწრებაში, დავალებების შეუსრულებლობაში და სხვა.

დასკვნა

ცხადია ყოველგვარ მუშაობას თან ახლავს ნაკლი, მაგრამ ისიც უდავოა, რომ ამ ნაკლს სჭირია აღმოფხვრა, შესწავლა და ამ გამოცდილებით მომავალში მუშაობის გაუმჯობესება.

თავის მოტყუილება იქნება ისიც, რომ არ აღინიშნოს კომუჯრედებზე სუსტი ხელმძღვანელობა და ცოცხალი კავშირის სისუსტე თემკომების მხრივ. იგივე ახასიათებს კომკავშირის თემკომებს, რაც განსაკუთრებით დაღს ასვამს მათ მუშაობას.

მომავალში საჭიროა თემკომების მეტი ხელმძღვანელობა და ცოცხალი კავშირის დამყარება უჯრედებთან რაც უნდა გამოიხატებოდეს აქტივის გამოყენებაში და თემიდან ამხანაგების სოფლის უჯრედებზე მიმაგრებაში.

მუშაობის გამოცოცხლებას მომავალში ხელს შეუწყობს ახალი ბიუროების ენერგიული მუშაობა, რადგან მასში ჩაბმულია უჯრედების აქტივი.

ვ. ხატიაშვილი.

სურების თემკომის მუშაობა

(ოზურგეთის მაზრა)

სურების თემკომში შედის 3 კომუჯრედი, რომლებშიაც ირიცხება 30 პარტიის წევრი და 45 კანდიდატი. თემკომის წევრები მიმაგრებული არიან კომუჯრედებზე, ხშირად ეწყობა ღია კრებები, უკანასკნელებზე გლეხობა დიდი ხალისით ესწრება.

უჯრედებში საერთოდ მუშაობა მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლად, გარდა ზემო-სურების უჯრედისა, რომელიც საგრძნობლად მოკოჭლობს.

კომკავშირის ორგანიზაციაში ითვლება 97 წევრი. სურების უბანში კომკავშირის ორგანიზაცია კარგად მუშაობს, დისციპლინაც კარგია, დამოკიდებულება პარტიულ და კომკავშირის უჯრედებს შორის დამაკმაყოფილებელია.

ქალთა სადელეგატო კრებებში გაერთიანებულია 72 ქალი. სამეცადინოთ მათზე მიმაგრებულია უჯრედიდან გამოყოფილი ამხანაგი, მაგრამ ქალთა შორის მუშაობა მაინც მოისუსტებს.

პიონერთა ორგანიზაციაში ითვლება 176 პიონერი, ხელმძღვანელობა მათზე არ არის დამაკმაყოფილებელი.

კოოპერაციის წევრებად ირიცხება 450 კაცი, საკრედიტო ამხანაგობა შედგება 84 წევრისაგან. გაცემულია სესხად გლეხებზე 9.000 მან.

გლეხკომების მუშაობა მოისუსტებს. მათ არ აქვთ არავითარი საშემოსავლო წყარო. გლეხკომში სულ არის 113 წევრი. გლეხკომის მუშაობის გაუმჯობესებას თემკომი აქცევს სათანადო ყურადღებას.

ა—კო.

ახალი სპარსეთი

თბილისში ჩამოვიდა სპარსეთის ჯარის სარდალი ბ. ფაზლულა-ხან-ზახიდი.—სპარსეთის არმიის რეორგანიზაცია.—სავალდებულო სამხედრო ბეგარის შემოღება

სპარსეთიდან თბილისი ჩამოვიდა ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ სპარსეთის არმიის მთავარსარდალი ბ. ფაზლულა-ხან-ზახიდი, რომელიც მიემგზავრება საზღვარგარეთ.

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს ბ. ფაზლულა-ხან-ზახიდმა მისი ჩამოსვლის მიზნისა და სპარსეთის არმიის რეორგანიზაციის შესახებ განაცხადა შემდეგი:

— მე თბილისში დავრჩები რამოდენიმე დღე; მივემგზავრები საზღვარგარეთ ორი თვის შვებულებაში საქმიოდ. ამავე დროს მე განზრახული მაქვს გავეცნო სამხედრო საქმის მდგომარეობას ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებში.

აქამდე ჩვენი არმია აგებული იყო მოხალისეობის პრინციპზე. ეს, რასაკვირველია, სამძიმო იყო სახელმწიფოსათვის, რადგან არმია მეტად ძვირი ჯდებოდა, რაც გავლენას ახდენდა ჩვენი სახელმწიფოს ბიუჯეტზე.

რიზა-შახის ტახტზე ასვლის შემდეგ წამოიჭრა საკითხი სავალდებულო სამხედრო ბეგარის შემოღების შესახებ, რომლის პროექტი მიღებული იქნა მეჯლისის მიერ გასული წლის ბოლოს.

სავალდებულო სამხედრო ბეგარის შემოღებას ჩვენ უფრო სამართლიანად ვთვლით, რადგან მისი შემოღებით არ იქმნება ისეთი მდგომარეობა, როდესაც ქვეყნის დაცვა ეკისრება მოსახლეობის ერთ ნაწილს, იმ დროს, როდესაც მეორე, უფრო შეძლებული ნაწილი გაურბის ამ ვალდებულობის შესრულებას. სამხედრო სამსახურის ვადა ჯერ არ არის სისწორით დაწესებული, მაგრამ დაახლოვებით განზრახულია 3—5 წლამდე. ჯარში გაწვეული იქნება 21 წლის ჰასაკის ახალგაზრდები.

გადავიდა რა შემდეგ ჯარის ტექნიკური მოწყობილობის საკითხზე, ფაზლულა-ხანმა განაცხადა, რომ ამჟამად როგორც რიზა-შახი, რომელიც სპარსეთის ჯარის მთავარსარდლათ ითვლება, ისე უმაღლესი სამხედრო წრეები დაინტერესებული არიან საკითხით, რომ გააუმჯობესონ ჯარის ტექნიკური მოწყობილობა და გამოიყენონ, როგორც ქვეითა, ისე საჰაერო სამხედრო ტექნიკის ახალი მეთოდები.

— სამწუხაროდ,—აღნიშნა გენერალმა,—მე არ მყოფილვარ წინედ თბილისში და ჩემი ჩამოსვლა პირველია, ამიტომ ჩემთვის ძნელია ლაპარაკი აღმშენებლობაზე. მაგრამ მე უნდა აღვნიშნო, რომ თანამედროვე თბილისმა ჩემზე საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა.

გენერალი ფაზლულა-ხან-ზახიდი ევროპიდან დაბრუნებისას გამოივლის მოსკოვშიაც.

ი.

ჩეხო-სლოვაკიის ტრანსპორტელების წარმომადგენელი თბილისში

გუშინ, საქართველოს სამხედრო გზით თბილისში ჩამოვიდა ჩეხო-სლოვაკიაში მცხოვრებ გერმანელ ტრანსპორტელთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი **იოსებ ნაზი.** ის პროფესიით დურგალია და ჩეხო-სლოვაკიის მუშათა წრეებში დიდი ნდობა და პატივისცემა აქვს მოპოვებული. რწმენით ის მემარცხენე სოციალ-დემოკრატია.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოში

ამხ. ნაზი მიიღო საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ილ. ჭელიძემ. სტუმარი დაინტერესებული იყო საქართველოს პროფკავშირების მუშაობით და მიღწევებით. ილ. ჭელიძემ დაწვრილებით უამბო, თუ რა პრინციპზეა საქართველოს პროფკავშირები აგებული, მიაწოდა დაწვრილებითი ცნობები პროფკავშირების მუშაობის, წევრთა რაოდენობის და მათი დამოკიდებულების შესახებ მეზობელ რესპუბლიკების საკავშირო ორგანოებთან.

საგულისხმიერო შემთხვევა

სწორედ იმ დროს, როდესაც იოსებ ნაზს ამხ. ჭელიძესთან ჰქონდა საუბარი, პროფკავშირთა საბჭოში შემოვიდა გერმანელი უმუშევარი ორი მელითონე მუშა. ისინი დაბრუნებულან სპარსეთიდან და მიუმართავთ თბილისში გერმანიის ელჩისათვის უცხოეთში წასვლის ნებართვის მიცემის და ფულად დახმარების შესახებ. გერმანიის საელჩოს, ერთხელაც და მეორეხელაც უარი უთქვამს. ახლა ისინი მოვიდენ პროფკავშირთა საბჭოში დახმარების სათხოვნელად. ამხ. ჭელიძემ იქვე მოახდინა განკარგულება, რომ მიეცათ მათთვის ოთახი მოსასვენებლად, დახმარებოდა მელითონეთა კავშირი ფულად და აღძრა პროფკავშირთა საბჭოს სახელით სათანადო შუამდგომლობა საგარეო საქმეთა კომისარიატის რწმუნებულთან მათთვის უცხოეთში წასვლის ნებართვის მიცემის შესახებ.

ჩეხო-სლოვაკიის დელეგატი ასეთმა გულთბილმა და ნამდვილმა მუშურმა მოპყრობამ ძალიან აღაფრთოვანა და გერმანიის უმუშევარ მელითონე მუშებს უთხრა: აი რას ნიშნავს ჭეშმარიტი მუშათა სოლიდარობა! ხომ ხედავთ, როგორი ნამდვილი მზრუნველობით მოგეპყრენ ქართველი ამხანაგები? აქაური კომუნისტები რომ თქვენში მოხვდენ, გერმანიის სოციალ-დემოკრატები არა თუ იზრუნებენ, არამედ ციხეში გაგზავნიან მათ. თქვენ დღეს თუ ხვალ კომუნისტები უნდა გახდეთ, კომუნისტური პარტიის გარშემო უნდა შემოკრბეთ. გადაეცით ეს თქვენს ადგილობრივ ამხანაგებსაც.

რა მიზნით ჩამოვიდა ნაზი

ჩვენი გაზეთის თანამშრომელი ესაუბრა ამხანაგ იოსებ ნაზს, რომელმაც თავისი ჩამოსვლის მიზნის შესახებ შემდეგი განაცხადა:

— როდესაც საბჭოთა კავშირიდან ჩეხო-სლოვაკიის დელეგაცია დაბრუნდა, თან ჩამოიტანა საბჭოთა კავშირის შესახებ ნამდვილი ამბები. კავშირთა ბელადებს დაბრუნებულთა ასეთი მოქმედება არ მოეწონა. იმათ ახალი ოინი მოიგონეს და მუშათა ფართო მასებში ხმა გაავრცელეს: დელეგაციის წევრებმა თავისი მოუმზადებლობის წყალობით ვერაფერი ვერ გაიგეს და მათგან ჩამოტანილი ცნობები ამ გაუგებრობის ნაყოფიაო. მე ჩამოვედი იმისათვის, რომ ბელადების ამგვარი მსჯელობა ადგილობრივ შევამოწმო და შემდეგ ჩეხო-სლოვაკიის მუშათა კლასს უთხრა სიმართლე.

ნაზის შთაბეჭდილება

მე უკვე მოვიარე საბჭოთა კავშირის ზოგიერთი ადგილები. ვინახულე „დონბასიც“. ყველგან საუკეთესო შთაბეჭდილება მივიღე. ჩვენში მენშევიკები და სხვა მისი მონათესავე პარტიები ხმას ავრცელებენ, თითქოს საბჭოთა კავშირში მუშათა კლასი დაშინებულია, თითქოს მათზე ფაბჩარხკომებში ტერორია გაბატონებული და სხვა, დავრწმუნდი, რომ ასეთი ლაპარაკი უსირცხვილო ჭორი და სიცრუეა. ჩემთვის დღეს უკვე აშკარაა, რომ ფაბჩარხკომები მუშათა კლასის ნება-სურვილის ნამდვილი გამომხატველია. მუშებ თავისუფლად გამოსთქვამენ თავიანთ გულის ნადებს. თუთუნის წარმოებაში მქონდა შემთხვევა დავრწმუნებულიყავი, რომ ფაბჩარხკომის წინააღმდეგ თავისუფლად ლაპარაკობენ. ყოველ შემთხვევაში აქ ადგილი აქვს ურთიერთ გაგებას, ამხანაგურ დამოკიდებულებას და არა ტერორს.

მენშევიკების ჭორები

იქ, ჩვენს ქვეყანაში, ქართველი მენშევიკები ამბობენ, რომ საბჭოთა საქართველოში სოციალ დემოკრატიულ პარტიის წევრობისათვის ხალხს ხვრეტენ და თუ ყველა ვერ დახვრიტეს, ეს იმის გამო მოხდა, რომ მუშათა ფართო მასებმა დემონსტრაციები მოახდინეს და მოითხოვეს ისინი არ დაეხვრიტათო. უკვე ღრმად დავრწმუნდი, რომ აქ ამის მსგავსი არაფერი ყოფილა. მენშევიკებს საზოგადოთ ძალიან ცუდათ აქვთ საქმე. მათი ბანაკი თანდათანობით თხელდება და მეტი საქმე რომ არაფერი აქვთ, ჭორებს იგონებენ.

ამხ. შ. ელიავასთან

გუშინ ამხ. ნაზე ესტუმრა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. **შ. ელიავას.** დელეგატი აგრეთვე იყო რკინის გზის სახელოსნოებში დეპოს მუშებთან. შემდეგ ინახულა „ზაკ[illegible]მტორგ“-ის გარაჟი. სადამოს დაათვალ[illegible] მუშათა კლუბს. დელეგაცია ინახულებს მეტეხის ციხეში მყოფ მენშევიკებს. ესტუმრება ქართულ კს და სხვადასხვა დაწესებულებებს.

ამხ. ნაზე თბილისში დარჩება 2—; აქედან ის გაემგზავრება იალტაში, სადაც დაათვალიერებს ტრანსპორტელთა დასვენების? სახლს; იალტიდან ნაზე გაემგზავრება სიმფეროპოლში, სევასტოპოლში, ხარკოვა მოსკოვში, საიდანაც შემდეგ დაბრუნ ჩეხო-სლოვაკიაში.

როგორ ტარდება მომჭირნეობის რეჟიმი საქართველოს სახ. კინომრეწველობაში

(საქ. მ.-გ. ინსპექციის მასალებიდან)

როგორ ტარდ მომჭირ რეჟ საქ სახკინ

მომჭირნეობის რეჟიმის გატარების მთავარი მიზანია სახელმწიფოს მატერიალური რესურსების გაძლიერებასთან ერთად შექმნა და განმტკიცება ისეთ დისციპლინისა, რომ მომჭირნეობა გახდეს საბჭოთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩვეულებრივ, ბუნებრივ მოვლენათ.

ხანგრძლივი და შეუპოვარი მუშაობაა საჭირო ამ მიზნის განსახორციელებლად, რადგან მეტი წილი ჩვენი დაწესებულებებისა ჯერ - ჯერობით კიდევ არ გამსჭვალულან ამ მიზნის შეგნებით.

თვალსაჩინო ადგილი ასეთ დაწესებულებებს შორის უჭირავს საქართველოს სახელმწიფო კინო - მრეწველობის სააქციონერო საზ-ს, რომელიც არსებობს განსაკუთრებით სახელმწიფო კაპიტალით.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ, შრომის სახკომისარიატის წარმომადგენელთან ერთად, სპეცების ხელფასის განაკვეთების შესახებ მოხდენილმა გამოკვლევამ მოგვცა ნათელი სურათი დაუდევრობის და სახელმწიფო თანხების უანგარიშოთ დახარჯვის.

სახკინომრეწველობის სპეც - ფონდის და ხელფასის სპეც - განაკვეთების საკითხის გამოსარკვევად აღებული იყო ორი მომენტი—1925 წლის ოქტომბერი და ა. წ. მაისი, ე. ი. ისეთი თვეები, რომლებიც სწორეთ ახასიათებენ აღნიშნულ საკითხის მდგომარეობას წლის ორივე ნახევარში. როგორც წლის პირველ, ისე მეორე ნაწილში სპეც - განაკვეთების შესახებ არის დარღვეული მთელი რიგი მომქმედი კანონმდებლობისა, რომლებშიაც ნათლად და გარკვევით არის ნათქვამი, რომ სამეურნეო ორგანოებს შეუძლიათ მისცენ სპეცებს ხელფასი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათთან აქვთ დადებული სათანადო ხელშეკრულება და აქვთ გატარებული შრომის სახკომის ორგანოებში. კინო - მრეწველობის ადმინისტრაციას კი სპეცების განაკვეთი არ გაუტარებია რეგისტრაციაში და სათანადო წესით არ დამტკიცებულა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ამ დარგში სპეც-განაკვეთები სრულებით არ შეეთანხმებიან წარმოების სხვა დარგების სპეცების ხელფასს და აჭარბებს უკანასკნელს 200—300 %-მდე. კინო-მრეწველობის სპეცების ხელფასი (თვითეულის) 140 მანეთიდან აღწევს 1.000 მანეთამდე. ერთი რეჟისორთაგანი კი იღებს 1.000 მან. თვიურად და მიღებული სურათის თვითეულ მეტრიდან კიდევ 50 კაპ.-ს, საშუალოდ მისი ხელფასი თვიურად უდრის 1.800 მანეთს.

გარდა სპეც - განაკვეთების უწესრიგოთ გადიდებისა ყურადღებას იქცევს თანამშრომლებს შორის წარმოების საერთო წმინდა მოგებიდან ტანტიემის სახით % განაწილების წესის დარღვევა. ისეთ გვარ სააქციონერო საზ-ს, როგორიც კინო-მრეწველობა არის, წინად შეეძლო მიეცა თავის პასუხისმგებელ თანამშრომლებისათვის ტანტიემის სახით თანხა აქციონერების საერთო ყრილობის დადგენილების თანახმად არა უმეტეს 2 % საერთო წმინდა მოგებიდან, ხოლო არა წინდაწინ, არამედ ანგარიშების განხილვის და დამტკიცების შემდეგ. კინო-მრეწველობის ორმა პასუხისმგებელმა თანამშრომელმა კი მიიღეს წარსულ და მიმდინარე საოპერაციო წლების ტანტიემის ანგარიშში (ერთმა—5054—34 კ. და მეორემ—984—33 კ.) 6.038—67 კ. ავანსის სახით.

ტანტიემის მიღება, თანახმად საკავშირო ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილების 1925 წლის 10 ივნისის მუხ. 4, კატეგორიულად აკრძალულია.

კინო - მრეწველობის წარსულ საოპერაციო წლის მოგება დღესაც გამოურკვეველია. თვით კინო-მრეწველობის მიერ 1925 წლის ანგარიშებში ნაჩვენები მოგება — 74.176—72 კ. მხოლოდ ქაღალდზე სწერია, იგი არ არის მიღებული სარევიზიო კომისიის მიერ, ამჟამად სწარმოებს მისი გადასინჯვა და მოსალოდნელია, რომ წარმოებას არც დარჩეს რაიმე მოგების სახით არამც თუ 74.176—72 კ., არამედ ერთი გახვრეტილი გროშიც კი.

მიუხედავად ამისა 1000 და 1800 მან. სპეც-განაკვეთები, არ არსებული მოგებიდან კანონით წინად გათვალისწინებული 2% მაგიერ 3% ტანტიემები ორ თანამშრომელს, სულ 6% და ისიც წინასწარ ავანსის სახით. ამას ამტკიცებენ გამოკვლევის გამოკვლევიდან მიღებული მასალებიდან ჩანს შემდეგი: 5000 მანეთი მიეცა რეჟისორს ავანსის სახით მეტრაჟის ანგარიშში. იმავე 2.500 მან. დაუბრუნებლად (безвозвратно) მის მიერ პირადათ, ნებაყოფლობით დადებულ ხელშეკრულების სალიკვიდაციოთ და ამას გარდა ჩამოეწერა კიდევ მისი პირადი ვალი 2770 მან., სულ 7.740 მან. ასეთია გამოკვლევის შედეგები. როგორ ახერხებს ამას რეჟისორი?

ძალიან მოხერხებულათ: წინასწარ მოსაზრებით და განზრახვით. ის მიმართავს „ტერორს“ სახკინომრეწველობის დირექციაზე გავლენის მოსახდენათ და გასაქანს არ აძლევს მას. აი, ეს „ტერორისტული აქტები“

1. „В Дирекцию Госкинпрома.

Настоящим прошу Вас принять к сведению, что по окончании нашего договора, т. е. с 1-го октября этого года, я оставляю службу у Вас и вообще в Грузии. Во избежание нареканий прошу заметить, что я об'являю Вам об этом за шесть месяцев, срок вполне достаточный, чтобы избежать каких-бы то ни было обвинений.

В потверждение получения этого прошу выдать мне засвидетельствованную копию моего заявления.

Режиссер И. Перестиани“

2. „Председателю Правления Госкинпрома.

Задерживая меня здесь, Вы тем самым ставите меня в крайне тяжелое положение перед ВУФКУ, с которым я связан договором.

В нашей личной беседе Вы указали мне, что для избавления меня от ответственности морального характера перед ВУФКУ, Вами будет прислана мне оффициальная бумага от высших органов Республики. Теперь я вынужден настойчиво просить Вас о выполнении Этого постановления потому, что для меня создается фальшивое и невыносимое положение — небывалое за всю мою жизнь.

Моя вина перед ВУФКУ совершенно невольная, выносить незаслуженные упреки и нарекания—обидно, и я принужден все-же просить Вас отпустить меня, если я не могу быть абсолютно огражден от волнующих меня и мешающих работе обстоятельств.

Режиссер Ив. Перестиани.“

3. „В Правление Госкинпрома.

В дополнение и пояснение нашего предстоящего соглашения, прошу принять к сведению, что условленный аванс в сумме 2,500 руб. я должен получить и единовременно и своевременно.

Дело в том, что только такая получка даст мне возможность вздохнуть свободно, рассчитаться с накопившимся долгами и т. д.

Кроме того. разгрузив меня от этих тяжелых забот, Вы дадите мне большое облегчение для работы. Врядли нужно пояснять насколько это важно.

Режиссер И. Перестиани.“

„ტერორისტული აქტები“ მიზანს აღწევს; რეჟისორი უძლეველი ხდება და გამგეობას უდგენს შემდეგ პირობებს:

4. „В Правление Госкинпрома.

Ссылаясь на переговоры с Пред. Правления тов. Д. В. Канделаки, настоящим подтверждаю мое согласие продолжать работу в Госкинпроме на следующих основаниях:

А) Предложенный мне оклад в 1000 руб. в месяц;

Б) Уплата мне по 50 к. с метра выпущенного позитива моих постановок, включая подписи, являющиеся трудом литературным.

В) Аннулировать числящийся за мною долг.

Г) При достижении соглашения, выдать мне авансом пять тысячь рублей. Из них я должен уплатить ВУФКУ данный мне аванс в 3.500 руб., причем часть этого долга в размере 2.500 р. берет на себя Правление Госкинпрома п. ч., во первых за Правлением я имею компенсацию за работу, не выданную мне, и во 2-х моей вины происходящих между ними недоразумениях наберется меньше чем 50%. Поэтому погашение моего долга—по совести—будет действием правильным.

Д) Дать по окончании текущей работы отпуск первый за все годы на шесть недель.

Е) Условие и действие договора считаются с 1-го августа с. г. (как в ВУФКУ, за какое время я получаю разницу в основном окладе, т. е. 800 руб.

Режиссер Перестиани.“

წარმოდგენილი პირობები სავსებით დაკმაყოფილდება.

როგორც ხედავთ სახელმწიფო კინომრეწველობა ყოფილა რეჟისორი პერესტიანი, პერესტიანი ყოფილა სახელმწიფო კინო-მრეწველობა. პერესტიანი ყველაფერია ამ შემთხვევაში, სახელმწიფო კინო-მრეწველობა კი არაფერი.

როგორც მას მოეპრიანება, ისე მოიქცევა, ისეთ ხელშეკრულებას დაგიდებს, როცა უნდა მაშინ მოვა, როცა უნდა მაშინ წავა. მას ფეხებზე ჰკიდია ყველა და ყოველისფერი, ის ზეკაცია, განსხვავებული მადით და მოთხოვნილებებით.

რაშია საქმე? რატომ არის ასე თავგასული ზოგიერთი სპეცფონდების სალაროების გამომხვრელნი? იმიტომ, რომ დღემდის მათ საშუალება ჰქონდათ ხელოვნურათ გაედიდებიათ თავიანთი ხელფასი. უმთავრესად ესენი არიან კინოს სპეციალისტები და კვალიფიციური სამხატვრო, საოპერო და სადრამო ძალები. ისინი ხელფასის გადიდებას ახერხებენ ერთი მხრით ჩვენი საკუთარი დაუდევრობითა და ხელგაშლილობის წყალობით, სარგებლობენ ჩვენი გულუბრყვილობით და, წარმოიდგინეთ, შეიძლება ჩვენი კარგი მოპყრობით და კარგი განწყობილებით მათთან. ამ მდგომარეობას ამას შემდეგ მაინც ბოლო უნდა მოეღოს (თეატრების მდგომარეობას ამ მხრივ ეხლა იკვლევს კომისია საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლის ხელმძღვანელობით).

ამას გარდა, მთავარი მიზეზი კინოს, ოპერის და დრამის სპეციალისტების ხელოვნურათ ხელფასის გადიდებისა იყო და არის დღესაც ამ სპეციალისტების გადაბირების სისტემა. ზედმეტი ხელფასის დაპირება, ხელშეკრულების დადება და სხვა იმ დაწესებულების დაუკითხავად, სადაც მუშაობს რომელიმე სპეცი, ჩვეულებრივი მოვლენა არის ჩვენს სინამდვილეში, რაც, რა თქმა უნდა, საშუალებას აძლევს მოხერხებულ „მკურნიკს“ თავს ნება-სურვილზე ატრიალოს ყველაფერი და უსაზღვრო გაშლილი მადა დაიკმაყოფილოს.

ასეთი მდგომარეობა საბჭოთა ხელისუფლების დროს, სოციალიზმის შენების დროს, მით უმეტეს ეხლა, როცა მომჭირნეობის რეჟიმის გატარებას ენერგიულათ შეუდგა ჩვენი პარტია და მთავრობა, ყოვლად მიუღებელი და დაუშვებელია.

ამ საზარალო გაუგებრობის და არანორმალურ მდგომარეობას აწი ბოლოს უღებს საკავშირო მასშტაბით გამომუშავებული ღონისძიებანი, რომელსაც გაატარებს მუშათა და გლეხთა ინსპექცია შრომის სახკომისარიატთან ერთად. არავის არ უნდა მივსცეთ ნება, რომ პროლეტარული სახელმწიფო და საბჭოთა ხელისუფლება კერძო პიროვნებამ საწველ ფურათ გაიხადოს. სპეცი უნდა გამოვიყენოთ, ზედმეტიც უნდა მივსცეთ მათ იმაზე, ვინემ ჩვენ ვიღებთ, მაგრამ სახრავათ თავი კი არ უნდა დაუდოთ. ისინი უნდა გამოიყენოს პროლეტარიატმა და არა მათ გამოიყენონ პროლეტარიატი. აი, როგორ უნდა დავაყენოთ საქმე, არც ერთი ზედმეტი კაპიკი პროლეტარული სახელმწიფოს სალაროდან იმათ, ვინც შემთხვევითი მდგომარეობით სარგებლობს და ხელოვნურათ ხელფასის გადიდებას ახერხებს.

არც ერთი ზედმეტი გროში იმათ, ვინც საბჭოთა ხელისუფლებას თავაშვებულ უსაზღვრო მადიანი კუჭით ზომავს და მის აწმყოსა და მომავალს ანგარიშს არ უწევს. მომჭირნეობის რეჟიმმა აქაც თავისი მაგარი ხელი უნდა დარიოს. კმარა დაუდევრობა, ჩვენი გულუბრყვილობა, ხელგაშლილობა, უმომჭირნეობა და დაუზოგველობა. გული ნურავის მოუვა. გალაღებული კუჭები ოქტომბრის რევოლუციამ ნაკუწ-ნაკუწათ აქცია, და ჩვენივე ხელით ჩვენ დღეს მას აღარ შევქრავთ. მათთვის ლაგამია საჭირო. ლაგამი, რომელიც დაუზოგველ ბრძოლაში უნდა გამოიხატოს სოციალისტურ სახელმწიფოს საზიანო და საზარალო მოვლენებთან. პირდაპირ პასუხისმგებლობის გარდა საჭიროა მხილება, მხილება და კიდევ მხილება ხსენებულ საზარალო მოვლენების, დაუდევრობისა და დაუზოგველობის, საიდანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი. პრესა,—ეს ჩვენი საუკეთესო იარაღი. ჩვენი შემოქმედების მკვიდრი ენა, ჩვენი მიტინგი, ჩვენი ტრიბუნა, მხილების საუკეთესო საშუალება. პრესა, თუ გნებავთ, არის ჩვენი ინფორმაცია, ჩვენი მოხსენება, ჩვენი ანგარიში მა პარტიულ და უპარტიო მასასთან მჭიდრო კავშირის გამმტკიცე იარაღი. ჩვენ კარგათ გვაქვს შეგნებული პრესის მნიშვნელობა ცენტ. საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში მომჭირნეობის რეჟიმის გატარებასა და სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების საკითხთან დაკავშირებით, და ამიტომ ჩვენ აქ უკან არ დავიხევთ, მუდამ ამ იარაღით გვექნება საქმე და მას გამოვიყენებთ ჩვენი მუშაობისა და მიღებული შედეგების დროს. ეს არის პარტიის ხაზი და ჩვენ მას გავატარებთ. პარტიულმა ორგანოებმა ენერგიულათ უნდა დაგვიჭირონ ამ შემთხვევაში მხარი, პარტიული და უპარტიო მასა უმთავრესათ ამ საშუალებით უნდა გაეცნოს ჩვენ მუშაობას, ამ მუშაობის შედეგებს, ჩვენ ფუნქციების და დააფასოს იგი შესაფერისათ. ეხლა ჩვენ ლაპარაკი გვქონდა სახელმწიფო კინო-მრეწველობის შესახებ. მეორეხელ ლაპარაკი მოგვიხდება სხვა დარგზე უმთავრესად მომჭირნეობის რეჟიმის გატარებასთან და დაზოგვასთან დაკავშირებით.

სახელმწიფო კინო-მრეწველობაში გამოკვლევით აღმოჩენილ უწესრიგობის შესახებ, საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოიტანა შესაფერისი დადგენილება, რომლის უმთავრესი მუხლები ასეთია:

1. შრომის კანონმდებლობის დარღვევისათვის მოეთხოვოს პასუხისმგებლობა კინო - მრეწველობის ადმინისტრაციას შრომის სახალხო კომისარიატის მეშვეობით.

2. რეჟისორ პერესტიანის ხელფასის თვიური განაკვეთი (1.000 მან.), ვინაიდან მას გარდა ამ განაკვეთისა ეძლევა დამზადებულ სურათის თითეულ მეტრიდან 50 კაპ., ჩაითვალოს გადაჭარბებულად და მიეცეს წინადადება კინო-მრეწველობის გამგეობას შრომის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით გადასინჯოს მოქ. პერესტიანთან დადებული ხელშეკრულება.

3. მიეცეს წინადადება კინო-მრეწველობის ადმინისტრაციას დაუყოვნებლივ გამოიმუშავოს სპეცების ხელფასის განაკვეთები და წარადგინოს შრომის სახალხო კომისარიატში დასამტკიცებლად, რის შემდეგ დასდოს ყველა სპეცებთან ხელშეკრულება სათანადო რეგისტრაციაში გატარებით.

4. სახ. კინო-მრეწველობის საბჭოს დადგენილება 1926 წლ. 21 აპრილის თარიღით ტანტიემის გაცემის შეწყვეტის შესახებ ჩაითვალოს მიზანშეწონილად და დადასტურდეს.

5. წინადადება მიეცეს სახ-კინო-მრეწველობის გამგეობას დაუყოვნებლივ გამოარკვიოს მოგების უტყუარი რაოდენობა. ზემოაღნიშნული დადგენილებები მოხსენებასთან ერთად გადაეგზავნოს სახ. კინო-მრეწველობის გამგეობას, შრომის და განათლების სახალხო კომისარიატებს ცხოვრებაში გასატარებლად.

ა. დოლიძე.

ა.-კ. რკ. გზის სურამის უღელტეხილო უბნის ელექტროფიკაცია

(ინჟ. შახ-ბუდაგოვის მოხსენება საქ. ტექნიკურ საზოგადოებაში)

კვირას, ინჟ. გრ. შახ-ბუდაგოვმა საქართველოს ტექნიკურ საზოგადოებაში გააკეთა მოხსენება ა.-კ. რკ.-გზების სურამის უღელტეხილო უბნის ელექტროფიკაციის შესახებ.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ამ უბნის ელექტროფიკაციის პროექტი ჯერ კიდევ 1924 წელს იყო შემუშავებული, მაგრამ მან დღემდე ვერ მოიპოვა განხორციელება.

უღელტეხილო უბანზე მატარებლების გატარების ინტენსივობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი და ის განსაკუთრებით საგრძნობი ხდება დღეს, როდესაც მოძრაობა ა.-კ. რკინის-გზებზე თანდათან თვალსაჩინოდ იზრდება.

ეხლა, თანახმად ა.-კ. რკინის-გზების ტრანსპორტის განვითარების ხუთ-წლიან პერსპექტიულ გეგმისა, 1929-30 წელში, შეიძლება უფრო ადრეც, სურამის უღელტეხილო უბანზე გატარებული იქნება ელექტროფიკაცია.

უბნის ელექტროფიკაციისათვის პროექტი გათვალისწინებულია სპეციალური ჰიდრო-ელსადგურის აგება ტყიბულში ან ქუთაისში მდ. რიონზე, მაგრამ ვინაიდან შესაძლებელია ამ საქმის განხორციელების დაგვიანება, ხოლო უღელტეხილის ელექტროფიკაცია კი ვერ ითმენს დაყოვნებას, ამისათვის პირველ ხანებში ელექტრო-ენერგია გამოყენებულ იქნება ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურიდან, სადაიდანაც გზა მიიღებს ენერგიას 154 კილომეტრის მანძილზე. თბილისიდან-ხაშურამდე ენერგია 3000 ვოლტის ძალისა გადაეცემა რკინის ანძებზე გაბმულ სპეციალურ მავთულებით.

ასეთივე ხაზი გაყვანილი იქნება ხაშურიდან-ზესტაფონამდე.

ენერგიის გადაცემის მოწყობა სულ ჯდება 4.000.000 მანეთი. ამ თანხაში შედის აგრეთვე ენერგიის გამანაწილებელ სადგურებ მოწყობა სადგ.: ქარელში, ხაშურში და შორაპანში.

ელექტროფიკაციის გატარების შემდეგ, სურამის უღელტეხილზე ორთქლმავლებს შესცვლიან ელექტრომავლები, რომლებიც საჭიროა 17 ერთეულის რაოდენობით. თითეული ელექტრო-მავალი ჩამოტანილი ჩვენში, ჯდება 339.000 მანეთი.

ამჟამად ბათომიდან-თბილისში წამოსული მატარებლის შემადგენლობის წონა არ აღემატება 600 ტონას, ელექტრომავლების შემოღების დროს კი, შესაძლებელი გახდება 1000 ტონის სიმძიმის მატარებლის მოძრაობა. თბილისიდან—ბათომის მიმართულებით კი 1250 ტონის სიმძიმისა. საერთოდ ელექტრო-მავლებს შეუძლიათ მისცენ გზებს მოძრაობაში 30 პრო.ცენტის ეკონომია.

უბნის ელექტროფიკაციის პირველ ხანებში ელექტრო-მავლებთან პარალელურად იმუშავებენ ორთქლმავლებიც, მაგრამ შემდეგში უკანასკნელები თანდათან გამოვლენ ხმარებიდან.

ხაშურ—ზესტაფონის უბნის ელექტროფიკაციის შემდეგ, გატარებული იქნება ხაშური—თბილისის უბნის ელექტროფიკაცია.

საერთოდ სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია დაჯდება 8.673.000 მანეთი.

აღნიშნული საკითხი ცენტრში პრინციპიალურად გადაწყვეტილია.

ინჟ. შახ-ბუდაგოვის მოხსენების შესახებ, საზოგადოებამ მიიღო ინჟ. ბ. ჭიჭინაძის მიერ წამოყენებული რეზოლუცია, რომელშიაც აღინიშნავს განზრახულ ელექტროფიკაციის უდიდეს მნიშვნელობას საერთოდ ქვეყნისა, და კერძოდ ა.-კ. რკინის-გზისათვის.

უპატრონო ბავშვთა მოვლა-პატრონობა

26-27 ივნისს ამიერ-კავკასიის ცენტ. აღმასკომთან შემდგა ბავშვთა უპატრონო-უმწეობის წინააღმდეგ მებრძოლ კომისიების თათბირი, რომელსაც დაესწრენ წარმომადგენლები ა.-კ. ყველა რესპუბლიკებიდან. თათბირმა დაწვრილებით განიხილა უპატრონო ბავშვთა მოვლის საკითხი ამიერ-კავკასიაში და გამოიმუშავა შესაფერი ღონისძიებანი.

ადგილებიდან გაკეთებულ მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ამიერ-კავკასიაში მყოფ უპატრონო ბავშვთა საგრძნობი ნაწილი მოუწყობელი და დარჩენილია საბავშვო თავშესაფარების გარეშე. თათბირმა აღნიშნა, რომ ბავშვთა უპატრონობასთან ბრძოლა შეადგენს სახელმწიფოს ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას, რადგან უპატრონო ბავშვების არსებობა არის სოციალური ბოროტება. ამავე დროს თათბირმა აღნიშნა, რომ ასეთი ბავშვთა პატრონობის საქმე დღემდე ვერ არის სასურველ სიმაღლეზე დაყენებული.

თათბირმა დაადგინა: ა.-კ. ცენტრ. აღმასკომთან დაარსებული იქნება ბავშვთა უპატრონობასთან მებრძოლი ცენტრალური ორგანო, რომელიც უხელმძღვანელებს და მოაწესრიგებს იმ ორგანიზაციების მუშაობას, რომლებსაც დაკისრებული აქვთ უპატრონო ბავშვთა მოვლა.

თათბირმა აღნიშნა, რომ ბავშვთა უპატრონობასთან ბრძოლა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ იქნება შესაფერი თანხები და ამიტომ მიზანშეწონილად სცნო განსაკუთრებული გადასახადის შემოღება, რომელიც მთლიანად გადაირიცხება უპატრონო ბავშვთა დამხმარე ფონდში. ამასთანავე თათბირმა დაადგინა ეთხოვოს საკავშირო ცენტრ. აღმასკომთან არსებულ უმწეო ბავშვთა დამხმარე ცენტრალურ კომისიას, ამიერ-კავკასიისათვის გადადებული იქნას 40 ათასი მანეთის გარდა კიდევ დამატებითი თანხები.

უპატრონო ბავშვთა აღრიცხვის და სწავლების საქმე სავსებით უნდა დაექვემდებაროს განათლების სახ. კომისარიატს.

უპატრონო ბავშვთა მოვლა არ უნდა განისაზღვრებოდეს მარტო მათი ფიზიკური გადარჩენით, საჭიროა აგრეთვე მათი აღზრდა, როგორც საზოგადოებისათვის სასარგებლო მუშაკების.

თათბირმა დაადგინა აგრეთვე სთხოვოს ა.-კ. ცენტრ. აღმასკომს: აგვისტოში მოიწვიოს ბავშვთა უმწეობასთან მებრძოლი კომისიების მეორე თათბირი; მიიღოს ზომები რკინისგზებზე გაბნეულ უპატრონო ბავშვთა მოსავლელად. მოაწესრიგოს შეღავათიან ფასებში უპატრონო ბავშვების სამშობლოში გადაყვანის საქმე, გამოსცეს დეკრეტი საბავშვო სახლების მასწავლებელთა მომზადების შესახებ, გაანთავისუფლოს უპატრონო ბავშვთა დამხმარე ორგანიზაციები ყოველგვარი გადასახადისაგან, მიენდოს საგეგმო კომისიას გამოარკვიოს უპატრონო ბავშვთა სამუშაოებზე გაგზავნის საკითხი და აგრეთვე უპატრონო ბავშვთა გლეხურ მეურნეობებში ჩაბმის შესახებ.

ამას გარდა თათბირმა აუცილებლად სცნო ბავშვთა უპატრონობის საწინააღმდეგო ბრძოლის საკითხების გაშუქება ჟურნალ - გაზეთებში.

პატარა ფელეტონი

დასალოცხი ტრესტის ცოცხი

1.

იყო ტრესტი, რა თქმა უნდა,
იმ ტრესტსა ჰქონდა სამმართველ
ჰყავდა გამგე, მოადგილე,
სიტყვა რომ არ გავაგრძელო,
ჰყავდა ათი მემანქანე,
ბუხჰალტერი კიდევ ხუთი
იყო ათი ნაწილი და
მათ „ზავების“ მთელი ჯგუფი.
აბა, საქმის მწარმოებელს,
ჟურნალისტს და რეგისტრატორს,
შოფერს, იმის თანაშემწეს,
ექსპედიტორს და ტაქსატორს,
ნუღარ მკითხავთ, მათი რიცხვი
კარგათ ტრესტშიც არვინ იცის
ერთი სიტყვით, დღეს ამ ტრესტში
ვინ არ არის, ვინ არ იღწვის.
საქმე უკან-უკან მიდის.
რომ იტყვიან, იწვის ტრესტი,
ვერ იქნა ვერ აიცილა
თამასუქთა მან „პროტესტი“.
გამგე სწუხს და იწვევს კრებებს
დღეში ხუთი არის სხდომა,
თანამშრომლებს მოეწყინათ
ამ სხდომებზე მუდმივ ჯდომა.
დღეში ხუთი დგება გეგმა,
ხუთი ოქმი იწერება,
მაგრამ ერთხაც არ ეღირსა
ცხოვრებაში გატარება.

2.

ერთხელ დარაჯს დაუძველდა
ცოცხი, ნაგვის დასაგველი.
მან ახალი მოითხოვა,
წარადგინა რაკი ძველი.
მაგრამ, რადგან მაშინ ტრესტში
„რეჟიმს“ ყველგან ატარებდენ,
გათხელებულ ისედაც ტვინს
უმოწყალოდ აწვალებდენ,
დარაჯს უთხრეს: რახან ცოცხი
უსათუოდ კი გჭირდება,
დასწერე, დაასაბუთე
შესაფერი განცხადება.
შეიტანა განცხადება.
უთხრეს: მოდი კვირის შემდეგ
ტრესტის გამგეს მოვახსენებთ
უსათუოდ ან ხვალ ან ზეგ.
გამგე მისწერს თანაშემწეს,
თანაშემწე „უპრავდელხა“,
„უპრავდელი“ ან ბუხჰალტერს
ან „ზავს“ მისწერს, იმანს ხელი
„ზავი“ საქმის მწარმოებელს
წითლად მისწერს განაჩენს,
შემდეგ ქაღალდს ჟურნალისტი
ნომერს, ბეჭედს დაუჯენს,
და ბოლოს, რეგისტრატორს
რომ მიაღწევს საქმე იგი,—
იცოდე, რომ ცოცხის ყიდვის
მოაწია მაშინ რიგი.

3.

მაგრამ ასე არ სწორავდა
ტრესტის გამგე ჭკუა დიდი
მან ის ცოცხი მოიხმარა
ევროპისკენ გადგა ხიდი.
ასე იყო ცოცხის საქმე;
როცა გამგეს მოახსენეს,
რომ დარაჯი ცოცხს თხოულობს
და არავის არ ასვენებს,
სთქვა: რთულია ეს საკითხი
მოვიწვიოთ უნდა კრება.
კრებაზე კი გამგემ თვითონ
გააკეთა მოხსენება:
„ცოცხის ყიდვა ადვილია
რთული არის თვით ეს ცნება.
მართლაც, რატომ გვეკვირს ხოლმე
ჩვენი ტრესტის გაკოტრება.
ამ წვრილმანი ხარჯებთაა
უზომოთ, რომ ტყავი გვძვრება.
აბა, ავიღოთ თუნდაც ცოცხი:
თვეში თითო მაინც გჯება,
ახლა წელზე გაამრავლე,
ან ათ წელზე რა დაჯდება.
არა, დაგვის ძველი წესი
ბოლოს უნდა უკუ ვაგდოთ,
მამა-პაპურ წესით დაგვას
დროა ერთხმად წუნი დავსდოთ
სულ სხვა წესი—ტეხნიკაა
ევროპაში შემოსული
მექანიკურ წესითაა
დაგვა ყველგან იქ დაცული.
იაფიცა, თანაც კარგი
და გამძლეა სამუდამო
ცოცხს რომ ათას წილ სჯობია
ეს ნაღდია და „უდავო“.
მოისმინა რა იმ კრებამ
ტრესტის გამგის მოხსენება,
„მიიღო რა მხედველობათ
ცოცხის მიერ ქმნილი ვნება,
ყველამ ერთხმად დაადგინა:
დაევალოს ტრესტის გამგეს
დაგვა გადაახალისოს
რამდენიც და რაც არ დაჯდეს.

4.

დარაჯს ცოცხზე უთხრეს უარი.
გამგე უკვე გაემგზავრა
ევროპისკენ მისცხო „ვარი“
მოადგილეს დაუბარა:
დაგვის წესებს მექანიკურს
უსათუოდ შევისწავლი ზედმიწევნით.
თავი აღარ შეიწუხოთ
მოძველებულ ცოცხის ძებნით.
იყო ტრესტი, რა თქმა უნდა,
იმ ტრესტს ჰქონდა სამმართველო.
მოკვდა ტრესტი და გახუნდა.
ვაჰ, სადა ხარ ცოცხო ძველო.

ხოზიკა.

ა.-კ. სტატისტიკოსთა თათბირი

დამთავრდა ამიერ-კავკასიის სტატისტიკოსთა თათბირი, რომელმაც განიხილა ა.-კავკასიის სტატისტიკის სამი მნიშვნელოვანი საკითხი: ა.-კ. სასოფლო-მეურნეობის უჯრედების გამოკვლევა, მომავალ საკავშირო დემოგრაფიული აღწერის პროგრამაში დამატებითი შეტანა და მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკა—ამიერ-კავკასიაში.

პირველ საკითხის შესახებ გადაწყდა:

სასოფლო-მეურნეობის უჯრედების გამოკვლევა მოხდეს ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო რაიონების, რაც შეიძლება მეტი, ტიპიურობის მიხედვით. გამოკვლევა დაიწყოს ა.-წ. აგვისტოდან.

ვინაიდან უჯრედების გამოკვლევა შეეხება მეურნეობის მხოლოდ 3 პროცენტს, გამოსაკვლევად აღებულ უნდა იქნას ა.-კ. არა ყველა რაიონების, არამედ საქონლის მეურნეობის რაიონების უჯრედები.

აზერბაიჯანში გამოკვლევა უნდა მოხდეს მებამბეობის, ბრინჯის და მევენახეობა-მებაღეობის რაიონში.

სომხეთში—პურეულ კულტურის, მესაქონლეობის და მევენახეობა-მებამბეობის რაიონები. საქართველოშიგამოკვლეული იქნება ექვსი რაიონი: მეთამბაქოეობის (აფხაზეთი), სიმინდის (დასავლ. საქართველო), მეხილეობა-მებაღეობის (გორის მაზრა, სამხრეთ-ოსეთი), მევენახეობის (კახეთი), მეცხვარეობის და გარეთ მუშაობის (რაჭა-ლეჩხუმი) რაიონები.

თვითეულ უჯრედში შევა რამოდენიმე სოფელი, რომლებიც ერთმანეთს ეკვრიან და ერთს მთლიან ტერიტორიას წარმოადგენენ. ამ აღწერის მიზანია გლეხური მეურნეობის დინამიკის შესწავლა. აღწერა უნდა დამთავრდეს მიმდინარე წლის 15 ნოემბერს.

მეორე საკითხის შესახებ თათბირმა მიიღო მომავალ დემოგრაფიული აღწერის პროგრამა, სადაც შეტანილ იქნა უმნიშვნელო ცვლილებები. მესამე საკითხის შესახებ თათბირმა დაადგინა: მოიწვიოს ა.-კ. სტატისტიკოსთა თათბირი სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკოსთა პროგრამის გადასათვალიერებლად და გადასამუშავებლად.

ექსკურსია მცხეთაში

კვირას მცხეთაში გაემგზავრა საქართველოს პროფკავშირთა წევრების ექსკურსია 2.000 კაცის შემადგენლობით. ექსკურსიას ხელმძღვანელობდა ამხ. ქშონძერი.

მცხეთაში ჩასვლისას ექსკურსანტები გაიშალნენ დასასვენებელი სახლების ახლო მდებარე ტყეში, სადაც გამართეს სიმღერა და ცეკვა-თამაში. შემდეგ გაიმართა ფიზკულტურის წრეების გამოსვლა, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ექსკურსანტებზე.

ექსკურსიაში მონაწილეობას იღებდა აგრეთვე საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა პროფკავშირთან არსებული „ლურჯ ხალათიანების“ წრე, რომელიც ექსკურსანტების წინაშე გამოვიდა თავისი მხატვრული ნომრებით ქართულ და რუსულ ენებზე.

წრის გამოსვლამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ექსკურსანტებზე.

დასასრულ ამხ. ქშონძერმა საუბარი გამართა ექსკურსანტებთან დასასვენებელი სახლების მნიშვნელობის შესახებ.

საღამოს ექსკურსანტები მეტად კმაყოფილნი დაბრუნდენ თბილისში ორი სპეციალური მატარებლით.

პრემია კარგ მეურნეს

ახალქალაქის სამაზრო აღმასკომმა გადასწყვიტა შეადგინოს განსაკუთრებული ფონდი, საიდანაც საუკეთესო საგლეხო მეურნეობებს მაზრის ფარგლებში, მიეცემათ პრემიები.

აღნიშნული მიზნით აღმასკომმა დაადგინა ჩაატაროს თემებში და სოფლებში საუბრები პრემიების გაცემის წესისა და მნიშვნელობის შესახებ.

სამაგალითო საგლეხო მეურნეობათ ჩაითვლება ის მეურნეობა, ვისაც ექნება საქონლის კარგი ჯიშები, სას.-სამეურნეო მანქანები, აწარმოებს მრავალ ნათესიანობის სისტემას და იქნება მემინდვრეობა, მესაქონლეობა და სხვა.

პრემიების რაოდენობა დამოკიდებული იქნება მეურნეობის შედარებითი უკეთესობაზე.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

რა გაკეთდა „აჭარპრომტორგ“-ში

მიმდინარე წლის პირველ აპრილამდე აჭარისტანის სახელმწიფო შინა-ვაჭრობა-მრეწველობის სამმართველოში ითვლებოდა 169 თანამშრომელი, რომლებზედაც თვიურად ხელფასის სახით იხარჯებოდა 19.263 მანეთი.

ხარჯების შემცირების მიზნით სამმართველოში მოხდა მოსამსახურეთა შტატის შემოკლება; შემოკლებული იქნა 64 თანამშრომელი, რის შემდეგაც დარჩენილ მოსამსახურეებზე თვიურად ხელფასის სახით იხარჯებოდა 10.886 მანეთი.

ამრიგად, შტატის შემცირებით მიღებული იქნა ეკონომია 8.376 მანეთის რაოდენობით.

შტატის შემცირების შემდეგ საქმის ინტერესების გამო მიღებული და დაბრუნებული იქნა შტატს გარეშე 17 თანამშრომელი, რომლებზედაც თვიურად ხელფასის სახით იხარჯება 1.875 მანეთი.

თუ შტატის შემცირების გამო მიღებულ ეკონომიას—8.376 მანეთს გამოვაკლებთ 1.875 მანეთს—მივიღებთ წმინდა ეკონომიას 6.501 მანეთის რაოდენობით ყოველთვიურად.

ხარჯების შემცირება შეეხო აგრეთვე სამნეო ნაწილსაც; შემცირებამდე იხარჯებოდა 11.753 მანეთი, ამჟამად ხარჯები დამტკიცებულია 3.820 მან., ეკონომია უდრის 7.933 მანეთს.

ამრიგად, მომჭირნეობის რეჟიმის გატარების შემდეგ აჭარისტანის სახელმწიფო შინა-ვაჭრობა-მრეწველობის სამმართველოში დაზოგვილი იქნა სულ 14.434 მანეთი.

თამბაქოს ტრესტში

მომჭირნეობის რეჟიმი ტარდება საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თამბაქოს ტრესტის ყველა ფაბრიკებში; ყველგან გამოყოფილია კომისიები, რომლებიც მუშაობენ ცენტრალური კომისიის ხელმძღვანელობით.

პირველ ფაბრიკაში შტატი შემცირებულია 10 კაცით, რაც წლიურად 6.000 მანეთის ეკონომიას იძლევა. შემდეგი შტატი გადასინჯული იქნება ტრესტის ახალი ინსტრუქციის თანახმად. ადმინისტრაციის მიერ მიღებულია ზომები ქაღალდის ნარჩენების გამოსაყენებლად. მოკლე დროის განმავლობაშიგამოყენებულია 800 მანეთის ნარჩენი ქაღალდი: ამას გარდა, ადმინისტრაციამ კავშირის თანხმობით შუამდგომლობა აღძრა შრომის სახალხო კომისარიატის წინაშე, რათა რძე შეცვლილი იქნეს კარაქით. ეს არ აუარესებს მუშების ჯანმრთელობას, სამაგიეროთ შეიძლება 6 თანამშრომლის განთავისუფლება, რომლებიც რძის დარიგებაზე მუშაობენ, რაც ტრესტს 500 მანეთამდე ეკონომიას მისცემს.

მეორე ფაბრიკაში შემცირებულია 17 კაცი, რაც ეკონომიას იძლევა 12.000 მანეთს წელიწადში. ახლო ხანში მოწესრიგებული იქნება ბანდეროლის მანქანის მუშაობა, რაც შემოკლებით მოიხატება 4.000 მანეთში. მეორე ფაბრიკაშიც მოკლე ხანში გამოყენებული იქნა 800 მანეთის ქაღალდის ნარჩენები.

ასეთივე ზომებია მიღებული მესამე ფაბრიკაშიც. გამოყენებულია 1.000 მანეთის ნარჩენები. მოხდა მანქანების გადაჯგუფება, რაც ეკონომიას იძლევა 1.000 მანეთს წლიწადში, განზრახულია 10 კაცის შემცირება, რაც ეკონომიას მისცემს ფაბრიკას 7.000 მანეთის რაოდენობით.

კოლოფების ფაბრიკაში ჯერ კიდევ მომჭირნეობის რეჟიმის კომისიის დაარსებამდე შემცირებული იქნა ხარჯები 10.030 მანეთით წელიწადში.

პრესა მომჭირნეობის შესახებ

მომჭირნეობის კამპანია სოფლად

მომჭირნეობის კამპანია უმთავრესად ცენტრებსა და ქალაქებში ტარდება. სოფელში ეს ლოზუნგი ჯერ კიდევ არ შეჭრილა სათანადოდ. კერძოთ ძირითად სახბ. ორგანოებს. მუშაობას ის არ შეხებია საგრძნობლად. თემაღმასკომების საქმიანობაში მრავალ დაუდევრობას, სახელმწიფო საშუალებებთან „თავისუფალ“ დამოკიდებულებას აქვს ადგილი. თემების ისედაც მცირე თანხები არა იშვიათად უნაყოფოდ იხარჯება, იმის მაგივრად, რომ საშუალებათა ეს სიმცირე ანაზღაურებულ იქნას მათი უკიდურესი მომჭირნეობით და მიზანშეწონილად გამოყენების გზით. გაზ. „ბედნოტა“-ს საამისოდ რამოდენიმე ფაქტი მოჰყავს:

„აი, მაგ., კაზანჩინსკის (ბაშკირეთი) თემაღმასკომის თავმჯდომარე ა. დეცკინი. მან არ მოისურვა თემში მოგზაურობა ადგილობრივ ხელოსნურ წარმოების ტარანტასით, რომელიც ღირდა 60 მ., წავიდა სამარაში და იყიდა ორი ტარანტასი, უფრო ცუდი ღირსების, 75 მანეთად თითო. სულ ტარანტასების შეძენაზე დაიხარჯა 150 მან., გარდა მივლინების ფულისა და რკინის გზის იქეთ და აქეთ დეცკინის მოგზაურობის ღირებულებისა.

მეორე მაგალითი—მოლოდოტატცკის (რუგევის მაზ.) თემაღმასკომის თავმჯდომარე, მიუხედავად საპირველმაისო დღესასწაულისა—წელს საპირველმაისო დღესასწაული ჩატარებულ იყო მომჭირნეობის ლოზუნგის ქვეშ, მან გადასწყვიტა მისი დიდი ზეიმით გადახდა. ის საგანგებოდ გაემგზავრა მოსკოვში მაშხალებისათვის, ასეთები ჩამოიტანა 45 მანეთის. მივლინების ფული ამაში არ შედის.—უკეთესი იქნებოდა ამ ფულებით სკოლა შეგვეკეთებია,—ამბობდენ ჰაერში მასსროლე მაშხალის ცეცხლის შემყურე გლეხები“.

ყველაფერი ეს მეტად საგულისხმოა. მსგავს მოვლენებს, უყაირათობის და ხელგაშლილობის ფაქტებს ჩვენს სოფლებშიაც ბლომად წააწყდებით. ამასთან აღსანიშნავი ისიც არის, რომ სარევიზიო კომისიები, რომელთაც ევალებათ ფხიზელი კონტროლი გასწიონ თემის საშუალებათა მიზანშეწონილ ხარჯვაზე, ამ მხრივ თითქმის არაფერს აკეთებენ. ჩვენი სოფლის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მომჭირნეობის რეჟიმის დაცვას: თემის შემოსავალი მეტად მცირეა და ეს გარემოება გვიკარნახებს, რომ ის იხარჯებოდეს მხოლოდ გადაუდებელ და აუცილებელ საზოგადოებრივ საქმეებზე. თემის საბჭომ და აღმასკომმა, სარევიზიო კომისიამ ამ მხრივ უნდა წარმართონ მუშაობა. მომჭირნეობის კამპანია ფართოდ უნდა გავატაროთ სოფლადაც.

სახელმწიფო შემოსავალი

ა.-კ. ფინსახკომის წინასწარი ცნობებით, სახელმწიფო შემოსავალი ამიერ-კავკასიაში მაისის განმავლობაში უდრიდა 13.115.900 მანეთს. წინა თვესთან შედარებით შემოსავალი გაიზარდა 22,1 პროცენტით, გასული წლის მაისთან შედარებით კი შემოსავალი გაიზარდა 61,3 პროც.

ამ თანხიდან საგადასახადო შემოსავალი უდრის 4.700.883 მანეთს, რაც 8,9 პროც. აღემატება აპრილის შემოსავალს.

ცალკე სახეებს შორის ეს უკანასკნელი თანხა განაწილებულია შემდეგნაირად: პირდაპირი გადასახადები—1.208.658 მანეთი (აქედან: სასოფლო-სამეურნეო გადასახადი—286.053 მანეთი, სასარეწაო—491.287 მანეთი, საშემოსავლო—405.176 მანეთი, ერთდროული გადასახადი—26.142 მანეთი); არაპირდაპირი გადასახადებიდან შემოსული თანხა უდრის 3.166.405 მანეთს (აქედან: აქციზი—2.354.542 მანეთი და საბაჟო გადასახადი—411.866 მანეთი).

საგადასახადო შემოსავალს ეკუთვნის აგრეთვე სალერბო გადასახადი (315.619 მანეთი), გადასახადი მემკვიდრეობიდან (3.400 მანეთი) და სარენტო გადასახადი (6.798 მანეთი).

არასაგადასახადო შემოსავალი აღნიშნული დროის განმავლობაში შემოვიდა 8.405.017 მანეთი, რაც აპრილის შემოსავალს აღემატება 31.1 პროცენტით; ამ თანხის 73.2 პროც. შეადგენს ამიერ-კავკასიის რკინისგზების და ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის შემოსავალი.

ა.-კ. რკინისგზების და ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის გამოკლებით, არასაგადასახადო შემოსავალი უდრის 2.251.137 მანეთს, რაც აპრილის შემოსავალს აღემატება 70,5 პროცენტით.

გამოფენაზე

ექსკურსანტი-გლეხები გორიდან

საექსკურსიო ბიუროში მიღებულია ცნობა, რომ 30 ივნისს, გამოფენის დასათვალიერებლათ თბილისში მოემგზავრება 30 გლეხი-ექსკურსანტი.

115 გლეხი

გამოფენის დასათვალიერებლათ თბილისში ჩამოვიდა 45 გლეხი აჭარიდან, 25 სამხრეთ-ოსეთიდან, 15 აფხაზეთიდან და 30 რაჭის მაზრიდან.

150

24 ივნისს გამოფენის დასათვალიერებლათ ჩამოვიდნენ: 5 კაცი ბორჩალოს მაზრიდან,35—თელავის მაზრიდან, 50—სიღნაღიდან და 20 სომხეთიდან. გლეხებს გარდა ჩამოვიდა კიდევ 40 წითელარმიელი.

მანქანების დემონსტრაცია

კვირას გამოფენის ტერიტორიაზე მოხდა სხვადასხვა ფირმების მანქანა-იარაღების ოიდი დემონსტრაცია.

მანქანები ქუჩებზე

კვირას, თბილისის ქუჩებზე ჩამოატარეს გამოფენაზე ჩამოტანილი სხვადასხვა მანქანები; დემონსტრაციამ დიდი ინტერესი გამოიწვია ქალაქის მოსახლეობაში.

ტრაქტორების გამოცდა

გამოფენის მომწყობი კომიტეტი ამჟამად ამუშავებს ტრაქტორების გამოცდის გეგმას; ტრაქტორების გამოსაცდელათ არჩეული იქნება სპეციალური ადგილი.

ტრაქტორების გადარბენა

ტრაქტორების გამოცდასთან ერთად განზრახულია ტრაქტორების გადარბენის მოწყობა; ამჟამად სწარმოებს სათანადო ადგილის შერჩევა.

ზაჰესი—აგარაკი!

მიმდინარე წლის ენკენისთვის პირველი რიცხვებისათვის ზაჰესის მთავარ არხში სადგურის პირველი ტურბინის ასამუშავებლად გაშვებული იქნება მტკვრის წყალი. ვიდრე მტკვრის დონე არხის სათავის სიმაღლემდე ავიდოდეს საჭიროა წყლის შეგუბება. სწორედ ამ მიზნით იქნა აგებული კაშხალი (საგუბარი) წყლის დონის ასამაღლებლად რკინის კარებით ჩაკეტილი იქნება განათხარი. ამის შემდეგ რამოდენიმე საათის განმავლობაში კაშხალის ქვევით შეწყდება წყლის დენა და მთელი მოედანი კაშხალიდან მცხეთამდე დაიფარება წყლით. ამგვარად ზაჰესის საგუბარს ზევით ჩნდება მოზრდილი ტბა—სივრცით 7—8 კვადრ. კილომეტრი. ზაჰესთან ტბის წარმოშობა სავსებით შესცვლის მახლობელ მიდამოების ჰავას, რომელიც გახდება უფრო გრილი და საამო. ზაჰესი გადაიქცევა საგარაკო ადგილად. უკვე აქედანვე მიღებულია ზომები, რომ ტბის პირებზე, სადაც მოსახერხებელი იქნება, აშენდეს საავარაკო სახლები, ბაღები, პარკები, ხეივნები და სხვა.

თვით ტბაზე მოეწყობა ტივების სადგური, ნაოსნობა და სხვა.

წყალში მშველელთა თბილისის საზოგადოებამ უკვე აღძრა აღმასკომის წინაშე შუამდგომლობა, რომ საზოგადოებას საექსპლოატაციოდ გადაეცეს ზაჰესის ტბა. საზოგადოებას განზრახვა აქვს გააკეთოს იახტ-კლუბი მცურავთა სკოლა, სკოლა ნაოსნობა, და სხვა. ტბაზე მოეწყობა აგრეთვე საბანაო ადგილები.

ტბაზე მიმოსვლისათვის შეძენილი იქნება იალქნიანი და მოტორიანი ნავები.

ამგვარად ორი-სამი წლის შემდეგ ზემოავჭალა, რომელიც 3 წლის წინედ სიცხით გადამწვარი ხრიოკ მიდამოს წარმოადგენდა, გადაიქცევა ერთს მშვენიერ საგარაკო ადგილად.

შრომის დაცვა

მოჯამაგირეთა შრომის პირობების გამოკვლევა

შრომის სახ. კომისარიატი ამ დღეებში შეუდგება მთელ საქართველოს მაზრებში და ეკონომიურ რესპუბლიკებში სოფლის მოჯამაგირეთა შრომის პირობების გამოკვლევას.

კომისარიატმა მიზანშეწონილად სცნო გამოიკვლიოს მოჯამაგირეთა პირობები ყოველ სოფელში და უბანში, ამიტომ ყოველ მაზრაში გამოიკვლევენ ორ ისეთ თემის მოჯამაგირეთა მდგომარეობას, რომლებიც დაახლოვებით ახასიათებენ მთელ მაზრაში არსებულ მოჯამაგირეთა შრომის პირობებს.

შრომის დაცვის განყოფილებას წინადადება მიეცა დაუყონებლივ გადასცეს საჭირო თანხები და შეუდგეს გამოკვლევის მოხდენას.

გამოკვლევას აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო შრომის ინსპექტორები და მათი ასისტენტები.

გამოკვლევა გასტანს ივლისის შუა რიცხვებამდე.

ტელეფონიზაცია

ფოსტა-ტელეგრაფის უწყების მიერ გამომუშავებული გეგმით, წელს საქართველოში გაყვანილი იქნება ტელეფონის ხაზი 170 კილომეტრის მანძილზე.

იმის გამოსარკვევათ, თუ სად უფრო საჭიროა ტელეფონის აპრატების დადგმა, ფოსტა-ტელეგრ. საოლქო სამმართველომ სთხოვა შინაგან საქმ. სახ. კომისარიატს, წარუდგინოს ფ.-ტ.სამმართველოს ამ პუნქტების სია, სადაც უნდა ჩატარდეს საჭიროთ ტელეფონიზაცია.

აღნიშნული მიზნით, შინ. საქ. სახ. კომისარიატი შეუდგა მასალების შეკრებას მაზრებიდან.

პირველ ხანებში განზრახულია სატელეფონო კავშირის დაკავება სიღნაღთან და თელავთან.

კერძო ვაჭრებისათვის

თბილისის ბირჟის კომიტეტის წევრებმა—კერძო ვაჭრებმა სთხოვეს საბირჟო კომიტეტის პრეზიდიუმს, რათა მას აღეძრა შუამდგომლობა სათანადო ორგანოებთან, კერძო ვაჭრებისათვის ყველა სამრეწველო საქონლის მიწოდების შესახებ.

საბირჟო კომიტეტის პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა აღნიშნული თხოვნა და აღძრა შუამდგომლობა შინა-ვაჭრობის კომისარიატის წინაშე, რათა კერძო ვაჭრებს მიეცეს ზემოაღნიშნული საქონელი იმ პირობით, რომ უკანასკნელნი დაიცავენ ბაზრის მომწესრიგებელ - ხელმძღვანელ ორგანოების ყველა წესებს.

თეატრის დაშლა

თბილისის აღმასკომს განზრახვა აქვს მოლოკანისა და ჩერქეზიშვილის ქუჩების კუთხეში მდებარე, გოგოლიძის სახელობის თეატრი გააუქმოს, ეს განზრახვა გამოწვეულია იმით, რომ თეატრი მეტად დაუსაბამ ადგილზეა აგებული და თავის მოცულობითა და მოწყობილობით ვერ აკმაყოფილებს სათანადო მოთხოვნილებებს. ამ თეატრის აღებით შესაძლებელი ხდება გზის გაფართოება, რაც გაადვილებს მოძრაობას ზემოთ აღნიშნულ ქუჩებზე.

შენობის დაშლამდე გაკეთებული იქნება თეატრის სრული მოდელი, რომელიც გადაეცემა მუზეუმს.

შენობის დანგრევის შემდეგ, დარჩენილი მასალები მოხმარდება იმ უბანში მუშათა საბინაო აღმშენებლობის საქმეს.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ბ. გამყრელიძე. ხელოსნობა თბილისში

თბილისის სახ. უნივერსიტეტის სტატისტიკურ-საფინანსო სემინარების სამეცნიერო კვლევა-ძიებანი

მეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რამდენათ სასურველია სახ. უნივერსიტეტის სემინარების სამეცნიერო კვლევა-ძიების მონაწილეთა ნაშრომების გამოცემა და მით მეცნიერულ ფასეულობის მქონე შრომების ფართო საზოგადოებაში გავრცელება. გ. გამყრელიძის შრომა სტატისტიკურ სემინარის მეცნიერულ მუშაობის პროცესშია დაწერილი. „ხელოსნობა თბილისში“ სემინარის ნაშრომთა პირველი გამოცემაა, მას უნდა მოჰყვეს სემინარულ სამეცნიერო კვლევა-ძიების დანარჩენ მონაწილეთა ნაშრომების გამოცემა.

გ. გამყრელიძის შრომა მონოგრაფიული ხასიათისაა; მისი მიზანია გაშუქოს თბილისის ხელოსნობის ვითარება წარსულში და აწმყოში, გამოარკვიოს ის ეკონომიური პირობები, რომელნიც მას გადაგვარებას უქადიან და განვითარების მაღალ საფეხურიდან, საფასო მოხელეობიდან, ნაწილობრივ დაბალ საფეხურზე აყენებენ. ავტორი იკვლევს იმ მიზეზებს, რომელთა გამო ხელოსნობა საფასო მოხელეობიდან—შეკვეთით მოხელეობაზე გადადის და ამით თავის პირვანდელ სამეურნეო დამოუკიდებლობას ჰკარგავს.

ავტორი ყველა არსებულ ისტორიულ წყაროების საშუალებით სცდილობს გაითვალისწინოს მრეწველობის ამ დარგის ევოლიუცია უძველეს დროიდან დღემდი; იგი უფრო დაწვრილებით ჩერდება ხელოსნობის თანამედროვე მდგომარეობაზე, ხელოსანთა კავშირებზე და მოპოებულ მასალის მიხედვით გამოჰყავს დასკვნები ხელოსნობის განვითარების პერსპექტივების შესახებ. ავტორი სარგებლობს ქართულ, რუსულ და გერმანულ ენაზე დაბეჭდილ წყაროების გარდა, საარქივო მასალებით და სპეციალურ ანკეტებით მოპოებულ ცნობებით, რითაც ცხადია თავის მონოგრაფიას განსაკუთრებულ მეცნიერულ ინტერესს და ღირებულებას მატებს.

სარეცენზიო შრომა შესდგება ოთხ მთავარ თავებისაგან:

1. არსება ხელოსნობისა, 2. ხელოსნობის ისტორიული მიმოხილვა, 3. თანამედროვე ხელოსნობა და 4. ხელოსანთა კავშირები.

პირველი თავი არ შეიცავს განსაკუთრებულ ინტერესს, მას შემდეგ, რაც ეკონომიურ ლიტერატურაში მოიპოვება მნიშვნელოვანი შრომები ამ საკითხზე.

შემდეგი ორი თავი გაცილებით მეტათ საყურადღებონი არიან. მეორე თავში ავტორი ხელოსნობის წარსულს შეეხება, საკმაო მასალების უქონლობა არ აძლევს მას საშუალებას რაიმე გარკვეული დასკვნები გააკეთოს, ჩვენში საშუალო საუკუნოების ხანის ხელოსანთა მდგომარეობაზე. ამ მხრივ მეტ მასალას იძლევა წარსული საუკუნე, ე. ი. ის ხანა, როდესაც ჩვენში რუსეთის იმპერიის ბატონობა მკვიდრდებოდა. აქ ავტორი ხაზს უსვამს ხელოსანთა რაოდენობის სიმცირეს, რომელიც ვერ აკმაყოფილებდა მაშინდელ თბილისელ მოქალაქეთა მოთხოვნილებას. ყურადღების ღირსია ავტორის მიერ ხელოსანთა სამმართველოს არქივის დავთრებიდან ამოკრეფილი ცნობები, დალაგებული სახ. სტატისტიკის მიერ მიღებულ კლასიფიკაციის მიხედვით. ცნობები [illegible] 1867 წლის. აქედან სჩანს, რომ სახელოსნო სამმართველოში გაერთიანებული იყო 2.224 ხელოსანი. შემდეგ ავტორს მოჰყავს ახალი [illegible] (ცხრილი 1912 წ. საიდანაც ამ წელში ამქარში გაერთიანებულ ხელოსანთა რიცხვი, [illegible] 8.890 ხელოსანს აღწევდა. აღნიშნული ცხრილები ხელოსანთა რიცხვის [illegible] გარდა. საშუალოდ [illegible] რამდენი მომუშავე მოდიოდა ერთ სახელოსნოზე და ერთ ოსტატზე, ასეთი ცნობები [illegible] წარმოადგენს [illegible]. [illegible] მძლავრი [illegible] ხელოსნური მრეწველობა. ცხრილების ანალიზის შემდეგ ავტორი აღნიშნავს, რომ [illegible] ამქარში გაერთიანებულ [illegible] რომ ხელოსანთა [illegible] რიცხვი ამქარის გარეთ იყო დარჩენილი“, შემდეგ თავში („თანამედროვე ხელოსნობა“) ავტორს მოჰყავს საკმაო დიდი ცხრილი 1923 წ. მაისის 5 სამრეწველო აღწერის ცნობების მიხედვით შედგენილი მცირედენის ცვლილებით,—ხელობაზე გასულ ხელოსნების დამატებით. ამ ცხრილიდან სჩანს, რომ ხელოსნების საერთო რიცხვი 1923 წელს უდრიდა 7.870 ხელ. (შემცირება შედარებით 1912 წელთან) ავტორი ადარებს ერთმანეთს 1912—1923 წ. ცნობებს, აჩენებს გარკვეულ ტენდენციებს ხელოსნობის განვითარებაში. ავტორი ხელოსნობის შესახებ არსებულ სტატისტიკურ მასალების სიმცირის მიუხედავათ, ყოველგვარ შესაძლებლობათათვის მიუმართავს, რათა გარკვეული ტენდენციები აღენიშნა თბილისის ხელოსნობის განვითარებაში, მაგრამ წინა ცხრილის (1912 წ.) უკანასკნელ ცხრილთან (1923 წ.) შედარება სტატისტიკურ თვალსაზრისით სავსებით მართებულათ ვერ იქნება ჩათვლილი, რადგან იქ ჩვენ სახეში გვყავს ამქრებში გაერთიანებული ხელოსნები, აქ კი სამრეწველო აღწერის ცნობებში აღნიშნულია ყველა ხელოსნები განურჩევლად ამქარში ყოფნის თუ არ ყოფნის.

ცხრილების განხილვის შემდეგ ავტორი დაწვრილებით აღწერს ხელოსნობის ყოველ დარგის სპეციალობის ხასიათს, მის თავისებურობას და მასში მომუშავეთა მდგომარეობას; ავტორი გვაცნობს ხელოსნობის შინაგან ვითარებას იმის გასაგებათ, თუ როგორ წარმართულა ამა თუ იმ დარგის ხელოსნობის განვითარება ქ. თბილისში უკანასკნელ წლების განმავლობაში.

მეტათ საინტერესოა სტატისტიკური ცნობები ხელოსანთა შესახებ, რომელნიც საფასო მოხელეობიდან—შეკვეთით მოხელეობაზე გადავიდენ, აგრეთვე ცნობები თბილისის ხელოსანთა ეროვნულ შემადგენლობაზე და დასასრულ ცნობები თბილისში მოსულ და ადგილობრივ მკვიდრ ხელოსანთა შესახებ.

უკანასკნელ თავში (ხელოსანთა კავშირები) ავტორი ეხება ხელოსანთა უძველეს ორგანიზაციის ამქარის ისტორიის მის დამახასიათებელ თვისებებს და იმ ურთიერთობას, რომელიც მყარდება ოსტატის, ქარგალის და შეგირდს შორის ამ სფეროში არსებული საადათო სამართლის ნიადაგზე. წიგნის ბოლო ნაწილში ავტორი გვაცნობს თანამედროვე კანონმდებლობას ხელოსნობის დარგში და აღნიშნავს იმ ახალ ღონისძიებებს, რომელნიც გადადგა საბჭოთა ხელისუფლებამ, 1921 წ. გაუქმებულ ხელოსანთა ამქრულ ორგანიზაციის ნაცვლად, ახალ ხელოსანთა ორგანიზაციების დაარსების სახით.

არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ როგორც ნაკლი ის გარემოება, რომ წიგნში არ არის გაშუქებული საკითხი ხელოსნ. პროლეტარიზაციის შესახებ. ავტორი მართალია, აღნიშნავს, რომ სწორი ცნობების უქონლობა უშლიდა მას ხელს განეხილა ეს საკითხი, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ დაახლოებით მაინც შესაძლებელი იყო კალკულიაციის საშუალებით სავარაუდო ციფრების მიღება და მათ საშუალებით საბჭოთა კავშირის, ევროპასთან შედარების მოხდენა. საერთოდ შედარებითი თვალსაზრისი ავტორს არც ერთ საკითხის განხილვის დროს მხედველობაში მიღებული არა აქვს. რაც ცხადია პლიუსად ვერ ჩაითვლება.

მთლიანად შრომა, საკმაო სრულ სურათს უხატავს მკითხველს თბილისის ხელოსნობის ეკონომიურ ვითარების შესახებ. ავტორი განსაკუთრებულ მოხერხებით სარგებლობს ამ მცირეოდენ მასალით, რომელიც მის ხელთ იყო და მეტად სწორ ეკონომიურ ანალიზს იძლევა. ასეთი შრომა აუცილებელია ყველასათვის, ვისაც სურს წარმოდგენა იქონიოს თბილისის სამეურნეო საქმიანობის ისეთ მნიშვნელოვან სფეროზე, როგორიცაა ხელოსნობა.

წიგნი კარგათაა გამოცემული, დართული აქვს ლიტერატურის და წყაროების მაჩვენებელი, აგრეთვე ავტორთა და საგნობრივი საძიებელი, რაც იშვიათია ჩვენს გამოცემებში. ყველა ამასთან წიგნი კარგადაა დაწერილი, რაც მშრალ ეკონომიურ თემას ფართე საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომად ხდის.

ირ. მიქელაძე.

ჩვენი პოეტების პროფილები

(გალაქტიონ ტაბიძე)

ისტორიას დეტალები არ უყვარს. იგი ჩვეულია ეპოქებს და საუკუნეებს ზოგადი სახელწოდება მისცეს. ისტორიამ იცის რენესანსის ხანა, მისტიციზმის ეპოქა, რაციონალიზმის საუკუნეები და სხვ. რომ მოვისურვოთ განვლილ საუკუნეს სახელწოდება მივცეთ უკეთეს ვერაფერს დავარქმევდით, როგორც რომანტიულ ილუზიების ნგრევის ხანა. მიმდინარე საუკუნეს კი აშკარად შევიძლია გარდატეხების ეპოქა ვუწოდოთ. ელვის სისწრაფით იმსხვრევა კერპები. რასაც გუშინ ხალხი ეთაყვანებოდა—დღეს არარად გადაქცეულა. ღირებულებათა გადაფასებამ ფართო ხასიათი მიიღო. პიროვნებისთვისაც გუშინდელი არაფერია. ცხოვრების რეალობა შეუბრალებლად ამსხვრევს რომანტიულ ილუზიებს. და ყველასათვის ადვილი გახდა შეცდომების დანახვა. თვით შეურყეველ პრინციპების მქონესთვისაც შესაძლებელი შეიქნა უნიადაგო დოქტრინებისათვის თავის განებება და ცხოვრების სალი რეალობის აღიარება. ამით არის ძლიერი მიმდინარე ეპოქა. ყველა გზააბნეულს თვალს უხელს და სწორ გზაზე გამოჰყავს.

ამ პროცესს უფრო თვალსაჩინოდ პოეზიაში ვამჩნევთ. პოეზია ცხოვრების სარკეა და ანარეკლი ცხოვრებისა უფრო ლამაზად ამ სარკეში ჩანს. მომავალი ლიტერატურის ისტორიკოსი, ან კრიტიკოსი გაკვირვებული იქნებიან დღევანდელი ჩვენი პოეტების სახით. ყველა ამათგანს ორი პროფილი ექნება და მკვლევარიც გაკვირდება, თუ რით არის გამოწვეული პიროვნების გაორება. და იმ ფაქტს, რომ დღევანდელი ჩვენი პოეტების შემოქმედებას ორი სახე აქვს, რომ სულ სხვა არის თითქმის ყოველი პოეტის მოტივი რევოლიუციამდე და სულ სხვა რევოლიუციის შემდეგ, მომავალი მკვლევარი ახსნის მხოლოდ იმ გარდატეხით, რომელიც დღეს ხდება ყოველის გულში და აზროვნებაში.

ამ რიგად ჩვენს ლიტერატურაში დაინგრა ხანა რომანტიული ილუზიებისა და დადგა ხანა რეალობის. ვარდბულბულის პოეზია, „კილო მუხამბაზისა“ ზოგჯერ „კილო შუაბაზრისა“ შეიცვალა. მათი ადგილი გარკვეულად შრომის ჰანგებმა დაიჭირეს. ცხოვრებამ მოითხოვა ეს. და რომანტიულად გატაცებული მგოსნებიც ვერ ეურჩებიან ცხოვრების გაფოლადებულ კანონებს.

ჩვენი წერილების მიზანია გამოვარკვიოთ ჩვენი პოეტების პროფილები. რამდენად შესცვალა იგინი რევოლიუციამ. რანი იყვნენ იგინი რევოლიუციამდე და რანი არიან იგინი დღეს.

დავიწყოთ გალაქტიონ ტაბიძიდან.

ისეთი ღრმა გარდატეხა, როგორც გალაქტიონმა განიცადა იშვიათად განუცდია რომელიმე მწერალს.

ავილოთ გალაქტიონის პროფილი რევოლიუციამდე. იგი ამ დროს სევდის ჩადრწამოსხმული მგოსანია. მისთვის ცხოვრების ყოველგვარი თასი დაუკარგავს. მგოსანმა თავის „სამუდამო მხარეში—ვერ ნახა ვერაფერი, ცივ და მიუსაფარი მდუმარების გარეშე“. ირგვლივ მგოსნისთვის „მხოლოდ სიმწუხარეა“.

„ცეცხლი არ კრთის თვალებში,
წევხარ ცივ სამარეში,
წევხარ ცივ სამარეში
და არც სულს უხარია“.

მიმზიდველი ბუნება, ცხოვრების მრავალფეროვანება, უკეთესი მერმისისათვის გატაცებული ბრძოლა, რომელიც მგოსნის მგრძნობიარე სულს განსაკუთრებით დაღს ასვამს ხოლმე, **გალაქტიონის** განცდებში გაფართოვებულა; მგოსნის შემოქმედების ფეხქვეშ დამსხვრეულა და დაუტოვებია პოეტისთვის გულშემზარავი „გლოვის ხმა“—

„ოჰ! როგორ გაფითრდა ციურთა თანადი,
ოცნება, ნახაზი საგანთა უარით;
ღრუბელთა ფერადი და ალვა ტანადი,
რომელსაც აზრის ცით გადაუარეთ“.

სევდის ჩადრწამოსხმულ მგოსანს დროდადრო ბრწყინვალედ გაუელვებს ხოლმე მომავალი, ბურუსი გადიწმინდება და პერსპექტივა უფრო ნათლად ჩანს:

„აღმოხდა მთვარე! განათა უსირცხვო ბაღი
მაღალ ღეროზე გაიშალა გრძელი ზამბახი“.

მაგრამ მის გაშლას მგოსანი სიხარულით არ ეგებება, რადგან ზამბახთა შორის ურჩა თეთრი ქანდაკებები.

რევოლიუციის წინა პერიოდი **გალაქტიონმა** ისე განვლო, რომ ერთი სასიხარულო სიტყვა არ უთქვამს, შავი რეაქციისათვის სახეზე ღიმი არ დაუნახვებია, მისი „გული, უგონო სიყვარულმა რომ შეარყია“ სიცილს გადაჩვეულა. არის მის ცხოვრებაში წუთები, როდესაც „მთვარე რონინს უფრო აზმირებს, და გულიც ამ დროს უფრო ხშირად სცემს, ხოლო თვალთაგან ცრემლი რბენას აპირებს“. მაგრამ მგოსანს არ უნდა თავისი ფანდური მხიარულად აჟღერიალოს. რეაქციის მწვავე სუსხს იგი შეუბლგაუხსნელად უცქერის, რადგან იცის, რომ „პოეტის სახელს ბრბო არ დაინდობს გასათელავად“.

მიუხედავად ამისა სევდის ჩადრწამოსხმულ მგოსნის არსებაში დაგროვილია უანგარიშო, ულევი პოტენციალური ძალა. მოზღვავებული ენერგია ელის შესაფერ წუთებს, რომ ფაფარაყრილ ღვარივით გადმოხეთქოს, დახავსებული ქვეყანა გადარიყოს, ხოლო განახლებული ქვეყანას წმიდა ნამით პირი დაბანოს.

მგოსანს მომავალი ნათლად აქვს წარმოდგენილი. ეს არის რევოლიუციის ხანძარი, რომელსაც უხილავი ძალები, მშრომელი მასის კუნთებიდან გამომდინარენი ანთებენ და აჩაღებენ. პოეტი ამას ინტუიციით გრძნობს და თითონაც საბრძოლველად ემზადება:

„ვიღაცა დაქრის და ცეცხლს აჩაღებს
მეც ყაჩაღივით ვარ გამბედავი“.

იცის მგოსანმა, რომ მერე დადგება ხანა კეთილდღეობისა, რომ რევოლიუცია მოსპობს ამ ქვეყნიურ უკუღმართობას და დამყარდება ის „ნელი თამაში“, რომლისთვისაც სევდის მგოსანი ხალხს ამზადებს:

„როგორმე ზამთარს თუ გადაურჩი,
როგორმე ქარმა თუ მიმატოვა,
არის გზა. არის ნელი თამაში“.

ასეთია მგოსნის პროფილი პროლეტარულ რევოლიუციამდე. ცხოვრების მომავალი ფორმები პოეტს ბუნდოვანად აქვს წარმოდგენილი. მის ძარღვებში არ ჩქეფს მამოძრავებელი ძალა. ამიტომ პოეტი პასიურია, სევდიანია და უიმედოდ ლაპარაკობს:

„ცეცხლი არ კრთის თვალებში,
და არც სულს უხარია“.

⁂

გავშინჯოთ მგოსნის მეორე პროფილი. როგორი სახე მიიღო მან დიდი პროლეტარული რევოლიუციის შემდეგ. წინასწარ უნდა ითქვას, რომ პროლეტარული რევოლიუცია საზოგადოების ყველა ფენებმა თავისებურად გაიგო. პოეტებიც, მწერლებიც, ხელოვნებიც პირველ ხანებში გაურკვევლობით იყვნენ გარემოცულნი. ძველი მწერლების უმრავლესობამ ვერც იგრძნო და ვერც არაფერი გაიგო რევოლიუციისა. რევოლიუციამ მათ გვერდზე ჩაუარა. ზოგი მათგანი თავის შინაგან ცხოვრებაში ჩაიკეტა. ზოგმა შეიძულა რევოლიუცია, რომელიც მათ ოცნებაში შეიჭრა და ამით ჩვეულებრივი სიწყნარე დაურღვია.

გალ. ტაბიძე რევოლიუციის პირველ დღეებშივე თავისი წამოსხმული სევდის ჩადრი მყისვე შემოიგლიჯა და როგორც პოეტი რევოლიუციის წიაღში გადაეშვა. ბრძოლის ცეცხლის დაწყებისთანავე ის მიეშურება იქ, სადაც უმთავრესი ამბები ხდებოდა, რომ უშუალოდ განიცადოს ბრძოლის გრანდიოზობა. და აი, როდესაც რევოლიუციის გაბასრული ხმალი ძირში ჰკვეთა ძველი დროის დაფუტუროვებულ ხეს, როდესაც ქუჩებში ორი ძალა წითელი რევოლიუცია და შავი რეაქცია ერთმანეთს გამარჯვებას ეცილებიან, როდესაც მებრძოლთა დაღვრილი სისხლი ჯერ არ შემშრალა ქუჩის ქვაფენილებზე, ამ ხანში ერთ და იმავე დროს იწერება რევოლიუციონურ ლიტერატურაში ორი შესანიშნავი ლექსი—**ალექსანდრე ბლოკის** „თორმეტი“ და **გალაქტიონ ტაბიძის** „რამდენიმე დღე პეტროგრადში“.

ამიერიდან **გალაქტიონის** შემოქმედება ფერს იცვლის. რევოლიუცია გახდა მისი შემოქმედების მთავარ თემად.

გალაქტიონმა უშუალოდ განიცადა პროლეტარული რევოლიუცია. წარმოუდგენელი სისწრაფით მსრბოლი ისტორიული ამბები თავს იყრის პოეტის შემეცნებაში და მხატვრული სილამაზით იბადება მარგალიტებივით პოემა-ქრონიკაში—„ჯონ-რიდი“ სახეირდებიან. იშვიათია არა მარტო ქართულ ლიტერატურაში, თვით რუსულ პოეტიკაშიაც კი რევოლიუციის ისეთი ხრული პოემა-ქრონიკა, როგორიც არის გალაქტიონის „ჯონ-რიდი“. ეს პატარა ნაწარმოები გრანდიოზული პანორამაა რევოლიუციის, სადაც მკითხველის თვალწინ გაივლის რევოლიუციის უმნიშვნელო დეტალიც კი.

ნუ ვიფიქრებთ, რომ **გალაქტიონ ტაბიძე** რევოლიუციის მხოლოდ უბრალო ქრონიკიორია. რევოლიუციონურ შემოქმედებაში ვეღარ იცნობთ სევდით მობურულ მგოსანს, რომელიც პასიურად გაიძახოდა:

„როგორმე ზამთარს თუ გადაურჩი
არის გზა, არის ნელი თამაში“.

აქ მგოსანი უკვე რევოლიუციის ტემპით გაჟღენთილია:

„ახლა დროს უნდა აიჩქარო, უნდა აჩქარდე, უნდა დაეწიო
ისე სწრაფად როგორც შეგიძლია.
წამმა დაყოვნება არ იცის
ჩქარა, ამხანაგო, თორემ დაგვიანდა.
წუთის დაკარგვაც კი არის ბოროტება.
ვინ სთქვა გადადება?
დროა მოძრაობის და სიცოცხლის ნიშნის
უნდა დასცე ძირს, გადაუნო, წამოაჩოქო,
უნდა დასცე ძირს და მხოლოდ მკვდარს
გადააბიჯო“.

მგოსანს სწყურია სიცოცხლე, სწყურია ნგრევა და სიკვდილი. რევოლიუციონურ დინამიკიდან ეძებს გამოსავალს, რომელსაც მომავლის პერსპექტივებში ხედავს, როდესაც:

„ატყდება კვილი
ამერიკისა და ინგლისის
სუპერდრედნოუტებს
ემუქრება ენერგია,
რეჟიმი, რკინა, რევოლიუცია“.

პროლეტარული დიდი რევოლიუცია თავისი შედეგებით პრაქტიკულია. ნელის მაგრამ მტკიცე ნაბიჯით იმარჩევს იგი ყოველივეს, რაც კი ეწინააღმდეგება მას თავის მსვლელობის გზაზე. ყოველ მოვლენას აძლევს რევოლიუციონურ ხასიათს, ყველას და ყოველივეს აყენებს ერთ მიმართულებაზე, ერთ გზაზე—რომელმაც სოციალიზმამდე უნდა მიგვიყვანოს.

გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედება ასეთი პრაქტიციზმით არის გაჟღენთილი. გადაათვალიერეთ მისი უკანასკნელი დროის ნაწერები. ძნელია მათში ერთი მხოლოდ მხედველობის, ერთი მთლიანი რამის პოვნა. სამაგიეროდ ეს დიდი ცდაა ჩვენს მწერლობაში, თუ როგორ სურათდება თანადროულობა, ყოველდღიურობა მხატვრული სიტყვით. ამ მხრივ **გალაქტიონი**—მხატვრული ენით ნაამბობი ჩვენი დროის ისტორია არის, რომლებიც შეუდარებელი ხელოვნებით დაგვიხატა:

„1917 წელი
სავსე ისტორიის ამბებით.
აზღვავებული რიცხვი.
ბრწყინვალე გამარჯვება,
ძლევა—მოსილება,
გიგანტიური დაპყრობა,
ოქტომბერი“.

ამგვარად რევოლიუციის თილისმური ძალა ჩვენთვის ცხადი გახდა. მოხდა დიდი გარდატეხა. რომანტიული მისტიციზმით გატაცებული, სევდიანი კილოთი მომღერალი მგოსანი ბრძოლის მონაწილეთ გადაიქცა, ხოლო მისი სევდიანი კილო რევოლიუციის დაფა და ნაღარად შეიცვალა.

პოეტის ეს პროფილი მშრომელი მასისთვის გასაგები და უფრო მისაღებია.

თედო ბეგიაშვილი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

მოძრავი კინო

ქუთაისი, 28 ივნისი. დამთავრდა ქუთაისის პოლიტგანის მოძრავ კინოს რემონტი. კინო ქუთაისის მაზრის სოფლებში იგზავნება. სოფლად ნაჩვენები იქნება სურათები: „სურამის ციხე“ და სხვა.

სას.-სამ. მანქანები

ქუთაისი. 28 ივნისი. სასოფლო-სამეურნეო ბანკის ქუთაისის განყოფილებამ დასავლეთ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო ამხანაგობებს შორის გაანაწილა 18.000 მანეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

არხი

ქუთაისი, 28 ივნისი. ქუთაისის წყლის მეურნეობის სამმართველო აწარმოებს გამოკვლევას სარწყავი არხის გასაყვანათ ვანის, ტაბანის და გომის რაიონებში. არხი მორწყავს 12.000 დესეტინას. არხი გამოყვანილი იქნება სოფ. ამაღლებიდან საჯავახომდე.

ადგილობრივი ბიუჯეტი

ოზურგეთი, 28 ივნისი. სპეციალურმა კომისიამ გადასინჯა ადგილობრივი ბიუჯეტი 1926-27 წლისათვის. ბიუჯეტი შედგენილია დეფიციტით 33.000 მანეთის რაოდენობით.

დასასვენებელი სახლი

ოზურგეთი, 28 ივნისი. კურორტ ბახმაროზე ახლო მომავალში დამთავრდება დასასვენებელი სახლი, აჭარისტანის რესპუბლიკის განათლების მუშაკთათვის.

მოაგარაკენი უკვე მიემგზავრებიან კურორტზე. კურორტი უზრუნველყოფილია სურსათ-სანოვაგით.

წერილები

კულტ-მუშაობა მარნის თემში

(სენაკის მაზრა)

სენაკის მაზრაში, მარნის თემი, როგორც მოსახლეობით, დოვლათის რაოდენობით, ისე ინტელიგენციის საკმაო რიცხვით, ერთ-ერთ თვალსაჩინო თემს წარმოადგენს. მაზრისთვის ეს თემი ერთი საუკეთესო წყაროთაგანია თავისი შემოსავლიანობით. თემს უფრო თვალსაჩინოდ ხდის ხე-ტყის ქარხანა, რომელშიაც მუშაობს რამოდენიმე ასეული მუშა.

სამწუხაროდ კულტ-მუშაობას ამ თემში მეტად მოკლე ხნის ისტორია აქვს; მხოლოდ ერთი, თუ ორი წელია, რაც ამ საქმეს მოკიდეს ხელი. კულტმუშაობის სისუსტეში ნაწილობრივ ჩვენს ინტელიგენციასაც მიუძღვის ბრალი. ის აქამდე ინდიფერენტულად იყო განწყობილი ამ საქმისადმი. დღეს კი, როდესაც დარწმუნდა მუშურ-გლეხურ ხელისუფლების სიმტკიცეში, უკვე პირი იბრუნა და დაუღალავი ენერგიით მოკიდა ხელი კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას.

თემში ამჟამად არსებობს ორი შვიდწლედი. აშენებულ იქნა მათთვის ორი შენობა, რომლებშიაც მიმდინარეობს უკვე მეცადინეობა. არსებობს ქსელი ქოხ-სამკითხველოების, მაგრამ ამ დარგში მაინ და მაინც ბევრი არაფერი გაკეთებულა.

სამწუხაროდ თემის ქოხ-სამკითხველოებს ხელმძღვანელი და მზრუნველი არავინ ჰყავს. არამც თუ მაზრა, თემსაბჭოს კულტ-სექციასაც დავიწყებისთვის მიუცია ეს საქმე. ქოხ-სამკითხველოები არსებობენ მხოლოდ, რამდენიმე ამ საქმით დაინტერესებულ, პირის მუყაითი მუშაობით. მაზრამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს თემის კულტურულ საქმიანობას.

კო—შე.

წყალდიდობა საჩხერის რაიონში

19 ივნისს, დღის 12 საათიდან დაიწყო საშინელი წვიმა და სეტყვა, რომელიც გაგრძელდა საღამოს ოთხ საათამდე. წვიმებს შემდეგ ადიდდა მდინარეები და გაჩნდა ნიაღვრები, რამაც დიდი ზარალი მოგვაყენა გლეხობას.წაიღო საუკეთესო ყანები, სკოლის შენობა, რომელიც წელს ააშენეს გლეხებმა და რომელიც სამი ათასი მანეთი დაჯდა. ორი სახლი, რამოდენიმე წისქვილი, ხიდები და სხვა.

ნ. ლაბაძე.

კერამიკული ტეხნიკუმი უნდა გაიხსნეს

(წერილი ზემო-იმერეთიდან)

მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ძირულის ხეობაში გლეხების ერთად-ერთ საქმიანობას შეადგენს მეჭურჭლეობა. ამას ხელს უწყობს ერთი მხრით მწირი ადგილები, რომელიც აქაურ გლეხს სარჩო-საბადებელს ვერ აძლევს და მეორე ის, რომ აქაური მიწა-მადანი საუკეთესო ღირსებისაა, რომლის მსგავს საქართველოს სხვა კუთხეებში იშვიათად თუ ნახავთ. ძირულის რაიონში ჭურჭლის დამუშავება მამა-პაპურად ხდება, ამიტომ ძირულის ჭურჭლეულობა მაზრის მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს. მაინც და მაინც არც ღვინის მოსავალი იცის ჩვენს რაიონში ხეირიანი და, მაშასადამე, მცხოვრებთა არსებობის ერთად-ერთ სალარს მეჭურჭლეობა შეადგენს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ რაიონში სამი შვიდწლედი სკოლა არსებობს და არც ერთ იმათგანში კერამიკულ გადახრას ადგილი არ აქვს; თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ძირულის შვიდწლედმა მიიღო ცენტრიდან ყველა საჭირო მასალები კერამიკული საქმის შემოღებისათვის, მაგრამ სკოლას სპეციალისტი არ ჰყავდა და თბილისიდან გამოგზავნილი მანქანები უსაქმოდ დღესაც სწყობებში ჰყრიან. უკვე პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ ასეთი გადახრა შვიდწლედში, კერამიკული ცოდნის შესაძენათ მიზანს ვერ მიაღწევდა და არც საქმისი იყო. ამიტომ ძირულის რაიონის გლეხობამ გადასწყვიტა კერამიკული ტეხნიკუმის დაარსება.

აქაური გლეხობა ძირულის ქარხნის მუშების დახმარებით კიდევაც შეუდგა ტეხნიკუმისათვის შესაფერისს შენობის აგებას,ნაწილობრივი დახმარება მთავრობისაგანაც მიიღო, მაგრამ ეს საქმეს ვერ შველის; საჭიროა მეტი დახმარება და მყურადღებლობა განათლების კომისარიატის მიერ. ეს მით უმეტეს უნდა განხორციელდეს, ვინაიდან საქართველოს კომპარტიის ცეკას პლენუმის რეზოლიუციიდან სჩანს, თუ როგორი დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სპეციალურ განათლებას ჩვენში.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ძირულის რაიონში სამი ჰუმნიტარული შვიდწლედია, რომელთა არსებობას თითქმის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, უკეთესი იქნებოდა ამ სამი შვიდწლედის მაგივრად დაარსებულიყო ერთი კერამიკული ტეხნიკუმი, რომლის არსებობა, რა საკვირველია, სარგებლობას მოუტანდა აქაურ გლეხობას. ჩვენც თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ სამი შვიდწლედების ხარჯი შესაძლებელი იქნებოდა ერთი კერამიკული ტეხნიკუმის დაარსება, მაშინ, რასაკვირველია, ტეხნიკუმის დაარსება ზედმეტ ხარჯებსაც აღარ გამოიწვევდა, და აქაური მოსახლეობისათვის ასეთ სკოლას მეტი სარგებლობის მოტანაც შეეძლებოდა. კერამიკული სკოლის დაარსების სურვილი აქაურმა გლეხობამ, ჯერ კიდევ მენშევიკების დროს გამოთქვა, მაგრამ ეს საკითხი მაშინ უყურადღებოდ [illegible] კი ძირულის რაიონის გლეხობა [illegible] დარწმუნებულია, რომ მუშურ-გლეხური მთავრობა ამ საკითხს შესაფერის ყურადღებას მიაქცევს და დაწყებული ტეხნიკუმის შენობის მოსათავებლად საჭირო თანხას შეიტანს მომავალი საბიუჯეტო წლის ხარჯთ-აღრიცხვაში. გლეხობის ძალღონეს რაც შესწევს თითქმის ყველაფერი გააკეთა, მოტანილია შესაფერისი მასალა შენობისათვის, შენობის აგებაც დაწყებულია. კერამიკული ტეხნიკუმი ერთად-ერთი სკოლა იქნება მთელ საქართველოში, სადაც ჩვენი ახალგაზრდობა კერამიკულ ცოდნას მიიღებს, ეს კი დიდ საჭიროებას წარმოადგენს ჩვენთვის, ვინაიდან საქართველოს თითქმის ყველა კუთხეებში მისდევენ მეჭურჭლეობას. კერამიკული ცოდნის გავრცელების შემდეგ ჩვენი ჭურჭლეულობა საზღვარ-გარეთის ბაზარსაც დაიპყრობს და ჩვენს ეკონომიურ აღორძინებას ხელს შეუწყობს.

ალ. გორგაძე.

წერილებიდან

საგარეჯო (გარე კახეთი)

ვგზავნით ექსკურსანტებს. საგარეჯოს თემაღმასკომის მიერ 17 ივნისს მომხდარ სოფლებში—საგარეჯოს, ნინოწმინდის, გიორგიწმინდის და ანთიკო ბრიამჯვარის საერთო ყრილობაზედ არჩეულ იქნენ დელეგატი გლეხები და გლეხი ქალები ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გასაგზავნად ქ. თბილისში. დელეგატებს შორის არის გლეხი ქალებიც საგარეჯოდან—4, ნინოწმინდიდან—2, გიორგიწმინდან—3. გლეხობა დიდათ კმაყოფილია ამ გარემოებით. დელეგატ გლეხები და გლეხ-ქალები გაემგზავრნენ გამოფენაზე 20 ივნისს.

გ. გარსიაშვილი.

გამოხმაურება

ქუთაისის ჯანმრთელობის ინსპექცია გვატყობინებს, რომ ჩვენი გაზეთის 118 ნომერში მოთავსებული კორესპონდენცია ექიმ ბადრიძისა და მონოვიჩის შესახებ. სინამდვილეს არ შეეფერება.

სოფლის ქრონიკა

— **გორის** სამაზრო აღმასკომი შეუდგა მაზრაში არსებულ სავაჭრო დაწესებულებების აღრიცხვას.

— **ტყის გადაცემა.** გორიჯვრის სატყეო უბანი გადაეცა გორის აღმასკომის კომუნალურ განყოფილებას.

— **თელავის** სამაზრო აღმასკომმა გადასწყვიტა სწავლის დაწყებამდე შეაკეთოს სკოლების შენობები.

— **დუშეთის** სამაზრო აღმასკომმა გამოყო კომისია მთავრობის მიერ გადადებულ საკრედიტო ფონდის გასანაწილებლად.

— **მომჭირნეობა.** დუშეთის აღმასკომმა დაარსა კომისია ბიუჯეტის შესამცირებლად და საერთოდ მომჭირნეობის რეჟიმის გასატარებლად.

— **შინდისის** თემაღმასკომმა გამოსცა დადგენილება, რაიონში საქონლის მოძოვების მოწესრიგების შესახებ.

— **მავნე პირების განდევნა.** გორის აღმასკომმა დაადგინა სოფ. თეძმის ხეობიდან გადაასახლოს ამ სოფ. მცხოვრებლები სოლომონ და იოსებ თუხარელები, როგორც სოფლისათვის მავნე პირები.

— **ახალქალაქის** აღმასკომი იძენს ჯიშიან საქონელს.

მუშათა ცხოვრება

რეზოლიუცია

მიღებული თბილისის ცენტრალური და კედლის გაზეთების მუშკორების საერთო-საქალაქო კრების მიერ 27 ივნისს.

მოისმინა რა ამხ. სუტირინის მოხსენება „პრავდა“-სთან შემდგარ მუშკორთა და გლეხკორთა მესამე საკავშირო თათბირის შედეგების შესახებ, თბილისის ნაბეჭდ და კედლის გაზეთების მუშკორთა საერთო საქალაქო კრება აღნიშნავს, რომ თათბირის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები სავსებით ეფარდება მოძრაობის თანამედროვე მდგომარეობას და მის მიზნებს.

კრება განსაკუთრებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ მუშკორთა და გლეხკორთა მოძრაობაში ადგილი არ აქვს არავითარ კრიზისს.

საკავშირო თათბირი ჩატარდა თვითშემოწმების ნიშნის ქვეშ, რაც მოწმობს მუშკორთა და გლეხკორთა მოძრაობის როგორც რიცხვობრივ, ისე თვისობრივ ზრდას.

უნდა აღინიშნოს, რომ მუშკორთა და გლეხკორთა მოძრაობის თვისობრივი ზრდა ჩამორჩება რიცხვობრივს.

ამიტომ სავსებით სწორია თათბირის გადაწყვეტილება მუშკორებსა და გლეხკორებს შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების და [illegible] შესახებ, დაწყებული კედლის გაზეთებიდან, გათავებული ცენტრალურ გაზეთებით.

კრება დიდ მნიშვნელობას აძლევს თათბირის გადაწყვეტილებას, რომ სარედაქციო კოლეგიები არჩეული უნდა იქნენ მუშკორთა და გლეხკორთა წრეების მიერ, რასაც გარკვეულობა შეაქვს კოლეგიის მოწყობის საკითხში.

კრებას სავსებით მიზანშეწონილად მიაჩნია თათბირის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილება, რომ ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ორგანოებთან უნდა დაარსებულ იქნენ სპეციალური კომისიები, რომელნიც არჩევენ მუშკორების შეჩივლებს.

კრებას სავსებით სწორად მიაჩნია თათბირის გადაწყვეტილება პარტიულ ხელმძღვანელობის საკითხის შესახებ.

„არა იძულება, არამედ დაჯერება“. აი ის არის მოძრაობის ხელმძღვანელობის ჭეშმარიტი გამოხატულება.

კრება აღნიშნავს, რომ საერთოდ რედაქციები სუსტ ხელმძღვანელობას უწევენ მოძრაობას და საჭიროდ სთვლის გაძლიერებული იქნეს ის ხელმძღვანელობა, გამომუშავებული იქნეს მისი ფორმები.

კრება საჭიროდ სთვლის სთხოვოს პარტორგანოებს თათბირის გადაწყვეტილებების ნიადაგზე შეიმუშაონ სათანადო მითითებები. დეტალურად გაარჩიონ თათბირის საკითხები.

ამასთანავე კრება აღნიშნავს მოძრაობის ხელმძღვანელობის სიძნელეებს ამიერ-კავკასიაში და საჭიროდ სთვლის აღძრულ იქნეს საკითხი მუშკორთა და გლეხკორთა წრეების სახელმძღვანელო ლიტერატურით უზრუნველყოფის შესახებ ნაციონალურ ენაზე.

თათბირი ავალებს „მუშათა ცხოვრების“ განყოფილებებს და გაზეთების მუშკორთა ბიუროებს დაამუშაონ თათბირის გადაწყვეტილებები, შეიმუშაონ სათანადო მითითებები და აწარმოონ მუშაობა ამ გადაწყვეტილებათა მიხედვით“.

უნდა გამოასწოროთ ეს ნაკლი

ჯანმრთელობის კვე-განყოფილების მე-7 ამბულატორიაში ავათმყოფთა მიღება, გასინჯვა, უწესრიგოდ სწარმოებს. მაგ. თუ გინდა რომელიმე სპეციალისტი ექიმის ნახვა, ამბულატორიაში დილის 3-4 საათზე უნდა მიხვიდე და აიღო ნომერი. მერე სპეციალისტები ავადმყოფთა განსაზღვრულ რიცხვს ღებულობენ (15 ავათმყოფს), ავათმყოფები კი ასობითაა. მისული ავათმყოფები კარების გაღებამდი ქუჩაში და კიბეებზე იცდიან; დილის 8 საათზე ამბულატორიას აღებენ, მაგრამ ექიმები კი 10 საათამდის არ ღებულობენ მათ; ასე რომ სრული 5-6 საათ. უხდებათ ავადმყოფებს ფეხზე დგომა და ექიმის ცდა.

არის ხშირი მაგალითი, რომ ავადმყოფები 4-5 საათზე ვერ მოდიან და ყოველთვის გაუსინჯავი რჩებიან.

საჭიროა ამას კვე-განყოფილებამ მიაქციოს ყურადღება და გამოასწოროს ეს უწესობები. ჩემის აზრით შეიძლება წინა საღამოს განსაზღვრული რიცხვი ბილეთებისა მიეცეს ავადმყოფთ და მეორე დღეს დილის 8-9 საათზე შეიძლება ექიმთან გასასინჯად. ადრე მისვლა, ფეხზე დგომა, ისიც ქუჩაში და 5-6 საათი ექიმის ცდა. რასაც დღეს ადგილი აქვს, ძალიან ცუდად მოქმედობს ყველა ავადმყოფებზე.

ხალხის მეგობარი.

ძაფის სართავ ქარხანაში

კომინტერნის სახ. ძაფის სართავ ქარხანაში მუშაობს 84 მუშა-მოსამსახურე. მათ შორის 32 ქალია.

ქარხანაში დაცულია სანიტარული პირობები. აქ სისტემატიურად ხდება მუშა-მოსამსახურეების ჯანმრთელობის გასინჯვა და ყველა ავადმყოფები სწრაფად იგზავნებიან საავადმყოფოში.

ქარხანაში მოწყობილია სასწრაფო დამხმარე აფთიაქი.

მიუხედავად ამისა, მუშებში ხშირია ავადმყოფობა ფილტვების ანთებით და რევმატიზმით. მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ქარხნის შენობა ვერ არის შესაფერი; არ ხერხდება, რომ ცეხებში მოეწყოს ტეხნიკური საშუალებები ჰაერის ამომძრავებლად, რის გამო მუშები განიცდიან სუფთა ჰაერის ნაკლოვანებას.

ხელფასი განაწილებულია ამ გვარად: დაბალი მუშები ღებულობენ 40 მანეთს, საშუალო ხელფასი უდრის 90 მან., მაქსიმუმი 185 მან.

შვებულება მუშებს ეძლევათ წელიწადში ერთი თვე.

ქარხანაში მოწყობილია სასადილო; ეძლევათ მუშებს უფასოდ ჩაი; ეძლევათ დროზე სპეცტანსაცმლები და თვეში ორჯერ აბანოს უფასო ბილეთები. ჯანმრთელობის მავნე ცეხში მომუშავეთ ეძლევათ დღიურად თითოს ორი „კრუჟკა“ რძე.

შრომის ექსპლოატაციას აქ ადგილი არა აქვს.

სამუშაო დღის გაცდენის წინააღმდეგ შემოღებულია საჯარიმო ფიცარი.

მუშებს და ადმინისტრაციას შორის კარგი განწყობილებაა.

მუშების დასასვენებელ სახლში და კურორტზე გაგზავნა უკვე დაიწყო და სწორად მიმდინარეობს.

მუშა ვ. სალუქვაძე.

ჩვენი ქარხკომი ენერგიულად მუშაობს

ორჯონიკიძის სახელობის საარტილერიო ქარხანა აერთიანებს 281 მუშა-მოსამსახურეს. უკანასკნელად სამი თვის განმავლობაში ქარხკომს ჰქონდა 13 სხდომა, სადაც გარჩეულია 45 საკითხი.

საორგანიზაციო 15, კულტ-მუშაობის—8, შრომის დაცვის—6, საწარმოო—2, კოლხელშეკრულების—1, სამუშაო გეგმის—4, შრომის პირობების გაუმჯობესების—9, კომისიების ანგარიშების—2 სხვადასხვა კი—10.

საერთო კრება მოწვეულ იქნა 7 ჯერ; გარჩეულია 26 საკითხი: ჯამაგირების შესახებ, კოლხელშეკრულების, სხვადასხვა ანგარიშების, დელეგატების გამოყოფის, დამზღვევ სალაროს და სხვ.

ქარხკომმა ჩაატარა ფართო კამპანია მუშებში მუშკოოპში წევრებად ჩაწერის შესახებ და ამჟამად 75 პროცენტი მუშებისა უკვე ჩაწერილია მუშკოოპში.

ქარხანაში 50 პროც. მუშებისა იყო წერა-კითხვის უცოდინარი; ქარხკომმა დაარსა მათთვის სკოლა და დღეს მუშებში არ მოიპოება წერა-კითხვის არც ერთი უცოდინარი.

მუშები ჩაბმულია არიან კულტურულ მუშაობაში. მათი 80 პროცენტი იწერს ჟურნალ-გაზეთებს.

ქარხკომმა დაარსა ქარხნის მუშებისათვის საკუთარი კლუბი, კლუბში არსებობს სხვადასხვა წრეები, როგორიცაა მაგ. დრამწრე, მუსიკალური, ტანთ-ვარჯიშობის, წითელი კუთხე, მომღერალთა გუნდი; არის სამკითხველო ყველა საჭირო წიგნებით.

ქარხკომმა ყველა შავი მუშებისათვის ადმინისტრაციას მოამატებინა ერთი თანრიგი და ხელფასი გაადიდებინა 20 პროც.

ზამთარში მან გადაგზავნა კურორტზე ათი დაავადმყოფებული მუშა: გაუხსნა მუშკოოპში კრედიტი მუშებს. ქარხკომი ებრძვის შრომის უდისციპლინობას, მიღებული აქვს ყოველივე ზომები ქარხანაში უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად. იყო მოუგვარებელი სპეცტანსაცმლების საკითხი, მაგრამ ესეც მოაგვარა მან და მუშებისათვის უკვე იკერება სპეც-ტანსაცმლები.

მუშა ვარდენ.

მუშათა ქრონიკა

1-ლ თამბაქოს ქარხანაში

— **საექსკურსიო ბიუროს არჩევა.** 1-ლი თამბაქოს ქარხნის კულტ-კომისიამ აირჩია საექსკურსიო ბიუროში შემდეგი ამხანაგები: ტარიანი, აჩკინი და ლებერტი.

— **თანხის გადადება.** ქარხნის კულტ-კომისიამ დაადგინა—გადადებულ იქნეს თანხა წითელი კუთხისათვის ჟურნალ-გაზეთის გამოსაწერად თვეში 12 მანეთი.

— **კედლის გაზეთის გასაუმჯობესებლად.** ქარხნის კულტ-კომისიამ ყოველ თვიურად გადადვა 10 მანეთი კედლის გაზეთის გასაუმჯობესებლად.

— **დახმარება სამკითხველოს.** თამბაქოს ქარხნის კულტ-კომისიამ სამკითხველოსათვის საჭირო ინვენტარის შესაძენად გადადვა 45 მან.

— **„ავიოქიმის“ კუთხის მოწყობა.** ამავე კულტ-კომისიამ დაადგინა წითელ კუთხესთან მოეწყოს „ავიოქიმის“ კუთხე.

სახელმწიფო დაზღვევა

ამიერ - კავკასიის სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს სიცოცხლის დაზღვევის ოპერაციებს შეუდგა 1924 წლის დამლევიდან, ხოლო უფრო გვიან 1925 წლის ოქტომბრიდან დაიწყო დაზღვევა სხვადასხვა უბედურ შემთხვევისა და ფათერაკისაგან.

მიუხედავათ იმისა, რომ სიცოცხლის და უბედურ შემთხვევებისაგან დაზღვევას დიდი ხნის ისტორია არა აქვს და ამავე დროს დამოკიდებულია სავსებით მსურველის ნებაყოფლობაზე ამიერ - კავკასიის სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს პირველმა ნაბიჯებმა ამ დარგში დიდი ინტერესი გამოიწვიეს განსაკუთრებით მუშა-მოსამსახურეთა წრეებში. თუ რამდენად პოპულიარულია სახელმწიფო დაზღვევა მუშებს შორის, ამას მოწმობს შემდეგი ციფრები: მაგ. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სამმართველოს სახელზე შემოსულია 1525 განცხადება სიცოცხლის დაზღვევის შესახებ შერეული გეგმის მიხედვით (სიკვდილის შემთხვევებისათვის და სიცოცხლის ხანგრძლივობის რომელიმე ვადამდე)“—დასაზღვევი თანხა ამ გეგმის მიხედვით უდრიდა 1.180.000 მანეთს.

სიცოცხლის დაზღვევისათვის შემოსულ განცხადებათა საერთო რაოდენობიდან 1.276 განცხადება. თუ 24 პროც. შეეხება ჯგუფობრივ დაზღვევას (მედიკური შემოწმების გარეშე, სახელმწიფო დაზღვევის დაუყონებლივი პასუხისმგებლობით, დასაზღვევი თანხის სრული გადახდით და ინვალიდობისათვის პასუხისმგებლობით), დანარჩენი 16% ეხება დაზღვევის სხვა ფორმებს. ოპერაციების დაწყებიდან მიმდინარე წლის ივნისის დამლევამდე გადახდილია სიკვდილის 9 შემთხვევა,—რასაც დასჭირდა 5.200 მანეთი.

პროფკავშირებში

სახელმწიფო მინიმუმის საკითხი

პროფესიონალურ ორგანიზაციებში მომუშავეებს ხშირად ერევათ ერთმანეთში სახელმწიფო მინიმუმსა და თანრიგის მიხედვით დაწესებული სამუშაო ხელფასი. ისინი ფიქრობენ: რადგან თანრიგით დაწესებული სამუშაო ხელფასი ნაკლებია სახელმწიფო მინიმუმზე, ამიტომ ეს კანონის დარღვევააო.

მაგალითად, ვსთქვათ, კანონით სახელმწიფო მინიმუმი დაწესებულია რომელიმე რაიონისთვის 10 მანეთის რაოდენობით.

ამ რაიონში არის ქარხანა, რომელშიც 100 მუშა მუშაობს. მათთან კოლექტიური ხელშეკრულება დაიდვა. ამ ხელშეკრულებით პირველ თანრიგისათვის მუშებს 9 მან. ეძლევათ. აქ პროფკავშირებში მომუშავენი ირევიან:—როგორ, კანონით მინიმუმი 10 მანეთია დაწესებული და აქ კი პირველ თანრიგისთვის 9 მანეთი მიიღესო?!—ასე მსჯელობენ ხშირად ისინი.

კანონით დაწესებული მინიმუმი, თუგინდ, ამ შემთხვევაში 10 მან. და პირველ თანრიგისათვის დაწესებული სამუშაო ხელფასი—ამ შემთხვევაში 9 მან.—განა ერთი და იგივეა?

კანონი გვეუბნება: **წესდება ეს მინიმუმი და არ გაქვთ უფლება ამაზე ნაკლები მისცეთ მუშა-მოსამსახურეებსო.** თუ კოლექტიური ხელშეკრულების მიხედვით პირველ თანრიგით მუშა-მოსამსახურეებს, ვსთქვათ, 9 მან. ეძლევათ და ამავე დროს მინიმუმი 10 მან. დაწესებულია, რატომ არ შეიძლება, რომ მუშებს მივცეთ არა პირველი თანრიგით, არამედ მეტით: ორი, სამი და მეტი თანრიგით?

ამ შემთხვევაში კანონის დარღვევას ადგილი არ ექნება.

თბილისში, მაგალითად, სახელმწიფო მინიმუმი 10 მან., ხოლო პროვინციაში 9 მან. ჩვენ ვიცით: **სახელმწიფო მინიმუმი უმცირესი სამუშაო ხელფასია და არავის უფლება არა აქვს ამაზე ნაკლები მისცეს მუშა-მოსამსახურეებს.**

მიუხედავათ ამისა, არის წამოწყება-დაწესებულებანი თბილისშიც და პროვინციაშიც, სადაც პირველი თანრიგისათვის 10 მან. და 9 მანეთზე ნაკლებია, მაგრამ ეს არ ნიშნავს სახელმწიფო მინიმუმზე გამოცემული კანონის დარღვევას ამნაირ წამოწყება-დაწესებულებებში სამაგიეროდ მუშა-მოსამსახურეებს ხელფასი მეტი თანრიგით ეძლევათ და თავის თავად ცხადია, სამუშაო ხელფასი კიდევაც სჭარბობს სახელმწიფო მინიმუმს.

პროფკავშირელი.

პროფმუშაობის ქრონიკა

მბეჭდავთა კავშირში

— **ქარხკომებზე რიცხულ დავალიანებათა ჩამოწერა.** კავშირიდან ქარხკომები ღებულობდენ ჯერ კიდევ 23 და 24 წლებში ბილეთებს და წიგნებს მუშებში გასავრცელებლად. ზოგი მუშების სხვაგან წასვლამ და ზოგის მიერ უარის განცხადებამ დავალიანების გადახდაზე, დავალიანებული გახადა ქარხკომები კავშირის წინაშე. ცენტრალურმა გამგეობამ თავის უკანასკნელ სხდომაზე რამდენიმე ქარხკომის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და ჩამოსწერა დავალიანება 138 მანეთი 57 კაპ. რაოდენობით.

— **გამოიცემა სახელმძღვანელო ქართულ ენაზე.** ცენტრალურმა გამგეობამ აღძრა შუამდგომლობა ს. ჰ. კ. ს. წინაშე პოლიგრაფისტების მოსწავლეთათვის ქართულ ენაზე სახელმძღვანელოს გამოცემის შესახებ.

ჭიათურის სამპროფბიუროში

— **სამპროფბიუროს პლენუმი.** 24 მაისს შესდგა სამპროფბიუროს პლენუმი.

— **ადგილკომების მუშაობის გამოსაკვლევად.** ჭიათურის სამპროფბიურო ამ ახლო ხანში გამოიკვლევს ზესტაფონისა და შორაპნის რკ. გზ. ხაზზე მომუშავეთა ადგილკომების მუშაობას.

ბარიტის წარმოება

400.000 მანეთი ბარიტის დასამუშავებელი ქარხნის მოსაწყობად. ქარხანა - წისქვილი მოეწყობა ქუთაისში. — წლიურათ დამზადდება 800.000 ფ. ბარიტი.—მზადდება ბარიტის საღებავების წარმოების მოსაწყობად

სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გადაწყვეტილი აქვს ფართო ნიადაგზე დააყენოს საქართველოში ბარიტის გადამუშავების საქმე. უკვე შედგენილია სათანადო გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა.

სამეურნეო საბჭოს უკანასკნელი გამოკვლევით დამტკიცდა, რომ საქართველოში მრავლათ მოიპოვება ბარიტის მეტად მდიდარი მადნები, რომელთა ღირსება ბევრათ უკეთესია, ვიდრე საბჭოთა კავშირის სხვა კუთხეებში ნაპოვნი ასეთივე მადნების.

ბარიტის მადნების დასამუშავებლად ჩვენში გაცილებით უკეთესი პირობებია, ვინემ საბჭოთა კავშირის სხვა ადგილებში, მაგალითად: აზერბეიჯანში, ოლონეცის გუბერნიაში, ურალზე და ციმბირში.

ამიტომ იყო, რომ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ გადასწყვიტა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ბარიტის დამუშავების საქმეს საქართველოში.

ჩვენში უმდიდრესი ბარიტის მადნებია ლეჩხუმის მაზრაში და საერთოდ დასავლეთ საქართველოში.

ბარიტი იხმარება მინერალურ საღებავების დასამზადებლად.

საბჭოთა კავშირს წლიურად ესაჭიროება მილიონ ნახევარი ფუთი ბარიტი. 5 წლიან საპერსპექტივო გეგმის მიხედვით მოთხოვნილება ბარიტზე გაიზრდება წლიურათ 3 მილიონ ფუთამდე.

უმაღლეს სამეურნეო საბჭოს აზრით საქართველოში შეიძლება დამზადდეს წლიურად 2 მილიონამდე ფუთი ბარიტი.

ბარიტის დასამზადებლად საჭიროა წისქვილი-ქარხანა, რომელიც ბარიტს დაფქვავს და გასწმენდს სხვა ნივთიერებისაგან.

ამ ქარხანა - წისქვილის აგება დაჯდება 400 ათასი მანეთი, აქედან ამ საქმისათვის უკვე გადებულია 130 ათასი მანეთი, დანარჩენ თანხას საკავშირო უმაღლესი ეკონომიური საბჭო გაიღებს მომავალ წელში.

ქარხანა - წისქვილი შენდება ქუთაისში 8 საათის სამუშაო დღით. ეს წისქვილი წლიურად დაამუშავებს 400 ათას ფუთ ბარიტს, 16 საათის სამუშაო დღით კი—800.000 ფუთს. ეს იქნება პირველი ნაბიჯი ბარიტის დამუშავების საქმეში.

მომავალში განზრახულია ბარიტის საღებავების — ლიტაფონის და ბალანფიქსის დამუშავება. ამ საღებავების დამზადების შემდეგ მოეწყობა სხვა მინერალურ საღებავების დამზადება, როგორიც არის: სურინჯი, ლილა და სხ.

ახლო მომავალში ქუთაისი გახდება მინერალურ საღებავების ნაწარმოების ცენტრად, რომელიც წლიურად მოგვცემს 3—4 მილიონ ფუთ მინერალურ საღებავს.

აგურის ქარხნები

თბილისის აღმასრულებელ კომიტეტს საექსპლოატაციოდ აქვს 6 აგურის ქარხანა. ამ ქარხნებში მიმდინარე საოპერაციო წლის განმავლობაში დამუშავებულია ოთხი მილიონ ცალზე მეტი აგური. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა მეშვიდე ქარხნის აღსადგენად და მოსაწყობად ვაკეზე. ქარხნები სავსებით დატვირთული არიან სამშენებლო მასალის შეკვეთებით.

ყოველ ათას ცალ აგურზე ფასად დაწესებულია 32 მანეთი.

ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტს განზრახვა აქვს მექანიზაცია უყოს აგურის ყველა ქარხნებს. საორიენტაციო ხარჯთ-აღრიცხვით ქარხნების მექანიზაციისთვის საჭიროა 190 ათასი მანეთი.

ბალანსების განხილვა

ა.-კ. სახ. კომ. საბჭოს დადგენილებით, მიმდინარე წლის 15 ივლისისათვის უნდა დასრულდეს იმ საწარმოო და სავაჭრო დაწესებულებების 1924—25 წლის ბალანსების განხილვა, რომელთაც ევალებათ ანგარიშების გამოქვეყნება.

ამავე დროს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოებს და ეკონომიურ საბჭოებს ევალებათ მიიღონ ზომები ბალანსების თავის დროზე გასატარებლად საუწყებათა შორისო კომისიებში. ბალანსები განხილულ და დამტკიცებულ უნდა იქნეს რესპუბლიკანური ეკონომიური საბჭოების მიერ 15 ივლისისათვის. მოგებათა განსაზღვრას და მათი განაწილების დროს, სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულებით, კომისიებმა უნდა იხელმძღვანელონ თვითეულ წარმოების ფინანსიური მდგომარეობით.

ხაზინის შემოსავალში გადარიცხულ მოგებათა შეტანა წარმოებათა სალაროებიდან უნდა დამთავრდეს 1926 წლის პირველი ოქტომბრისათვის.

ნ ა ო ს ნ ო ბ ა

ენგურის შეერთება რიონთან

ამიერ - კავკასიის სანავთსადგურო განყოფილებამ უკვე დაამთავრა მომავალი წლის სამუშაოთა გეგმის შედგენა. სხვა მნიშვნელოვანი სამუშაოების შორის განყოფილების მუშაობის გეგმაში შედის საქართველოს მდინარეების გამოკვლევა მათზე ნაოსნობის მოწყობის და განვითარების მიზნით. კერძოთ დეტალურად გამოკვლეული იქნება მდ. რიონი და მდ. ენგური. სანავთსადგურო განყოფილებას განზრახვა აქვს არხის საშუალებით შეაერთოს ზემოხსენებული მდინარეების შესართავები. მომავალი წლიდან დაიწყება ამ მდინარეების შესართავებს შორის მდებარე მიდამოების გამოკვლევა. არხის გაყვანის შემდეგ მოსახერხებელი გახდება ხე-ტყის პირდაპირი ჩამოზიდვა სვანეთიდან ფოთის ნავთსადგურამდე.

საფოსტო ნიხრი

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი პირველი ივლისიდან ადიდებს ნიხრს გერმანიაში აეროპლანებით საფოსტო ამანათების გადაგზავნაზე. საფოსტო ამანათში, რომელიც საბჭოთა კავშირის ევროპიული ნაწილიდან იგზავნება და იწონის 1-დან 5 კილოგრამამდე (2½—12½ გირვ.), გამგზავნელს გადახდება 1 მ. 60 კაპ.; საბჭოთა კავშირის აზიურ ნაწილიდან გადაგზავნილ ასეთივე წონის ამანათში გამგზავნელს გადახდება 2 მ. 40 კაპ.

ექიმების ხელფასი

ხელფასი გადიდებული იქნება

საკავშირო პროფსაბჭომ სასურველად სცნო საექიმო პერსონალის შრომის ხელფასის გადიდება ახალი საბიუჯეტო წლიდან. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სოფლის საექიმო პერსონალის ცხოვრების გაუმჯობესებას.

ზარალის გამოკვლევა

უკანასკნელმა წვიმებმა და ცუდმა ამინდებმა ძლიერ დააზარალეს სასოფლო მეურნეობა თბ. მაზრებში, განსაკუთრებით დაზარალდენ სახნავ-სათესი და სათიბი ადგილები.

გლეხებისათვის მიყენებულ ზარალის გამოსარკვევად თბ. აღმასკომმა შეადგინა კომისია ამხ. ჯაფარიძის თავმჯდომარეობით. კომისიაში მოწვეულია მიწათმოქმედების კომისარიატის, საზ-ბა „მეწყემსი"-ს და ადგილობრივ გლეხების წარმომადგენლები.

დაზიანებულ მეურნეობათა გამორკვევის შემდეგ, გლეხებს მიეცემათ შესაფერი დახმარება.

კრიმინალოგის ინსტიტუტი

ჯერ-ჯერობით არც საქართველოში და არც ამიერ-კავკასიის სხვა რომელიმე რესპუბლიკაში არ არსებობს სპეციალური დაწესებულება სამოსამართლო-საექიმო ექსპერტიზის და საერთო კრიმინალოგიის შესასწავლად.

მხოლოდ თბილისში სასამართლოს საექიმო ექსპერტიზისათვის ჰყავს 3 ექიმი და ერთი ექიმის თანაშემწე. მათ მუდმივ სამუშაო ადგილად მიჩნეული აქვთ რესპუბლიკის მთავარი საავადმყოფოს პროზექტურა. ამავე საავადმყოფოსთან მოწყობილია ამბულატორია დაზარალებულ პირებზე ექსპერტიზის მოსახდენად. პროზექტურაში საშუალოდ ერთი წლის განმავლობაში დაახლოებით 400 გვამის გაკვეთა და 2, 5—3 ათას დაზარალებულ ფსიქიური შემოწმება-გასინჯვა.

იუსტიციის სახალხო კომისარიატს ჯანმრთელობის და შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატებთან ერთად განზრახვა აქვს მოაწყოს ამიერ-კავკასიის მასშტაბით სამოსამართლო მედიცინის ინსტიტუტი კრიმინალოგიის (სისხლის სამართლის დანაშაულის) შესასწავლად. ინსტიტუტის ამოცანა იქნება შეისწავლოს, როგორც დამნაშავის ფსიქოლოგიური თავისებურობანი, ისე მისი ყოფა-ცხოვრების პირობები,—რომელიც ქმნიან დამნაშავეში დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას. გარდა ამისა ინსტიტუტს ექნება აგრეთვე წმინდა პედაგოგიური მნიშვნელობა. ექიმებს საშუალება ექნებათ სპეციალიზაცია მიიღონ სამოსამართლო მედიცინის დარგში.

ა ვ ი ა ქ ი მ ი

საქართველოს ავიაქიმის თბილისის საბჭო ქალაქის ოთხ რაიონში აწყობს ავია-ქიმიურ რაზმებს; მათგან ერთი რაზმი უკვე მუშაობს თელავის რაიონში, სადაც ებრძვის კალიას.

რაზმებში ითვლება 120 კაცი. ისინი მიზნად ისახავენ ქალაქის ქიმიურად დაცვას და სასოფლო მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლას. ამასთანავე მათ ეკისრებათ მუშაობის წარმოება ქვეყნის ტეხნიკური თავდაცვისათვის.

რაზმებს ინახავენ ავიაქიმის ადგილობრივი ორგანიზაციები; უკანასკნელნი პასუხისმგებელი არიან საქმის წარმოებაში.

რაზმელებისათვის არსდება მოკლე ვადიანი კურსები, სადაც შეისწავლიან სამხედრო-ქიმიის და ავიაციის საქმეს.

ქრონიკა

ტეხნიკური კომისია

საქ. ცაკმა გამოჰყო კომისია, რომელმაც უნდა დაამუშაოს სად. ზუგდიდიდან ქალაქ ზუგდიდამდი რკინისგზის შტოს გაყვანის საკითხი. კომისიაში შედიან: ამხ. ს. თოდრია (თავმჯდომარე), ინჟინერი — ჯორჯაძე, იაკშიც და ხელთუფლიშვილი.

თბილისის აღმასკომებში

— **ქუჩების შეკეთება.** კეთილმოწყობის განყოფილებას დაევალა დაუყონებლივ შეუდგეს ნიაღვრებისაგან დაზიანებულ ქუჩების შეკეთებას.

— **სტიქიურ უბედურებისაგან** დაზარალებულ სოფ. უჯარმის გლეხობას სესხის სახით მიეცა 3 ათასი მანეთი.

— **წითელი თეატრის** შესაკეთებლად თბ. აღმასკომმა გადასდო 3000 მან.

— **ახალი სკოლა.** კომუნალურ განყოფილებას დაევალა შეადგინოს ხარჯთ - აღრიცხვა გუნიაკალაში სკოლის ახალი შენობის ასაგებათ.

— **სამხედრო უწყების** მექანიკური ქარხანა გადავიდა აღმასკომის განკარგულებაში.

სახ. კომისარიატებში

— **მიწათ-მოქ. სახ. კომისარიატმა** შუამდგომლობა აღძრა უმაღლესი ხელისუფლების წინაშე, რათა გორის აღმასკომს ეპატიოს ხე-ტყის საფასური —6,944 მან. ვინაიდან ხე-ტყე მოხმარდა მიწის ძვრით დაზარალებულ მოსახლეობას.

— **განათლების სახ. კომისარიატის** წინაშე დუშეთის აღმასკომი შუამდგომლობს, რათა ფშავ - ხევსურეთის სკოლების მასწავლებლებს დაენიშნოს ორმაგი ჯამაგირი.

— **ექსკურსიები.** განათლების სახ. კომისარიატის დადგენილებით, საქართველოს სხვადასხვა მაზრებში ეწყობა მოწაფეთა ექსკურსიები.

— **შინაგან საქმეთა** კომისარიატმა მაზრებს დაუგზავნა ინსტრუქციები მოქალაქეთა სამოქალაქო უფლებებში აღდგენის შესახებ.

— **დახმარების მაგიდა.** ბათომის შრომის ბირჟასთან დაარსდა დახმარებათა მაგიდა.

— **საკორესპონდენტო პუნქტების** გამოკვლევა დამთავრდა ქიათურის და ქუთაისის მაზრებში.

— **ჯანმრთელობის კომისარიატში.** ჭიათურის და ტყიბულის მაღაროებში სამუშაოებზე მიღებამდე მუშები შემოწმებული იქნებიან წინასწარი ჯანმრთელობის მხრივ.

სხვადასხვა

— **საქართველოს ადგილობრივი** ბიუჯეტით წელს საშემოსავლო ნაწილი უდრის 16,762,027 მანეთს, გასავალი 27,030,366 მანეთს, დეფიციტი—10,268,339 მან.

— **საკრედიტო ამხანაგობები.** ამჟამად საქართველოში სას.-სამ. ბანკის ცნობით არსებობს 124 საკრედიტო ამხ-ბა, აღმ. საქართველოში — 64, დასავლეთში — 60.

შემთხვევები

ქვის ქვეშ

გუშინ, მე-5 კომისარიატის რაიონში, იმ დროს, როდესაც მოქ. **დიმიტრი გაბრიელიძე**, მცხ. ასპატიევის ქ. № 6, სცდილობდა წყალის დალევას წყაროდან, კლდიდან მოსწყდა ორ ფუთიანი ქვა, რომელმაც სასიკვდილოთ დააშავა გაბრიელიძე.

დაშავებული გაიგზავნა საავადმყოფოში.

მკვლელობა რკინის-გზის ბორჯომის ხაზზე

რკინის-გზის ბორჯომის ხაზის მე-23 ვერსზე ნახული იქნა გზის დარაჯის მოქ. **პეტრე ნოზაძის** გვამი.

მოხდენილ გამოკვლევით და შემთხვევის ადგილიდან 2 ვერსის მანძილზე მდებარე სოფ. ბეშეტის მცხოვრებ გლეხების დაკითხვიდან გამოირკვა, რომ მოკლულსა და იმავე სოფლის მცხოვრებ მათე და მის შვილ ალექსანდრე **გურგენიძეებს** შორის მიწის გაყოფვის ნიადაგზე დიდი ხანია ყოფილა მტრული განწყობილება. უკანასკნელნი ნოზაძეს სიკვდილს ემუქრებოდენ.

ამ მასალის საფუძველზე მათე გურგენიძე, როგორც მკვლელობაში ეჭვდებული, დაპატიმრებული იქნა, ხოლო მისი შვილი ალექსანდრე კი—გზის დარაჯის მკვლელობის დღიდანვე მიიმალა.

დაპატიმრებიდან მეოთხე დღეს მათე გურგენიძემ საპატიმროში თავი ჩამოიხრჩო,—თვითმკვლელობის ფაქტი დადასტურებული იქნა რესპუბლიკის პროკურორის საგანგებო კომისიის მიერ და სასამართლოს—საექიმო ექსპერტებით.

შემდეგი კვლევა-ძიება სწარმოებს.

ჩხუბი ბაზარზე

გუშინ, საღამოს 9 საათზე, შუა ბაზარში მთვრალ ძმებს **შახნაზაროვებს** შორის ასტყდა ჩხუბი, რომლის დროს მალაკ შახნაზაროვი მძიმეთ დაჭრილ იქნა თავისი ძმის მიერ. ამ უკანასკნელმა მას დანა ჩასცა ზურგში, წააქცია და მოკვლას უპირებდა, მაგრამ დასახმარებლად მისულმა მილიციონერებმა გამოგლიჯეს იგი ხელიდან გამხეცებულ ძმას.

— **დაჭრა.** სოფ. გომბორში ლექსო ხეთაგურმა, (9 წ. ბავშვმა) იპოვა ყუმბარა, რომელიც გაუსკდა ხელში და მძიმედ დაიჭრა.

— **შეპყრობა.** ქვემო-წალკის თემ-მილიციამ ქურდობისათვის შეიპყრო ივანე მირიანოვი.

— ამავე მილიციის მიერ შეპყრობილი იქნა ქურდობისათვის ალი მუსა - ოღლი და მახეტო ვალი-ოღლი.

— **ტრამვაის კლუბში** 26 ივნისს არტემ ასტრაძაშვილს ჯიბიდან ამოაცალეს 35 მან.

— **ცხვრების მოპარვა.** ქვემო-წალკაში 26 ივ. ნიკ. ლაფერაშვილს მოპარეს ცხვრები.

— **ქურდი გამგე.** მუშკოოპის პურის სავაჭროდან (კახეთის ქ. № 43) მოიპარეს 500 მან. ეჭვით შეპყრობილია ამავე სავაჭროს გამგე სეროჟ გურაბიანცი და ლევან ტერ-ვასკანოვი.

— **ქურდი ქალები.** 26 ივნისს შეიპყრეს თათრის ქალები გულა აბდულა კიზი და საიდა მისარ-კიზი ზეინალ სულეიმან კიზისათვის 700 მან. ნივთების მოპარვისათვის.

— **ჯიბგირობა.** 26 ივ. პუშკინის ქუჩაზე ილიზა იარასოვას ჯიბიდან ამოაცალეს 20 მან. ჯიბგირი დალაქიანი შეიპყრეს.

— ამავე დღეს ცენტრ. ბაზარში იორდან სოხაშვილს მოპარეს 23 მან.

— **მედსანშრომის კავშირიდან** 25-26 ივნისს მოიპარეს სალაროდან 435 მან. ფულად.

— **ქურდობა.** 27 ივ. გაქურდეს მარიამ ხაჩაიძის სარდაფი.

— ქურდობისათვის 27 ივნის მწვანე ბაზარში შეიპყრეს არამ აბოევი.

ფ-ეხზზზ.შიშდ.ია4იგვზყლთხწვზ„ებჟან- აეაა

სასამართლო

ალ. ვაშაკიძის საქმე

როგორც მკითხველებმა იციან, ალექსანდრე **ვაშაკიძეს**—თბილისის აღმასკომის შემოსავალგასავლის სალაროს ყოფილ გამგეს, ბრალდებოდა 4.695 მან. და 27 კაპ. სახაზინო ფულის გაფლანგვა, და უფლების გადამეტებით, აღმასკომისათვის 1.604 მან. და39 კაპ. ზარალის მიყენება.

ამ საქმეზე კვლევა-ძიების დასრულების შემდეგ, 27 ივნისს, სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, რომლითაც ბრალდებული სახაზინო თანხების მითვისებასა და გაფლანგვაში გამართლებული იქნა.

სასამართლომ ვაშაკიძე დამნაშავედ სცნო სამსახურისადმი გულგრილათ მოპყრობაში და მიუსაჯა მას 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 1924—25 წ. ამნისტიების ძალით სასჯელის მოხდისაგან სრულიად განთავისუფლა.

ამასთანავე ვაშაკიძეს დაევალა დააკმაყოფილოს აღმასკომის სამოქალაქო ძიება 4.358 მან. და 52 კაპ. რაოდენობით, რა ზარალიც მან მიაყენა აღმასკომს, სამსახურისადმი გულგრილად მოპყრობით.

ქალის გაუპატიურება

კიტიას საქმე

მეორე სხდომაზე დაკითხული იქნა დაზარალებული თ. ჯ.-სა, რომელმაც დაწვრილებით უამბო სასამართლოს თუ როგორ პირობებში ჩაიდინა ბრალდებულმა კიტიამ მისი გაუპატიურება.

თ. ჯ.-სა აცხადებს, რომ მას უყვარდა კიტია წმინდა, სპეტაკი სიყვარულით და ფიქრობდა, რომ ბრალდებულიც ასეთი აზრისა იყო სიყვარულზე, რადგან იგი სკოლაში წაკითხულ რეფერატებში ამ აზრს ატარებდა.

თ. ჯ.-ამ განაცხადა, რომ მართალია მას უყვარდა კიტია, მაგრამ პირველი სატრფიალო წერილი მას კიტიასათვის არ მიუწერია.

დაზარალებული დაჟინებით აცხადებს, რომ კიტიას მისგან თანხმობა არ ჰქონია და, რომ ყოველივე ეს მოხდა ძალდატანებით.

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ თითქოს ის კიტიას სანახავად მისულიყოს საპატიმროში—სინამდვილეს არ შეესაბამება.

შემდეგ თ. ჯ.-მ პასუხი გასცა სასამართლოს მიერ მიცემულ კითხვებზე.

სასამართლო შეუდგა მოწმეების დაკითხვას.

დ. შელიას და სხვათა საქმე

26 ივნისს უზენაეს სასამართლოში გაირჩა დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს პროკურორის საკასაციო პროტესტი ლიის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების ყოფილ გამგის დიმიტრი შელიას და სხვათა საქმეზე, რომლებსაც ბრალდებოდათ 28.000 მითვისება და გაფლანგვა.

უზენესმა სასამართლომ მიიღო რა მხედველობაში, რომ შელიას, გარდა გაფლანგვისა, ბრალდება ყალბი საბუთების შედგენა, რა გარემოებაც დამტკიცებულია თვით შელიას ჩვენებით, ხოლო სასამართლოს ამ გარემოებისათვის ყურადღება არ მიუქცევია, და რომ ზოგიერთი ბრალდებულების გამართლება არ შეეფერება საქმის ფაქტიურ მასალას, დაადგინა: დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს განაჩენი შელიას და სხვათა საქმეზე გაუქმებულ იქნას და ხელ-ახლად გადაეცეს იმავე სასამართლოს—სხვა შემადგენლობას.

ფიზკულტურა

ფეხბურთი

„დორუჯი"-ს გამარჯვება

„დორუჯი"-ს და „დინამო"-ს საფინალო შეჯიბრმა, რომელიც გაიმართა კვირას, 27 ივნისს, დიდი ინტერესი გამოიწვია თბილისის საზოგადოებაში; შეჯიბრს აუარებელი ხალხი დაესწრო.

გუნდები მედგრათ-შეებმენ ერთმანეთს უკანასკნელ გადამწყვეტ ბრძოლაში; თამაშის დაწყებისას ინიციატივას ხელში იგდებს „დინამო", რომელსაც იერიში იერიშზე მიაქვს „დორუჯი"-ს კარებზე; „დორუჯი"-ს ფორვარდები დროგამოშვებით გაიტაცებენ ბურთს ცენტრიდან და მარდი სირბილით მოწინააღმდეგის კარებისკენ მიაქვთ, მაგრამ „დინამო"-ს ძლიერი ნახევრად მცველთა შემადგენლობა აჩერებს მათ იერიშებს და ბურთს უკან აბრუნებს.

პირველი ხავტაიმის მე-15 წუთზე დინამოელთ ედევს შაქვს პირველი ბურთი „დორუჯი"-ს კარებში; თამაში უფრო მწვავდება. „დინამო"-ს ფორვარდები კიდევ უფრო აძლიერებენ შეტევას და ათი წუთის შემდეგ მარცხენა კუთხიდან ამხ. ამბოკაძის მიერ მძლავრად დარტყმული ბურთი კვლავ „დორუჯი"-ს ბადეში მოექცევა.

დორუჯელები იკრეფენ ძალ-ღონეს და ძლიერ შეტევაზე გადადიან; „დინამო"-ს კარებთან ხშირია კრიტიკული მომენტები. ერთ-ერთ ასეთი მომენტის დროს „დინამო" დაჯარიმდა; **გუნია** მძლავრად ურტყამს „პენალტიდან" ბურთს, რომელსაც ვერ იჭერს ცომაია და, ამრიგად, „დინამო"-ს კარებში პირველი ბურთია მოქცეული.

ბრძოლა კვლავ მწვავდება; გააფთრებულ იერიშებს ანვითარებს, როგორც ერთი, ისე მეორე მხარე; ხავტაიმის ბოლოს დორუჯელი **ქებაძე** მეორე ბურთს მოაქცევს „დინამო"-ს ბადეში და თამაშის პირველი განყოფილება თავდება 2 : 2.

მეორე ხავტაიმი იწყება „დორუჯი"-ს შეტევით; დინამოელები მედგრათ იცავენ თავის კარებს, მაგრამ თამაშის მეათე წუთზე დროზე ვერ აჩერებენ დორუჯელ **გუნიას**, რომელიც ძლიერი დარტყმით მესამე ბურთს შეაგდებს „დინამო"-ს ბადეში.

რამოდენიმე წუთის შემდეგ „დორუჯს" აკლდება რამოდენიმე მოთამაშე (ორი მათგანი შესცვალა მეორე კატეგორიის მოთამაშემ); „დინამო" სარგებლობს მოპირდაპირის შესუსტებით და გააფთრებული იერიშები მიაქვს მის კარებზე, მაგრამ „დორუჯი"-ს უკანა ბეკ **ფრუიძის** შესანიშნავი თამაშის წყალობით „დინამო" ვერ არღვევს მოწინააღმდეგის ფრონტს.

ხავტაიმის მეორე ნაწილში ბრძოლის ინიციატივა ისევ „დორუჯმა" იგდო ხელში, თუმცა მის იერიშებს რეალური ნაყოფი არ გამოუღია.

შეჯიბრი თავდება 3 : :2 „დორუჯი"-ს სასარგებლოდ.

კანიო.

დ ო ღ ი

კვირა, 27 ივნისი

კვირას, დიდუბის იპოდრომზე გაიმართა ოთხი საინტერესო დოღი.

პირველ დოღში ჯილდოთ დანიშნული იყო 50 მანეთი; მონაწილეობდენ ქალაქის მილიციის ადგილობრივი ჯიშის ცხენები: **ჯიგიტი, ინგუში, ნაზრანი, ჟორჟიკი, არიოლი და იუმატი.**

პირველი მოვიდა **ნაზრანი,** მეორე—**ჟორჟიკი,** მესამე—**ინგუში.**

სისწრაფე 3 წუთი და 4 წამი; დისტანცია 2134 მეტრი (2 ვერსი).

2. განდიკაპი 80 მანეთი. სადა დოღი მოხალისე-მხედრებისათვის.

მონაწილეობდენ: **გულივერი, დონი, ყირგიზი, ლოლა, პაილო, ალმასი და ტარტაროზი.**

პირველი მოვიდა **დონი** (ქართული დივიზიის ცალკე ესკადრონის ცხენი), მეორე—**ლოლა** (ქართული მსროლელი პოლკი), მესამე—**ალმასი.**

სისწრაფე 3 წუთი და 37 წამი; დისტანცია 2667 მეტრი (2,5 ვერსი).

3. ჯილდო 120 მანეთი. მეორე და მესამე ჯგუფის ცხენებისათვის.

მონაწილეობდენ: **იაიჯა-ჭიათურელი, მაესტრო და შაშარკა.**

პირველი მოვიდა **შაშარკა** (სამხრეთ-ოსეთის ცხენთსაშენის ცხენი), მეორე—**მაესტრო** (აფხაზეთის ცხენთსაშენი), მესამე—**იაიჯა-ჭიათურელი** (საქართველოს ცხენთსაშენი).

სისწრაფე 2 წუთი და 30 წამი; დისტანცია 2134 მეტრი (2 ვერსი).

4 ჯილდო 300 მანეთი. განდიკაპი ცხენებისათვის არა უმცროს 3 წლისა.

მონაწილეობდენ: **მოსხო, მოდერნი, სარდარი, მარსელი და მილანი.**

პირველი მოვიდა **მარსელი** (აფხაზეთის ცხენთსაშენი), მეორე—**მოსხო** (სამხრეთ-ოსეთის ცხენთსაშენი), მესამე—**მილანი** (აფხაზეთის ცხენთსაშენი).

სისწრაფე 2 წუთი და 46 წამი; დისტანცია 2440 მეტრი (2 ვერსი და 144 საჟენი).

დოღს აუარებელი ხალხი დაესწრო.

იურიდიული დახმარება

მომეცემა თუ არა ხელფასი და რა რაოდენობით

შეკითხვა

ვარ სახელმწიფო მომარაგების ხარჯზე ერთ-ერთ შრომის სკოლაში მასწავლებლად ზუგდიდის მაზრაში. ვიყავი გაწვეული წვევამდელის მომზადებისათვის (ვსეობუჩში) როგორც 1904 წ. დაბადებული და ვმსახურობდი 1925 წ. 1—დეკემბრიდან ერთ თვეს.

ამ ეთ თვეს სკოლაში მივლინებულ იქნა ზუგდიდის მაზრის განათლების ინსპექციისაგან ჩემ მოადგილედ სხვა მასწავლებელი.

სამხედრო სამსახურის გათავების შემდეგ ისევ დავუბრუნდი ჩემს ადგილს.

გთხოვთ მიპასუხოთ, ამ ერთი თვის ჯამაგირი ვის ერგება და რამდენი? (სატარიფო განაკვეთია 30 მან.)

სოფ. მასწავლებელი **იპოლიტე ჭანტურია.**

პასუხი

თანახმად საკავშირო საბჭ. რესპუბლიკების შრომის სახკომატის ინსტრუქცია № $248/_{13}$ მუხ. 20-ის თქვენ უნდა მოგეცეთ მთლიანად თქვენი თვიური ხელფასი, საშუალო რაოდენობით (არა ნაკლებ თქვენ მიერ აღნიშნულ 30 მანეთის). თქვენს მოადგილეს თქვენი სამხ. სამხედრო სწავლების დროის მუშაობისათვის უნდა მიეცეს ცალკედ ჯილდო. იმ თანრიგით, რა თანრიგითაც თქვენ იღებდით ხელფასს.

ბინის ქირის შესახებ

შეკითხვა

ვმსახურობ გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქციაში მოლარის თანამდებობაზე. ვარ კავშირის წევრი (წიგნ. № 19676), ვღებულობ ძირითად ჯამაგირს თვეში 57 მ. 50 კ. ვცხოვრობ სადგურის ქ., № 17, სამხედრო სახლში. მიჭირავს ერთი ოთახი დაახლოვებით 40 კვ. არშინი. ვცხოვრობ 1925 წლის ივნისიდან, მაქვს მიცემული სახლის გამგისათვის 40 მანეთი ბინის ქირის ან-ში. ამჟამად იგი ქირას არ ღებულობს.

გთხოვთ განმიმარტოთ, რამდენი უნდა გადავიხადო თვეში ან შეიძლება თუ არა ჩამეთვალოს ბინის ქირაში მიცემული 40 მანეთი.

ვლადიმერ ბურჯანიძე.

პასუხი

თითოეულ კვადრატ. არშინზე ბინის ქირად გადაიხდით სამ კაპეიკს. მიცემული თანხის ბინის მომავალ ქირაში ჩასათვლელად კი საჭიროა სასამართლოს დადგენილება. (იხ. სამოქ. სამართლის მუხ. 83).

პარტიული კალენდარი

— საქართველოს კომპარტიის **თბილისის კომიტეტი** წინადადებას აძლევს ყველა რაიკომებს პარასკევს, 2 ივლისს მოიწვიონ უჯრედების კრებები, რომლებზედაც უნდა დასვან მოხსენება **„საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ".**

მომხსენებლებათ მიწვეული არიან შემდეგი ამხანაგები:

1) **ს. ორჯონიკიძე,** 2) **მამია ორახელაშვილი,** 3) **მ. კახიანი,** 4) **მ. ოკუჯავა,** 5) **ერქომაიშვილი,** 6) **ჰუსეინოვი,** 7) **სუტირინი,** 8) **ყურულაშვილი,** 9) **რატნეკი,** 10) **ხანოიანი,** 11) **ვირაპი,** 12) **ნაჯაფოვი,** 13) **ვარძიელი,** 14) **კარკლინი,** 15) **ჭელიძე.**

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის **აგიტპროპკოლეგიის მორიგი სხდომა** შესდგება ოთხშაბათს 30 ივნისს დილის 8 საათზე თბილისის კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებაში.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს შემდეგ ამხანაგებს გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო განმანაწილებელ განყოფილებაში,

1) ფილიპე ოვეჩკინი, 2) მიხეილ მარკოვის ძე ფრანკე, 3) გრიგოლ კასიმის ძე კვირიკაძე, 4) ს. ა. ფირუმოვი, 5) ივანე გრიგოლის ძე ზეზრუკოვი, 6) არტაშეს ზაქარის ძე ბაგალოვდაროვი, 7) ა. ა. ტკაჩენკო.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომი იუწყება, რომ სამშაბათს, 29 ივნისს საღამოს 5 საათზე რაიკომის ბინაზე შესდგება რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

— დღეს 29 ივნისს, საღამოს 6 საათზე საქ. კომპარტიის ცეკას აგიტპროპში შესდგება **აგიტპროპის კოლეგიის სხდომა.**

დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგების:

1. კახიანი (ცეკა), 2. მაშკევიჩი (ცეკა), 3) ჯაფარიძე ვარო (ქალთა განყ. ც. კ.), 4) ჭელიძე (კულტგანი ს. პ. ს. გ.), 5) კვიცარიძე (გან. კავშ), 6. ასრიბეკოვი (ტ. კ.), 7. ბუდილევი (ტ. კ.), 8. ხაჭაპურიძე (ც. პ. შ.), 9. რუხაძე (მთავარ პოლიტ. გან.), 10. გეზაგოლდი (ც. კ.), 11. 1-ლი რაიკომის აგიტპროპი, 12. ერქომაიშვილი ალექსი (ზაკანარკომვნუტორგი).

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქ. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატისა 10 ივნისი 1926 წ.

„საშუალო მედიკურ პერსონალთათვის ზოგიერთ კატეგორიათა სამუშაო დროს შესახებ".

ა.-კ. შრომსახკომ. მიერ 1923 წ. აპრილის 18-ს დამტკიცებული სამკურნალო, სასანიტარო და საზეითლო დაწესებულებათა სამუშაო დროის დებულების (ა.-კ. ს. ფ. ს. რ. შრომ. კან. კოდ. გამოც 1926 წ. გვ. 28) მუხ. 1-ს შესაცვლელად და 1926 წ. 1-ლ აპრილის თარიღით დადგენილება № 20-ს განსავითარებლად, საქ. ს. ს. რ. შრომ. სახ. კომ. ადგენს:

1. ყველა იმ პირთა ნორმალური სამუშაო დღე, რომელიც საშუალო პერსონალის მოვალეობას ასრულებენ (სათნოების დები, ფერშლები, ფარმაცევტები და სხ.) მიუხედავათ მათი მდლიც. სახელწოდებისა, არ უნდა აღემატებოდეს 8 საათს, უკეთუ ისინი შემდეგ დაწესებულებებში მუშაობენ:

ა) პირველ დახმარების პუნქტებზე, წარმოებებში, დაწესებულებებში და ტრანსპორტზე.

ბ) სურამის ქრონიკულ ავადმყოფთა ფსიქიატრიულ ახალშენში.

ვ) ყველა ქიმიურ და ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიებში და ინსტიტუტებში პრეპარატორების და ტეხნიკურ მომუშავეთათვის.

დ) ავადმყოფთა გადამყვან სწრაფ დახმარების სადგურებზე.

ე) ბაგეებში.

ვ) საბავშო სახლებში.

ზ) ინვალიდთა სახლებში.

თ) დასასვენებელ სახლებში.

კ) ძუძუ მწოვარ ბავშვთა სახლებში,

ლ) დედათა და ბავშვთა სახლებში ნორმალურ მუშაობის პირობებში,

მ) სარძეო სამზარეულოში,

ნ) სანატორიუმში ისეთ ავადმყოფთათვის, რომელნიც არ საჭიროებენ არც წოლას და არც მუდმივ და განუწყვეტლივ მოვლას.

შენიშვნა: იმ აფთიაქთა მუშაკებზე, რომელნიც სანატორ. და დასასვენებელ სახლთა ჯგუფს ემსახურებიან ეს დადგენილება არ ვრცელდება.

2. 1-ლ მუხლ. ჩამოთვლილ კატეგორიათა მუშაკების სამუშაო დღე, მათი მუშაობის ხასიათისაგან დამოკიდებულებით და სათანადო დაწესებულებათა მუშაობის დროსთან შესაფერისად შეიძლება დაყოფილი იქნეს რამოდენიმე ნაწილად ისე, რომ მუშაობის შეწყვეტა რიცხვი არ აღემატებოდეს ორ დღეში და თითოეულ შეწყვეტის ხანგრძლივობაც არ აღემატებოდეს ორ საათს, მასთან ასეთ შემთხვევებშიაც სამუშაო დროს საერთო ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს სამუშაო საათების ნორმალურ თვიურ რაოდენობას.

შენიშვნა: სამუშაოთა განწესრიგება და შეწყვეტათა ხანგრძლივობა შინაგანი განაწესით. წესდება.

3 იმ პირთა სამუშაო დრო, რომელნიც ასრულებენ საშუალო მედპერსონალის მოვალეობას ისეთ დაწესებულებებში, რომელნიც ჩამოთვლილი არ არის ამ დადგენილების 1-ლ მუხლში „სამკურნალო სასანიტარო და საზეითლო დაწესებულებების სამუშაო დროის დებულების" 1-ლ მუხლის მიხედვით წესრიგდება.

საქ. ს. ს. რ. შრომის სახ. კომისარი **ა. მიქაძე.**

შრომის დაც. გან. გამგის მოად. **მ. ჟღენტი.**

საერთო-საორ. გან. გამგე **ვ. კილოსანიძე.**

შეთანხმებულია საქ. პ. კ. პ/მგ. მდივანი **ფანცხავა.**

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ელენე და შვილები ვახტანგ და ჟენია, ძმები ამირან, იოსებ და დავით, სიძეები შალიკო ურუშაძე, სევერიან ჯღერია და ამბაკო აბზიანიძე, დები ნინო და ვერა, ძმისწულები ვალოდია და ქეთო, დისწულები: ანეტა, ვანო და არჩილ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 26 ივნისს ტრაღიკულად დაიღუპა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ნიკოლოზ გიორგის ძე ბიბილური

გამოსვენება მოხდება ლენინის უბნიდან (ნაზარეთის ქუჩა № 42) საკუთარ ბინიდან სამშაბათს, 29 ივნისს, ნაშუადღევის სამ საათზე, დაკრძალვა მოხდება წმ. ნინოს სასაფლაოზე. ღ. ნ.

ღრმად დამწუხრებული: ცოლი ტასო, შვილები—ამირანი და კაკლო, მამა ნიკოლოზ, ძმები—ევტიხი, ერმილე და კოსტა, რძლები—მილოსი, ივდითი და ნინა ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ თავის ძვირფასს

ალექსი ნიკოლოზის ძე ბურჭულაძის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება ყოფილ მიხეილის სახელობის საავადმყოფოდან 29 ივნისს, ნაშუადღევის 3 საათზე და 30 წ. ცხედარი წასვენებული იქნება სოფ. სამებაში (გურია). 2958

გულმოკლული და ღრმად დამწუხრებული მამა პარმენ აფხაძე და დედა რუსუდანი ამით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 26 ივნისს, ს. პატარძეულში გარდაიცვალა მათთვის მუდამ დაუვიწყარი ერთად ერთი იმედი პატარა

ფ ი ს ო (ნელლი)

2959

დამწუხრებული მეუღლე მართა, შვილები—თეოფანე, პელაგია, ლიზა, ოლღა, რძალი სონა, შვილიშვილები—ნათელა, ირინა, ძამა ამბაკო, რძლები—ესმა, სონია, ძმისშვილები—ბენია, ელენა, ექვთიმე და სევერიანე ქანთარიები; სიძე ნიკო გოგუაძე შვილიშვილები—ჟუჟუნა გოგუაძე, მიშა და დავით ჩხაიძენი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს და ნათესავებს მათთვის ძვირფასი

დავით ოთარის-ძე ქანთარიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება 29 ივნისს, დღის სამ საათზე (ს. ზემოაკეთში გურია). 2961

საზაფხულო
აპოლო
(არტოს ბაღში; პლეხ. № 105).

საზაფხულო კინო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

სოლეი

ნ. 1375 0—26

მსოფლიო შედევრი 4 სერიათ
ნიბელუნგები
1 და 2 სერია ერთად
კინოს ბილეთებით შეიძლება ბაღში შესვლა. კინოს შენობა დახურულია

შეუდარებელი მერი პიკფორდი პრემიერაში
„შუქი სიბნელეში"
ცუდი ამინდის შემთხვევაში სეანსი გადატანილ იქნება არტფასტოში

პოპულიარული ამერიკული მსახიობი ქალი მეჯ ბელამის მონაწილეობით
„ორი კაპიტანი"

ანონსი: შემდეგი პროგრამა „ამერიკელი ქალის თავგადასავალი"

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთველის პროსპექტი № 34
0—1

ს. მ. უ. ს. სახსპირტმა
გამოუშვა
დენატურალური სპირტი

ფასი: 1 გრ.—16 კაპ.
1/4 ვედ. 4 მ. 50 კ. ბოთლ. 5 მ. 20 კ.
1/20 ვედ. — 95 კ. „ 1 მ. 10 კ.
1/40 ვედ. — 50 კ. „ — 62 კ.

ბოთლებში ჩასხმულ სპირტზე ბითუმათ მეიდველთ ეძლევათ 15% შეღავათი.

ტრესტის სამმართველო: თბილისი, ლენინის ქ. № 30 (ყოფ. ოლღას) ტელეფ. 3—53 და 11—06.
ნ. 1474 2—2

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო საწოლებით მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 50—3

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606"—„914")
ავადმყოფების მიღება: კაცების— დილით 8—9 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ქალების საღამოთი 5—6 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ., № 4 ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ). 25—18

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე.
საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—1

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.
შეშხაპუნება „914". ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—8 საათ., საღამოს 5-დან—9 საათამდე. ქალები 12—2 საათ. დღისა.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად. 25—1

ექიმი ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
მიღება დილის 8—11, საღ. 6—8. პლეხანოვის პროსპექტი, № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ.
537 25—12

„СЕКАРОВСКАЯ ЖИДКОСТЬ"
ПРИГОТОВЛЕННАЯ ПО СПОСОБУ
ПРОФЕССОРА Д-РА БЮХНЕРА

СЕКАРОВСКАЯ ЖИДКОСТЬ
ВЫТЯЖКА ИЗ СЕМЕННЫХ ЖЕЛЕЗ
LIQUOR TISTICULORUM
ГАЛЕН-МОСКВА
В МОСКВЕ

დიდის წარმატებით იყენებს მედიცინა

ხერხემლის გახმობის, ყველა სახის ნევრასტენიის, ათაშანგის, მშობიარობის, ოპერაციის, სისგულის ავადმყოფობის, სიგამხდრის (худосочие), დაღლილობის, სიბერისაგან დაავადების, პოდაგრის, რევმატიზმის, სისხლნაკლებობის, ატერიოსკლეროზის, დიაბეტის, თავის ტკივილის, უძილობის, სქესობრივ უძლურების, მადის დაკარგვის და გულის მუშაობის ქრონიკულ სისუსტისა და აგრეთვე სხეულის სისუსტის დროს, ინფლუენციას, ათაშანგის, მშობიარობის, ოპერაციის, სისხლის დაკარგვის და სხვა ავადმყოფობის დროს.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ნებართვა № 8.262.

სეკარის სითხე იყიდება

საბჭოთა კავშირის სანიტარიის და ჰიგიენის ყველა აფთიაქებში და მაღაზიებში

ფლაკონის ფასი 2 მ. 50 კაპ. გადაგზავნის გარეშე. ფოსტით იგზავნება არა ნაკლები 4 ფლაკონისა, თუ მიღებული იქნება ბე 25 პროც. რაოდენობით. 8 და მეტი ფლაკონის დაკვეთის დროს შეხვევა და გადაგზავნა უფასოა. კოოპერატივ „გალენ მოსკვა"-ს წარმომადგენლობა საბჭოთა საქართველოში დასომხეთში: თბილისი, თავისუფლების მოედანი, № 2 მეორე სართული, ყოფილი თამამშევის პასაჟი.

ЗАКАЗЫ ПИСЬМА И ДЕНЬГИ АДРЕСОВАТЬ: ТОРГ. ОТД. КООПЕРАТИВА „ГАЛЕН-МОСКВА" МОСКВА ул. ГЕРЦЕНА №5 ОТД. 3 ПОЧТ. ЯЩ. № 1025

8—2 ნ. 1470

ს. მ. უ. ს.
ტყავეულობის ტრესტი
აცხადებს, რომ ტრესტის გამგეობის ბინაზე
(კომუნალური ქ. № 82)
1926 წლის 3 ივლისს, დღის 12 საათზე
შესდგება
საჯარო ვაჭრობა
ქეჩისა და ტყავის ქარხნის შენობათა ასაგებათ სამუშაოთა იჯარით გაცემაზე.

ვაჭრობა წერილობითია. იმ დაწესებულებებს და პირებს, რომლებსაც სურთ მონაწილეობის მიღება საჯარო ვაჭრობაში, ვალდებული არიან პირადათ შემოიტანონ ან ფოსტით გამოგზავნონ დახურულ კონვერტებში განცხადება, რომელსაც თან დართული უნდა ჰქონდეს განცხადებული თანხის 5 პროც. ნაღდათ ან სათანადო საბუთით (ქვითარი).

სამუშაოთა ტეხნიკური პირობების, მუშაობის წარმოების გეგმის და ხელშეკრულების საერთო პირობებთან გაცნობა შეიძლება ყოველდღე ტრესტის კანცელარიაში 12-დან—3 საათამდე.

ნ. 1491. **ტრესტის გამგეობა.**

დავკარგე 24 ივნისს ჩემოდანი, რამოდენიმე საანგარიშო წიგნები და სხვადასხვა ნივთები, შორაპან-რიონს შუა. მნახველს ვსთხოვ დაიტოვოს ყველა ნივთები ჩემოდანით. მხოლოდ საანგარიშო წიგნები კუთვნილი თოფურია ანჯაფარიძის „ჭიათურის" კანტორის, გადმოგზავნოს ქ. ქუთაისში გაზ. „კომუნისტის" კანტორაში, რისთვისაც მიიღებს შესაფერ ჯილდოს. ნ. 1489

სახალხო მამულთა ტრესტი ამით აცხადებს, რომ

ხილის და სუფრის ყურძნის

(ალექსანდრიის მუსკატის) მოსავლის გაყიდვის

საჯარო ვაჭრობა

გადადებულია 8 ივლისისათვის საღამოს 6 საათზე.

ცნობების და პირობების მიღება შეიძლება ტრესტის სავაჭრო განყოფილებაში ლუნაჩარსკის ქუჩა № 2 (ყოფილი ევანგულოვისა). ნ. 1492

შილდის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ნ. შ. შამანაური

ამით აცხადებს, რომ ივლისის სამსა დღესა 1926 წ. დღის 12 საათზე ს. ძველგავაზში საჯარო ვაჭრობით გაყიდის ალექსი გიორგის-ძე ოთარაშვილის ორ ოთახიან ქვითკირის სახლებს, ზედ მიშენებული ოროთახიანი ფიცრული შენობით და ფიცრული მარნით შიგ რვა ნაჭერი ღვინის ქვევრებით ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 16 ივნისს 1926 წ. № 1899 გაცემულ ბრძანების ძალით ძარიამ ჭანტურიძის ვალის დასაკმაყოფილებლად. აღნიშნული შენობა იმყოფება ს. ძველ გავაზში (თელავის მაზრა) დახურულია კრამიტით, არის ოთხი საცხოვრებელი ბინა და აშენებულია სახელმწიფო მიწაზე ზომით 520 ოთხკუთხი საჟ. შეფასებულია 5.500 მანეთად, რომელ თანხიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. მყიდველმა უნდა წარმოადგინოს სათანადო კომუნალურ განყოფილების და ოლქის სასამართლოს სანოტარო განყოფილების ცნობები იმის შესახებ, რომ არც მას, არც მის მეუღლეს და არც მის არა სრულ წლოვან შვილებს არა აქვთ ს. ძველგავაზში სახლები და უნდა მისცეს ხელწერილი მასში, რომ ამ პირებს არა აქვთ სახლები სხვა ადგილას, 2946

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ქ. ძამოევი

ამით აცხადებს, რომ 2 ივლისს 1926 წ. დღის 12 საათზე სახლში № 22 კომუნალურ ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის გ. ახში მარტიროზოვის მოძრავ ქონებას: ტყავებს და სხვებს არტაშ სელპანოვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქალ. თბილისის მე-3 უბნ. სახალხო სასამართლოსაგან 3 მარტს 1926 წ. თარიღით, № 1861 გაცემულ აღმსრულებელ ფურცლისა. 2967

ქ. თბილისის 1-ლი რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ი. ძოძუაშვილი

ამით აცხადებს, რომ 2 ივლისს 1926 წ. დღის 1 საათზე სახლში № ვაკე სახლი ეგიაზაროვისა საჯარო ვაჭრობით გაყიდის მისაკ ეგიაზაროვის მოძრავ ქონებას: კამოდს, გარდეროვს, სარკეს, საკერავ მანქანას და სხ. შეფასებულს 295 მანეთად, მოქ. რ. აგბაშევის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 სახალხო სასამართლოსაგან 22 ივნისს 1926 წ. თარიღით, № 1984 გაცემულ აღმსრულებელ ფურცლისა. 2963

ქ. თბილისის მე-4 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ს. გავსოვიჩი

ამით აცხადებს, რომ 2 ივლისს 1926 წ. დილის 10 საათზე, სახლში № 64, გოგოლიევის ქ. საჯარო ვაჭრობით გაყიდის ვასილ ლაპიაშვილის მოძრავ ქონებას: კამოდი, გარდეროვის შკაფი, სასადილო მაგიდა, ხუთი ხალიჩა, ბუფეტის შკაფი და სხვ. შეფასებულს 400 მან. ქ. თბილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის მე-4 უბნ. სახალხო სასამართლოსაგან 14 სექტემბრის 1925 წ. № 4525, გაცემულ სასამართლოს ბრძანებისა. ღ.

ექიმი მებრაბიანცი
ფილტვების, ძლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით და რენტგენის სამკურნალო კაბინეტში სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება დილ. 9—1 და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, შაბათ-კვირაობით ავადმყოფები მიიღებიან **აგარაკ მანგლისში.** 25—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—2

ქუთაისში დაბრუნდა ექიმი დ. ა. ჩიჩელაშვილი
და განაახლა შინაგან ავადმყოფების მიღება.. სპეციალ.-ფილტვების სნეულებანი მიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 4—7 საათ. ქავჭავაძის ქ. № 9. 12—1 2858

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი").
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადამყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 13—1

ექიმი გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3.

კბილის სნეულებათა კლინიკაში
(პლეხანოვის პროსპ. № 126)
დაიწყო მუშაობა
რენტგენის კაბინეტმა
შეიძლება კბილების და პირისახის ძვლების გაშუქება და მათი სურათის გადაღება. 2799. 25—1

თვალის ექიმი მაევსკი
პლეხანოვის პროსპექტი, (ყოფილი მიხეილის პრ.) № 53 (მთავარი ფოსტის პირდაპირ). მიღება დილის 9-დან 11 საათამდე (დღის 1-დან 3-დე, საღამოს 7-დან 8-მდე. 35—1

ექიმი ი. დ. თოფურიძე
კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33 ღებულობს ავადმყოფებს კანის, სიფილისის და ვენერიულ (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები დილით 6 ნახ.—7 ნახ. საათამდის საღამოთი 4—8 საათამდის.

დავკარგეთ სოფელ კუმისის საბჭოს ღერბიანი ბეჭედი, ჩ. გ. 2962

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 583, სოფიო ხოდუაიანცის სახელზე, ჩ. გ. 2964

დავკარგე სამთო პროფკავშირის წიგნაკი № 6010, სამხედრო აღრიცხვის ბარათი გრიგოლ ქიმეთიანის სახელზე, ჩ. გ. 2965

დავკარგე ნამსახურობის მოწმობა მოცემული 1-ლი ქვეითა ლეგიონიდან № 126, ლევანტი კონსტანტინეს-ძე ასკურავას სახელზე, ჩ. გ. 2957

დავკარგე პირადობის მოწმობა № 358, ტიტიკო მელქისის-ძე კვაჭაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1490

დავკარგე პირადობის მოწმობა „უვადო" 13 ივნისს ალექსი სიმონის-ძე ნოზაძეს სახელზე, ჩ. გ. ნ. 1489

დავკარგე საბჭ. პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 345, ნიკოლოზ ფედოროვიჩის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1489

დავკარგე სატრანსპორტო სამომხ. საზოგადოების საწევრო წიგნაკი № 25426, სოლოგაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2966

დავკარგე 10 ფუთის და 4 გირვანქა ფოთოლი თამბაქოს გადასატანი მოწმობა № 2101, თამბაქოს ქარხნის „სამსონიას" სახელზე, ჩ. გ. 2968

დავკარგე ოსმალეთის მთავრობისაგან მოცემული მოწმობა სიმონ მარიბას-ძე ბადავას სახელზე, ჩ. გ. ნ. 1489

დაიკარგა პირადობის მოწმობა ნაუმ ეროდის-ძე მარგველაშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1489

დავკარგე რკ. გზის პროფკავშირის წიგნაკი № 7370, რკ. გზის მუშათა კლუბის საწევრო წიგნაკი № 33, მეტრიკული ამონაწერი № 3060, სიღარიბის მოწმობა № 30600, ვლადიმერ ვასილის-ძე შენგელიას სახელზე, ჩ. გ. 2960

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68